


# ახელი

ლიტერატურული ჟურნალი  
№3, 2017



ერთი ფრთის სტრიქი

„ეს გარ თქვენი ქალა  
– უკათასი  
ცხოვრებისთვის!“

„ეპოდალი,


სცენა

ეპს

ვეცები

ერთეული,

ეპოდალი და დარჩევა....“



## ჩვენი ინანიაზოლის სახეობას ღოფისათვარი კონკასი



\* \* \*

„მწერლობა მაინც სხვა არის, ნამდვიოდი მწერლობა. მას ყოველთვის თან ახლავს დგთიური შუქი, რომელმიც ხარობს, ჯეჯილიც, შვლის ნუკრიც და ჩვენი ხულიც“.

რეგაზ ინანიაზიძე



ეპატერინე ტუხაშვილის „ვედრება“.



# ანალიტიკური

№ 3. სექტემბერი. 2017 წელი

ლიტერატურული

ე თ ხ ნ ა ლ ი

პრეზიდა	
მზის ხათაბაში .....	3
პრეზიდა	
ბივი ჩილვინაძე მოგონებანი წევიმიანი დღეებისათვის .....	5
ინცერტი	
ბალიო ზემოქმედის პირა .....	9
ჯაბა ლებაცი ყველაფერზე მაღლა – ადამიანის ფერმენტი .....	13
პრეზიდა თამას მაჭავაცი .....	13
ლიცერაციული წერილი	
შახილი სიჩამე ილია ჭავჭავაძე და ჭაბუა ამირევიძი .....	14
პრეზიდა	
თიბო აოცობაშვილი .....	20
მალენა ევალი .....	23
მანანა ბჩუაცი .....	25
პრეზიდა	
ბიოჰბი ალიაშვილი აგარაკი .....	26
ერთი ლიქვიდ ლავით შემოქმედები სერ! .....	27
ერთი თოფოსურადთის ისფორიდ	
ბექამ შახაბიძე ეძღვნება ბატონ გურამ პატარაიას ხსოვნას .....	28
პრეზიდა	
ნათია სოცომიშვილი .....	34
ძართული ალპინიზმის მაფიანიდან	
ივანე ასფარიძე უნდა დასრულდეს ხეამლის შესახებ სიცრუის გავრცელება .....	37
ფინანსით წარადგითხდი...	
ნინო ჩხილვიშვილი მამაშვილობის მადლი .....	41
პრეზიდა	
ანა ბერებიშვილი მინიატიურები .....	44
ბიოჰბი სხვატაშვილი დაბრუნება .....	46
რუსული პოეზია (თარგმნა მეგი მოლოდინმა) .....	48
მსაცემობა ინტერვიუ ესახურის უსაშვილთან .....	51
თარგმანი	
შარი მახტრიანი ქედს ვუხრი საიათნოვას (სომხურიდან თარგმანი) .....	52
პრეზიდა	
ეკოლევან ბახნაბიშვილი ნომოფობია .....	53
პრეზიდა	
მაია მახანაშვილი .....	56
ლილა ბოზაციშვილი ნინო ბოკოციშვილის პოზიუზე .....	59
სიყვარულის ე თანაბეჭოის სალაშო .....	62
სოფიო ჯახვაციძე ქართული მწერლობისა და ფოლკლორის ქომაგი .....	63
თამას მაჭავაცი „ვაშაურას“ მინდორი .....	64
პრეზიდა	
ოთახ ჩეხევა .....	65
თამას შახაბიძე .....	67
ღია ყიფშიძე .....	69
პრეზიდა	
ზურაბ პაპიაშვილი გულის მიწა .....	70
ანთილი მარავაშვილი ჭიხას ე სისხუაში .....	72

## აკადემიურ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

---

ეუქნაღ „ანეულთან“ ახსებელი  
ლიტერატურული გაერთიანება:

თამარ მიქაელ  
ლეილა ქიოშვილი –  
სახლთხუციშვილი  
თემურ ჩალაგაშვილი  
განანა ჩიტიშვილი  
ნინო ჩხილვაშვილი  
თამაზ ხელაძე  
ივანე ჯაფარიძე  
ჯუბა ლებაძე  
ჯუმბერ ჯიშკარიაძე

მთავარი ჩედაქცობი

თამარ შაიშმალაშვილი

პასუხისმგებელი ჩედაქცობი

სოფიო ჯაფარიძე

ცოგოს ავტორი

ბიორეპ ზაჟაბიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გოჩა სოჭიაშვილი

გახეკანზე:

ცალკეული ტენის უსაფრთხოების დამამაცევა

ჩედაქციის ტელეფონი: 551 00 50 58

რედაქციის ინტერნეტფოსტა: [aneuli@mail.ru](mailto:aneuli@mail.ru)

ეუქნაღი გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

„მცოცავი გრაფიკი“ ჩემი სამაჩაბლოდან! ვიცინებდი, სატი-  
რალი რომ არ იყოს! პროვოკაციებს არ უჩანს ბოლო! აღარ  
დამთავრდა ჩვენი სიბრიფვე, ჩვენი „მე“, და ამღვრეულ წყალში  
თევზის ჭერა!

ეს ლექსები უკეთ გეტყვით, რასაც განვიცდი!

ავტორი.



„ს ა ზ ღ ვ ა რ ი“

(ანდერძი)

ჩემი ბავშვობის სასუფეველო! გულნატყვიარო, ჩემო ცხინვალო!  
ჩემო ოსებო და ქართველებო! ზღუდრის საყდარში სანთლის ციალო!  
ერთმანეთს ქვები რომ დავუშინეთ, — მტერი ზეიმობს სახემცინარი!  
თამარს მისტირის თამარნაშენი, მავთულხლართებში ტყვეობს ცხინვალი!  
დამასაფლავეთ ზედ იმ „საზღვარზე“, ამ სიყვარულის უსაზღვროებით!  
გულის ჭიშკარი მე ვერ ჩავრაზე აქ — ქართველების, იქით — ოსების!  
დამასაფლავეთ ფარდაახდილი, ზურგში მახვილით, შორს გაფრენილით!  
დამასაფლავეთ, როგორც სამხილი, როგორც მანდილი — ძირს დაფენილი!  
დამასაფლავეთ ნიშნად სირცხვილის, ნიშნად ლაჩრობის, ნიშნად მტრობისა!  
დამასაფლავეთ, როგორც სიკვდილი, თავლაფდასხმული ჩვენი ძმობისა!  
დამასაფლავეთ, როგორც სინდისი, — სიმართლეს თავი რომ ვერ არიდა,  
დამასაფლავეთ, როგორც „სიმდი“ და, როგორც „ჩაკრულო“, ან „ვარაიდა!“  
უსამართლობით გულშემზარავი — დაასაფლავეთ თავად საზღვარი —  
ჩვენი წარსულის უღვთოდ მპარავი, სისხლით და ცრემლით გაუმაძლარი!  
გულში დაჭრილი, სულით მღაფავით, ვერ გადავდივარ ძმებთან ალავერდს!  
დაასაფლავეთ ჩემი საფლავიც და, ეს ლექსებიც დაასაფლავეთ!

ალილუია!

ქართველთა შესვლა სოხუმ-ცხინვალში აკრძალულია! — ალილუია!  
იქ ჩვენი „ძმობა“ დაკრძალულია! — ალილუია, ალილუია!  
საზღვარს შევცერით ზარბაზ-ლულიანს! — ალილუია, ალილუია!  
ბარბარუსული სასწაულია! — ალილუია, ალილუია!  
გული ეკლებად გადარგულია — ალილუია, ალილუია!  
რა უყვავილო გაზაფხულია! — ალილუია, ალილუია!  
ქრისტე, იუდას აღსასრულია! — ალილუია, ალილუია!  
ხელები ცისკენ აღმართულია! — აღმართულია, აღმართულია!  
იქნებ ეს, მტრობის დასასრულია? — დასასრულია, დასასრულია... ალილუია!

## ბავშვობა – ჩემი ჭირისუფალი

მე სიკვდილს შეეხვდები გაშლილი ხელებით,  
გაქრება ეჭვები – სიმშვიდის მკაწრავი...  
მკერდს არ დამეყრება მღუღარე ცრემლები,  
მჯიდსაც არ დაირტყამს, ზედ გულზე, არავინ!

სიკვდილი მე ახალ სიცოცხლეს მახარებს,  
და აღმაფრთოვანებს ცის გამჭვირვალება!  
სიცოცხლეს, სიკვდილით უფრო შეეგაყარებთ,  
როდესაც მიხილავთ დახუჭულთვალებას!

არავინ მეგულვის, ჩემს გარდაცვალებას  
შეხვდეს შეკივლებით, ხმით გულშემზარვით,  
ზოგი შეიცხადებს, ზოგს გული დაწყდება,  
მაგრამ ცხარე ცრემლით მიტირებს არავინ!

და მხოლოდ ცრემლის ტბებს,  
სულ ციცქა მუჭებში,  
არც მზე, არც სანთლები ეყოფა საშრობად!...  
გამომეტირება ცხინვალის ქუჩებით  
დღეს მავთულხლართებთან  
შემკრთალი ბავშვობა!

## თუ სამაჩაბლოს ვერ დავიძრუნებთ...

სამაჩაბლოში სხვა საქართველო,  
სხვა სურნელება და სხვა ხიბლია,  
მაჩაბლის ენა, გამორჩეული,  
ქართული ჯიშის ხსნა-სამხილია!  
სხვაგან თუ მტარვალს ხმალი ზარავდა,  
აქ, წმინდა ენით, დროც – მახვილია!  
სამაჩაბლოა ჩვენი მარაბდა,  
სხვა დანარჩენი – მოძახილია!  
დაკარგულია მაჩაბლის სახლი,  
თვით მაჩაბელიც დაკარგულია,  
ქართულ ენაზე ტყვების დახლით,  
ბგერები ცაში გაფანტულია!  
ზღვად ასაღებენ სხვა ქვეყნის რუებს,  
შავ ზღვას კი მარად შავ ზღვად უვლია...  
თუ აფხაზეთი ვერ დავიძრუნეთ,  
მაშ, სამაჩაბლოც დაკარგულია!  
მზე გულში სხივებს ვერ გაიხუნებს –  
ცხინვალი – ჩვენი საგანძურია!  
თუ სამაჩაბლოს ვერ დავიძრუნებთ,  
მაშ, საქართველოც დაკარგულია!

## უცხინვალო მიწა

(მაჩაბლის თეატრის ლტოლვილი მსახიობის მონოლოგი)

თვალებს დავითხრი, მეც, ოიდიპოს,  
და შემოგტირებ ცრემლსისხლიანი!  
უფალმა შველაც რომ დამიპიროს,  
ჩემთვის იქნება ძლიერ გვიანი!  
ბეთჰოვენივით დავიხშობ სმენას –  
ყოველი ბგერა, კენესა მგონია!  
დე, ჩამავალ მზით დაბინდდეს სცენა,  
გმირულად მოკვდეს ეს სიმფონიაც!  
ამ მარჯვენასაც თავად მოვიკვეთ  
და არსაკიძის ტანკევას ჩავწვდები!  
ყველა სიკვდილი ერთად მოვიდეს,  
მაგრამ საფლავში აქ ვერ ჩავწვები!  
გამოსაჩენი უჩინრად იქცა,  
„გამოჩენილთა“ წინაშე ვქრებით...  
ვეღარ აგნებენ მშობლიურ მიწას  
მოხეტიალე საფლავის ქვები!  
თვალებს დავითხრი, მეც, ოიდიპოს,  
ისედაც ჩამქრალს, მზე არ მექნება!  
მეტი სიბრძავე რა უნდა იყოს –  
მკერდს, უცხინვალო მიწა მეყრება!

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



## მოგონებანი წვიმიანი დღეებისათვის\*

საბჭოთა დედაქალაქში რედაქტორების კვალი-  
ფიკაციის ასამაღლებელ ერთოვან სემინარზე ჩა-  
ულს ჯგუფში მხოლოდ ქალები და ქალიშვილები  
დამსტადნენ. თვითოვ წარმომადგენლი ვიყვაით იმდრო-  
ინდელი მოკავშირე რესპუბლიკებიდან და რუსეთის  
ცალკეული ოლქებიდან. ერთადერთი ვაჟი რამდენიმე  
ქალისა და ქალიშვილის გარემოცვაში აღმოჩნდი,  
რაც,ჩემი აზრით, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას  
მაკისრებდა. თუმცა განსაკუთრებული რა უნდა  
გამეგობრონა? მალე კივილან ჩამოსულ მშენებირ  
ქალიშვილს, ირინას დავუმეგობრდი, მაგრამ დროის  
კვალობასიდარად სხვებთანაც დაგასირნობდი ხოლმე.

ერთი კვირის შექმდევ ჩემი ყურადღება ესტონელმა  
ქალიშვილმა, მარეტმა, მიი პყრო, თუმცა ჩვენი ურთ-  
იერთობა უახლოეს დღეებში ღიმილიან სალაშა და  
მოკითხვას არ გასცილებათ. ერთხელ სასტუმროში  
ქართველი ბიჭები ვნახე, გავიცანით ერთმანეთი და  
რესტორანში წავედით, ცოტა დავლიერ. იქიდან  
მომავალს მარეტი შემეფეთა ავტობუსში, ღიმილით  
დამიქნია თავი, მეც ასევე ვუპასუხე და თანამემამუ-  
ლებთან გავაგრძელე საუბარი, თუმცა ვგრძნობდი,  
რომ მარეტის მორიდებული მზერა არ მცილდებოდა.  
ჯგუფში იგი ლატვიელ გოგონასთან მეგობრობდა.  
მუდამ ერთად დადიოდნენ სხვებისაგან განცალკევ-  
ებით. იმსანად მოსკოვში ზაფხულის წვიმიანი დღეები  
გადაება ერთმანეთს. მე ქოლგის ტარებას ვუკად-  
რისობდი. ან კი რად მინდოდა? გოგონები ირინას  
ექვემდებოდნენ, დიდი ქოლგა იყოდე, ქართველთან  
ერთად რომ შეეფარო. თუმცა სხვების ქოლგების  
ქვეშაც მიწევდა ხოლმე შეფარება.

ერთხელ მეტროდან გამოსულს მარჯტი წამომეტია. მისი ლატვიელი მეგობარი არსად ჩნდა. მორიდებით მომიახლოვდა სიურიფანა ქალიშვილი.



— ეს არაფერია, ჩვენთან უფრო ხანგრძლივი  
წევიმები იცის, შენც გადაითარე, — ახლოს მოვიდა  
და ქოლგა გამოსწია ჩემკენ. მკლავზე შევახე ხელი  
და თავიდან ფეხებამდე შევთვალიერე.

- ალბათ, ასეთი დამაპახსოვრდები, ოდნავ დან-ამული,— ღიმილით ვუთხარი, — ასე მგონია, თითქმის შენც წვემების ქალიშვილი ხარ, მათ ჩამოჰყევი ციდან,
- ქოლგა გამოვართვი და კარგად გადავაუარე.

- თავს ხომ არ გაბეჭრებს წვიმების ქალიშვილი?
- ამომხედა მან.

— რას ამბობ? ძალიან მოწონხარ, დანამუშლო,  
წამო, უქოლებოდ გავიქცეთ ამ წვიმაში, ლექციაზე  
გვაგვიანდება, — ქოლგა დავკეცე, ხელი ჩავკიდე  
თამამად და სირბილით გავიყოლე.

— კარგი, გაჩერდი, დავსველდებით, ისევ ქოლგა დაგინუროთ! ნახე, ყველა ჩვენ გვიყურებს, — გამვლელებზე მითითებდა იგი.

- გვიყურონ, რა გენალვლება? წამოდი, წამოდი,
- მივრბოდით წვიმიან ქუჩაში, მარეტი კისკისებდა  
და თან მეზევწებოდა, ქოლგა მომეცი, კველდებიო.

რაღას ვიზამდი? ისევ გავშალე ქოლგა და მის ქვეშ შეფარებულებმა გავაგრძელეთ გზა. ახლა ვცდილობდი, არ დასველებულიყო და უმეტესად მას გაფარებდი. შენც დაიფარე, ორივეს გვეყოფაო, მეხ-ვეწებოდა იგი და მეკრობოდა გვერდზე. ეტყობოდა, გახარებული იყო, ჩემთან შეხვედრით, ხალისით მე-საუბრებოდა, უკეთ ვეცნობოდით ერთმანეთს. ახალი დამთავრებული ჰქონდა ტალინის უნივერსიტეტი, ისიც მხატვრული ლიტერატურის რედაქციაში მუშ-აობდა. წვიმბა მოუმატა, მაგრამ მალე მივუახლოვდით ინსტიტუტს.

— მაღლობელი კარ შეფარებისათვის, — ქოლგა დაკარგე, მიგაწოდე და ჯგუფელებს შეკრიტ.

იგი თავის ლატვიულ მეგობარს მიუახლოვდა, მე  
კი ურალიდან ჩამოსული ახალგაზრდა ქალბატონი  
გამომელაპარაკა.

ლექციების შემდეგ მარეტონ ერთად მინდოდა ქალაქში გასეირნება, მაგრამ ირინა მეღოდებოდა და გვერდი ვერ ვუძიე.

დღეები კი მიდიოდნენ წვიმებითა და ღრუბელმო-  
ფარებული მზის გამონათებებით. ხან ჯგუფ-ჯგუფად  
დავდიოდით მუზეუმებში და კინოთეატრებში, ხანაც  
ორ-ორად და სამ-სამად დაცალკევებულები დავწ-  
ერიალობდით.

ჩვენი ერთოვანი სემინარის პროგრამაში არაუკრიბელი იყო ახალი. ზოგადი ლექციები გვიტარდებოდა რედაქტირებასა და საგამომცემლო საქმიანობაში. იქ იგივეს გვიკითხავდნენ, რაც თბილისში კარგად მქონდა ნახტავლი და რაშიც რედაქციაში საქმაო გამოცდილებამიღებული ვიყავი. სრულიად ზედმეტი იყო ეს სემინარები, ამიტომაც უმეტესობა აგდებით ვეკიდებოდით. კომუნისტური სახელმწიფო ასეთი შეკრებებით ერთმანეთს გვაჩვევდა, თუ რა იყო, არ ვიცი...

ზოგჯერ მოკავშირე რესპუბლიკების კულტურასა და ლიტერატურაზე ჩამოვარდებოდა საუბარი. იქაური ლექტორები უპირატესობას რესულ კულტურას ანიჭებდნენ და სხვა ერების ღირსებებს აშკარად ამცირებდნენ. ერთ-ერთი მათგანი ამბობდა, ქართველები და სომხები ამბობენ, უძველესი დაწმერლობა გვაქვს, მაგრამ არ გვაჩვენებენო. აღმფოთებული წამოვხტი.

— ვინ არ გაჩვენებთ-მეთქი! — შევეკამათე და რამდენიმე სიტყვით მოვუთხრე ქართული დაწმერლობის შესახებ. ბალტიისპირელმა ქალიშვილებმაც მწარე რეპლიკები ესროლეს სხვების ღირსების ვერდამახახავს და საბოლოოდ გავჩერეთ იგი.

ზოგჯერ ვაცდენდი იმ უაზრო ლექციებს და ქალაქის ღირსებანიშნაობებს ვათვალიერებდი ირინასთან ერთად. ხანდახან სხვებიც შემოვგიერთდებოდნენ. რამდენჯერმე გახმაურებულ ფილმებსაც დავესწარით მთელი ჯგუფი.

ერთხელ სასტუმროში დაბრუნებულმა დერეფანში მარეტი მოვკარი თვალი, თითქოს მოწყენილი იდგა ფანჯარასთან და წვიმაში ჩამბალ ბაღს გაჰყურებდა.

— როგორა ხარ, ხომ არ მოიწყინე, სამშობლო ხომ არ მოგენატრა? — თბილად მივმართე.

— კი, მომენატრა, მაგრამ ზოგჯერ აქაც საინტერესოა, — მიპასუხა, — თქვენ არ მოგენატრათ თქვენი მშვენიერი საქართველოო?

— როგორ არა, მაგრამ ჩემთვისაცაა აქ ზოგჯერ საინტერესო-მეთქი.

მორჩილად იდგა ჩემ წინ და ცდილობდა, საუბარი გაეგრძელებინა, მაგრამ ამ ღროს დერეფანში რამდენიმე ჩვენი ჯგუფები შემოვიდა. ერთმანეთს გამოვლაპარაკეთ. გოგონები თავიანთი ოთახებისკენ გაემართნენ და მარეტიც იძულებული გახდა მათ გაპყოლოდა.

ირინა თავისუფალ დროს საყიდლებზე დადიოდა ქალაქში. ყოველმხრივ მოწესრიგებულ ქალიშვილს საქმაო თანხაც ჰქონდა წამოღებული, კაფეებსა და კინო-თეატრებში თვითონაც ცდილობდა ფულის გადახდას, მაგრამ მე არ ვანებებდი.

ერთხელ მარეტი მომიახლოვდა და მორიდებით მთხოვა:

— თუ შეიძლება ქართული ანბანი დამიწერე თავისი ინგლისური შესატყვისებითო.

გამეხარდა, რომ უცხო ქალიშვილი ჩემი მშობლიური ენით დაინტერესდა.

— რად გინდა, ქართული ენის სწავლას ხომ არ აპირებ-მეთქი.

— არაო, — მითხრა, — უბრალოდ მინდა, ასოები ვახო და ვიცოდე მათი მნიშვნელობაო.

მე დაგუწერე ქართული ანბანი, შესაბამისი ინგლისური ასოებიც მივუწერე გვერდით, რა თქმა უნდა, ნაწილი მიახლოებითი მნიშვნელობით. მერე საერთაშორისო შესატყვისებიც მოვუძნებნე.

— რუსული ასოებიც ხომ არ მივუწერო-მეთქი?

— კაითხე.

— არა, არ მინდა, ინგლისურიც საკმარისიაო, — ჩაიღიმა მან.

წაგუკითხე ქართული ანბანი, ყველაფერი ავუჩსენი, ქართული დამწერლობის წარმოშობაზეც ვუთხარი ორიოდე სიტყვა. მერე ესტონური ენის შესახებ კაითხე და ვთხოვე, რაიმე წაეკითხა ესტონურად, მათი ენის შემოვადობა მაინტერესებდა. მარეტს ესი-ამოვნა ჩემი თხოვნა და ისეთი სინაზით წამიკითხა რამდენიმე ლექსი, რომ აღფრითოვანებული დავრჩი. თუმცა, მაინცდამანც ვერ გავარკვიე, ენა იყო ასეთი ლამაზი, თუ მარეტის ნაზი მეტყველება ამშვენიერებდა მას. მერე მე წაგუკითხე ქართულად ნაწყვეტები ვეფხისტყაოსნიდან, გალაკტიონის რამდენიმე ლექსი და, ცოტა უხერხული კია ამის თქმა, მაგრამ ჩემი ლექსებიც ამ გენიოსების შემდეგ.

დროდადრო საქართველოში ვრეკავდი, საყვარელ გოგონას, მეგობრებსა და ახლობლებს ვეხმიანებოდი. დრო ჩეარა გადიოდა. სამშობლოში დაბრუნება გვხიბლავდა, მაგრამ ერთმანეთთან დაცილებაც გვინანებოდა ზოგირთებს. თუმცა უმეტესობას ეს დაცილება არაფრად მიაჩნდა.

— ერთი კვირაც და ყველას დაგვავიწყდება ერთმანეთიო, — ამბობდა ერევნიდან ჩამოსული ახალგაზრდა ქალი.

— რას ამბობთ? მე ყველა მეხსომებით და მეყვარებით, — ღიმილით ვპასუხობდი მე.

— ეგ იმათ უთხარი, ვისი ქოლგების ქვეშაც ეფარებიო, — იცინდა იგი.

ირინამ სულ უფრო მოუხშირა საყიდლებზე სირბილს. მე კი რომელიმე სხვა თანაჯებულობან ვსეირნობდი ხოლმე. ზოგჯერ წიგნის მაღაზიებში ახალ, ჩემთვის საინტერესო გამოცემებს ვეძებდი. სწორედ წიგნის მაღაზიაში გადავაწყდი ერთხელ მარეტს და მის მეცობარს. რაღაც წიგნები შევიძინეთ. მე ორი კარგი ქართველი მწერლის რუსულად თარგმნილი წიგნები ვიყიდე და გოგონებს ვაჩუქერ. მალიან გაეხარდათ და, სამაგიეროდ, მათაც მაჩუქეს ესტონელი ავტორის რუსულად თარგმნილი წიგნი. მერე კაფეში დავსხედით და დიდხანს, დაღმებამდე ვისაუბრეთ ჩევნ-ჩევნი ქვეყნების ლიტერატურაზე, ისტორიაზე, წეს-ჩვეულებზე, რუსეთთან დამოკიდებულებაზე, სიყვარულზე, მეგობრობასა და სხვა უამრავ რამეზე. უკვე სამშობლომონატრებულს მხოლოდ ჩემს მატულზე მინდოდა საუბარი, თუმცა სხვების ღირსებანიც მაინტერესებდა და ყურადღებით ვუსმენდი მათ. ბედნიერი და ამაყი ვიყავი მათ წინაშე ჩემი სამშობლოთი, ჩემი ერთი და მისი უძველესი კულტურით. ისიც მხიბლავდა, რომ ესტონელმა და ლატვიელმა ქალიშვილებმა ბევრი იცოდნენ ჩემი ქვეყნის შესახებ.

სასტუმროში ერთად წამოვედით, თავიანთ ნომერთან მივაცილე გოგონები, მეგობრულად გადავაკოცნე და დავემშვიდობებე. სწორედ მაშინ, გამომშვიდობებისას და მარეტის თვალებში ჩახედვისას, ჯერ უხილავი,

რაღაც უჩვეულოდ შშვიდი, მოცისფრო თოვლით და-  
ფარული ტბისპირა ნაძნარი წარმომიდგა თვალწინ  
და ამ ჩრდილოური პეზაჟის მოლანდებამ გული  
თითქოს საამო სიგრილით ამივსო. უნებურად მარე-  
ტზე უფრო დიდხანს შევაჩერე ყურადღება, თუმცა  
მალე მოვერიე თავს და ჩემი ოთახისაკენ წამოვედი.

ამასობაში სემინარების დროც მიიწურა. მისი  
გავლის მოწმობები ავიღეთ და შინ დასაბრუნე-  
ბლად დავიწყეთ მზადება. წამოსვლის დღეს ირინა  
გავაცილე, მისი თვითმურინავი დილით მიფრინავდა.  
თითქმის კველას დავემშვიდობებ, ბალტიისპირელი  
გორონები კი ერსად ვნახე. მიხარიდა შინ დაბრუნება,  
მაგრამ ვგრძნობდი, რომ რაღაც მაკლდა გულს და  
კხვდებოდი, რომ ეს ესტონელი ქალიშვილის დაუმშ-  
ვიდობებლად გაშვება იყო. აეროპორტში იძღვნად  
ადრე მივედი, რომ ირინას წასლის შემდეგ ერთხანს  
სასტუმროში დაბრუნება გადავწყვიტე, იქნებ მარეტი  
ისევ იქ მიბრუნდა-მეტები. მაგრამ ეს თითქმის გამორ-  
იცხული იყო, სასტუმროს ადმინისტრაციაში მითხრეს  
გამოსკლისას, ბალტიისპირელი ქალიშვილები უკვე  
გაემგზავრნენო. არადა მისამართები და ტელეფონები  
უნდა გაგვეცვალა, ამის შესახებ მარეტმაც მითხრა  
წინა საღამოს. მე საქართველოშიც კი დავპატიჟე ის  
და ლატვიელი ქალიშვილი. ერთხანს ირინაზეც ვძრა-  
ზობდი, რისთვის გამაცილებინა თავი-მეტები. თუმცა  
ირინა არაფერ შუაში იყო, ჩენ რომ გამოვედით  
სასტუმროდან, ბალტიისპირელები უკვე წასულები  
იყვნენ. უაზროდ დაგბორიალობდი აეროპორტში.  
თბილისის თვითმურინავი საღამოს მოფრინავდა.  
ერთხანს ფანჯარასთან დავდექი და აღლვებულმა  
იმაზე დავიწყე ფიქრი, სამშობლოში დაბრუნებული  
მოვახერხებდი თუ არა მარეტთან დაკავშირებას. ცა  
მოიღუშა, თითქოს წვიმას აპირებდა ისევ. ფიქრებში  
გართული გაფურებდი უმზეო მიღამოს და ამ დროს  
უცებ მკლავზე ვიღაცის ხელის შეხება ვიგრძენი.  
მოვიხედე, ჩემ წინ მარეტი იდგა!

— მარეტ! — გახარებულმა ვეღარაფერი მოვიფიქრე, ხელები მოვხვიე და გულში ჩავიკარი, — მარეტ,  
როგორ მომძენე? სად გაუჩინარდი დღეს დილით,  
რამდენი გეძებე!

მარეტმა ცრემლიანი თვალებით ამოშედა.

— ჩენ მატარებლით უნდა გავმგზავრებულიყავით,  
ჩემს მეგობარს ეჩქარებოდა, მეც მასთან ერთად ვა-  
პირებდი რიგაში ჩასვლას და იქიდან ტალინისაკენ  
გავწევდი. ძალიან ადრე გავედით სასტუმროდან, შენი  
გაღვიძება მოგვერიდა, წერილი და ჩენი ტელეფონის  
ნომრები დაუტოვეთ სასტუმროს შვეიცარს თქვენთ-  
ვის გადმოსაცემად. არ აგიღა?

— ჩემთვის არაფერი მოუციათ.

— ოპ, იმათი!.. — თავის ენაზე რაღაც ჩაილაპარაკა  
მარეტმა, — ეგეც ვიფიქრე, შეიძლება არ მოეცათ, რა  
ხალხია!.. მატარებელში ჩასხდომისას მივხვდი, რომ  
შენს უნახავად ვერ წავიდოდი, მაატიე ეს სისუსტე,  
— ისევ ცრემლებით აევსო თვალები, — იძულებული

გავხდი ლატვიელი მეგობრისათვის ამეხსნა, ვაჟას  
რომ არ გამოვემშვიდობო, ვერ გავძლებ-მეთქი. მან  
კარგად გამიგო ყველაფერი, დამნაშავედ იგრძნო თავი,  
— მე რომ არ წამომეყვანე, ხომ ნახავდი ქართველსო.  
გადავდებ ჩემს საქმეს, მეც წამოგყვები აეროპორტში  
და მოგატებნინებო. მაგრამ მე არ დაგანებე, გავამგზა-  
ვრე მინ და მეტე აქეთ წამოვედი. რამდენი გეძებე და  
მაინც როგორ გიპოვე ამდენ ხალხში, მთავარი ის იყო,  
ვიცოდი, შენი თვითმფრინავი გვაიან რომ მიურინავდა.  
აი, კიდევ საქმაო დრო დარჩა, შენ გაგაცილებ და  
საღამოს მატარებელს გავყვები შინისაკენ. მაპატიე,  
ვაჟა, მე შენ ვერასოდეს დაგივიწყებ, — თავი დახარა  
და მკერდზე დამადო.

— რა გაპატიო? პირიქით, დიდად გმადლობ, ჩემო  
წვიმების ანგელოზო, — გული ამითროთოლა მისმა  
აღსარებამ და ისევ მივიკარი მკერდზე.

თვითმფრინავში ჩასხდომმდე მართლაც საკმაო  
დრო რჩებოდა, თუმცა მაშინ გამომგზავრებაზე აღარც  
ვფიქრობდი. გარეთ ისევ წვიმდა. ჩენ აეროპორტის  
კაფეში მყედრო კუთხე მოვნახეთ და დიდხანს ვიყა-  
ვით ერთმანეთს ჩახვეულები. ერთმანეთის სუნთქვას  
ვაყურადებდით მხოლოდ, ჩენ-ჩენ ენდზე ვჩურჩულე-  
ბით და მიუხედავად ერთმანეთის ენების არცოდნისა,  
ძალიან, ძალიან კარგად გვესმოდა ეს ნაჩურჩულევი  
საალერსო სიტყვები.

ჩემს გამოფრენამდე დარჩენილი შვიდი საათი  
შვიდი წუთივით მიიღია, მაგრამ მათში თითქოს  
მოელი წლის ვნეათაღელვა დაეტია. მე დარჩე-  
ნას ვაპირებდი, ვთხოვდი, რამდენიმე დღით ორივეს  
გადავედი შინ გამგზავრება. მაგრამ მარეტი ძალიან  
შემტრინააღმდეგა.

— არაფერს გავალდებულებ, მხოლოდ მეხსომები  
და მეყვარები მუდამ. შენ შენი ცხოვრება გაქვს, მე  
— ჩემი, თუმცა არ მინდა, ჩენი ურთიერთობა სააგა-  
რაკო რომანს ჰგავდეს. ამის შემდეგ ჩენ მხოლოდ  
სულიერი ნათესაობა დაგვაკავშირებს. შენ მუდამ  
ევვარები წვიმების ქალს, დაუკიწყრო და თუ შენი  
სურვილიც იქნება, ხანდახან შეგებმიანები კიდეც. ხომ  
თქვი, თბილისში შეეყვარებული მყავსო?

— კი, მყავს, თუმცა უშენობას ვინ შემიგსებს? —  
დაუფიქრებლად ვამბობდი მე.

— აბა, აბა, ჭკვიანად, ყმაწვილო, — სინდისზე  
შემაგდო ამ სიფრიფანა ანგელოზმა, მერე უნაზესი  
ყელსაბამი მოიხსნა და მომაწოდა, — ეს მას გადაეცი  
ჩემგან.

— რას ამბობ, როგორ?

— ნუ მაწყენინებ, ძალიან გთხოვ, თავისი ხელით  
ჩამიდო გულის ჯიბეში და ისევ მკერდზე მომადო  
თავი.

— მინდა, შენც იყო ჩემთან, არ შეიძლება?

— ოპ, რა ერთგული ყოფილხარ! კარგი, გასაგებია  
ყველაფერი, ნუ გებრალები, მე მეგობარი ვიქნები  
შენი.

— მომენატრები, — ისევ ჩავიკარი გულში.

თვითმფრინავში ჩასხდომა გამოცხადდა, მე ისევ ფეხს ვითრევდი, მაგრამ მარეტმა წამიყვანა გასას-ვლელისაკენ.

ყველაფერი ისე აეწყო, როგორც აუცილებელი იყო. ვიჯეპი თვითმფრინავში, გული სამშობლოსთან და ახლობლებთან შეხვედრის სასიამოვნო მოლოდი-ნით მიცემდა, თუმცა ვერძნობდი, რომ ჩრდილოელი ქალწულისაგან გამოყოლილი სითბო ერთგარ გაურკვევლობაში მხვევდა და ნამტირალევი ბავშვი-ვით გულაჩუებული ვძრუნდებოდი შინ. ვხვდებოდი, რომ მარეტი ჩემი არასოდეს გახდებოდა, მაგრამ შეიძლებოდა, დაკავშირებოდი ხოლმე და იქნებ კიდეც შევხვედროდი.

თანდათან გამოვდიოდი უცნაური ბურუსიდან და ახლა ის უფრო მახარებდა, რომ სამშობლოში ჩემი რჩეული მელოდებოდა. იმდღევანდელი აღტკინება კი მაინც დროებითი მოვლენა იყო, მაგრამ დაუვიწყარი.

თბილისში ჩამოსული ჩემს გოგონას შეეხვდი და კიდევ ერთხელ დავასკვნი, რომ ჩემთვის მას ვე-რავინ შეცვლიდა. მე აღსარება მომინდა მის წინაშე, თითქოს რაღაც ვუამბე მარეტთან დაკავშირებული და გამოტანებული ყელსაბამიც გადავეცი. მას ცრემ-ლები მოადგა თვალებზე, ყელსაბამი გამომართვა და რატომდაც მარეტივით გულზე მომადო თავი.

ცხოვრება ჩემი მელოდიერივად მიღიოდა. მე ჩემი სიყვარული მქონდა, თუმცა მარეტსაც ვიგორებდი ხოლმე. ერთხელ ბალტიისპირელი გოგონების მოწვევა მოვინდომე, მაგრამ მალე მოელი ქვეყანა აირია და მათი ჩამოსვლაც გადაიდო. მე და მარეტი ხანდახან ტელევფონით ვუკავშირდებოდით ერთმანეთს. როცა ეროვნული მოძრაობა აბობოქრდა და იმპერიის მესვეურებმა ცხრა აპრილს ხეცვა-ულეტა მოგვიწყვეს, იგი სანუგეშმ სიტყვებით შემეხმიანა. ხოლო როცა დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, მილოცვის წერილი მოიტანა ჩრდილოეთის ქარმა: „რა ძლიერები ხართ! ყველაზე მძაფრები და ვაჟებულები ხართ იმპერიის ნარევაში, როგორ მიდის შენი შემოქმედების საქმე, მომწერე რამე“...

მაგრამ სამოქალაქო ომი დაიწყო და მე მრცხ-ვენდა ჩემი შორეული მეგობრის წინაშე თანამე-

მამულეთა უზნეობისა და სამშობლოს უბედურების გამო. მნელი იყო, ამ დროს ვინმეს შევხმიანებოდი. როცა ეროვნული ხელისუფლება დაამხეს და ბრძო-ლის ველად ქცეული რუსთაველის გამზირი იანვრის თოვლმა გადაფიცქა, მაშინ მარეტის გამოგზავნილი დეპეშა მივიღე: „ვაჟა, რა მოვდით, რატომ ხოცავთ ერთმანეთს, დაფიქრდით, ნუთუ მტრების ოინგბს უნდა აპყვეთ?! ასეთი, ასეთი კარგები ხართ და რო-გორ იმეტებთ ერთმანეთს? მე ვიცი, რა დღეში იქნები შენ ახლა. გულწრფელად გითანაგრძობ, მეგობარო, თავს გაუფრთხილდი. შენთვის და შენი სამშობ-ლოსათვის იმედიანი მომავლის სურვილით, მარეტი“.

მისი ქვეყანა კი ვითარდებოდა მშვიდობიანად და ბეჭინიერად. ის იქედან მე კი არა, ჩემს ქვეყანას ხედავდა და ამით გებულობდა ჩემს მდგომარეობას. მერე ცხინვალისა და აფხაზეთის ბრძოლები, კიდევ რამდენი უბედურება გადავიტანეთ. მაშინ კიდევ უფრო ვიგრძენი, თუ როგორი ლირსებააყრილი ვი-ყავი ჩემი უცხოელი მეგობრის წინაშე სამშობლოს მდგომარეობის გამო. თავიდანვე ისე აეწყო ჩვენი ურთიერთობა, რომ მარეტთან მე ჩემი სამშობლოთიც ამაყი უნდა ვყოფილიყავი, ახლა კი... ბოლო წერილზე არ მიპასუხნია, მერე სამსახურისა და ბინის შეცვლაც მომიხდა და არც ის ვიცი, დარეკა თუ არა როდესმე.

ახლა ინტერნეტით ურთიერთობას რა შეედ-რება, ხანდახან მინდა, დავუკავშირდე ჩემს შორეულ მეგობარს, მაგრამ ლირს? ჯერ ერთი, უკვე ოჯახი მაქვს და მეორეც, კიდეც რომ ვნახო ოდესმე, რით მოვიწონო თავი, როგორდა ვიამაყო მაშინდელივით ჩემი დამცრობილი სამშობლოთი ნირწამხდარმა?

დროს დავიწყებისკენ მაიქვს ყველაფერი. მაგრამ როცა ზაფხულის დღეები ნისლებს მოიხვევენ და გრილი წვიმები ასველებენ ჩემს ტყეებს, უჩვეულო მონატრება შეათროთოლებს ზოგჯერ გულს, — გონების თვალით გადავლახავ უშორეს სივრცეებს და ვწედავ, თუ როგორ დადის პატარა ჩრდილოური ქვეყნის წვიმიანი ქალაქის ქუჩებში მომხიბლავი ცისფერ-თვალება ქალი — მიზეზი ჩემი გულის შორეულ კუნძულში ჩარჩენილი უცნაური სიყვარულისა...

\* ნაწარმოები რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხოვნის“ კონკურსში 2016 წელს  
სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა

# ინტერვიუ

## „პატივს კცემ ადამიანებს და ვცდილობ, მაქსიმალური გავაკეთო მათი დახმარებისთვის“...

გულიკო ზუმბაძის პერსონა



წიგნების კითხვა ბავშვობიდან უყვარდა და დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. ბავშვობიდანვე დაჩაგრულის ქომაგიც იყო. უსამართლობას ვერ ეცულებოდა. ამ პრინციპით მთელი ცხოვრება იცხოვრა... მოგვიანებით პედაგოგიური უნივერსიტეტი პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის განხრით დაამთავრა. პარალელურად საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობდა.

დღესაც ამაყობს თავისი აღსაზრდელებით, იმ საქმიანობით, რასაც პედაგოგიური მუშაობის პერიოდში ეწეოდა. პედაგოგიურ საქმიანობას მოჰყვა არასამთავრობო სექტორში მუშაობის 10 წელი და საქმაოდ წარმატებული და მნიშვნელოვანი პროექტებიც განახორციელდა.

დღეს თბილისის სკოლების მაჟორიტარი წევრი და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარეა.

ამბობს, რომ მთავარი პრინციპი მისი საქმიანობისა არის – სწორი სტრატეგია და შედეგზე გათვალისწინებული ნაბიჯები. ამ მხრივ ბევრს აკეთებს დედაქალაქისა და მისი მაცხოვრუბლებისთვის. მათ ყველა კარგ საქმეში გვერდით უდგას.

უანგაროდ ეხმარება მწერლებს, ხელოვან ადამიანებს... თავადაც ბავშვობიდან წერს ლექსებს, ჩანახატებს. ახლახან მის ლექსზე – „თბილის“ მშვინიერი სიმღერა შეიქმნა. თბილისი მისი მარადიული სიყვარულია. – გულიკო ზუმბაძის პერსონა.

### – რა დაგძასსოვრდათ ბავშვობიდან?

– ჩავფიქრდი... ბავშვობაზე ფიქრის დრო ჯერ არ მქონია, როგორი ბავშვობა მქონდა? როგორც ყველა ბავშვს, მიყვარდა თამაში და წიგნების კითხვა, რომელიც ძალიან ადრე დავიწყე, პირველ კლასში რომ შევედი, ორი წლის პროგრამა ვიცოდი და ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ტომი – ზღაპრები, მთლიანად წაკითხული მქონდა, მერე აღარც მახსოვს, რამდენს და რას ვკითხულობდა. მიყვარდა ზაფხულის არდადეგები, სადაც მივდიოდი, ბიბლიოთეკას ვაკითხავდი, ვკითხულობდი და ვკითხულობდი, რაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა. ამასთან, როგორც გითხარით, მიყვარდა თამაში, როცა წამოვიზარდე, სპორტის რამდენიმე სახეობაში „ვცადე ბედი“.

ჩემი მშობლები ყველაზარად გვიწყობდნენ ხელს (მე და ჩემს დას), ლალად რომ გვეგრძო თავი.

თუმცა, ადამიანების ბედი ბავშვობიდან მაღლებრივი დაჩაგრულის ქომაგი ვიყავი და უსამართლობას თუ ვიგრძნობდი, ძალიან განვიცდიდი. არ მიყვარდნენ თანამდებობის პირები, ისინი ძალიან განსხვავდებოდნენ ჩევეულებრივი ადამიანებისგან და მეჩვენებოდა, ზევიდან უყურებდნენ უბრალო ადამიანებს. ეს ჩემში პროტესტის გრძნობას ბადებდა.

### – რით იყო გამორჩეული სკოლის პერიოდი?

– მეგობრებით, თანაკლასელებით, რომლებიც ახლაც ძალიან მიყვარს და მენატრებან... სკოლაში კულტურული და ლიტერატურული ღონისძიებები მიყვარდა, ვცდილობდი, სცენაზე ხშირად გამოვსულიყავი, ჩემი ასეთი „მცდელობები“, განსაკუთრებით დაბალ კლასებში, ახლაც ღიმილს მგვრის.

– თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი (ახლანდელი ილიას უნივერსიტეტი) პედაგოგიკა და ფსიქოლოგიის განხრით დაამთავრეთ.

— გათხოვილი ვიყავი და ერთი შვილიც მყავდა, როცა უმაღლეს სასწავლებელში ჩავბარე. იმ დროისათვის უკვე სწორედ პედაგოგიკა და ფინანსობრივი მაინტერესებდა. ამავე დროს ვმუშაობდი აღმზრდელად საბავშვო ბაღში. წინააღმდეგობებით სავსე რეალობა იყო, კრემლის მიერ მომზადებული „რეცეპტებით“ მიმდინარეობდა სწავლა-აღმზრდის პროცესები, რომელიც მთლიანად აცდენილი იყო, ჩემს ხედვასთან და მიღებულ განათლებასთან. აქვე მინდა გავიხსენო და მადლობა გადავუხადო ჩემს ლექტორებს: ფინანსობრივი მარინა და მანანა ჯაფარიძეებს იმ ცოდნისთვის, რასაც ისინი სტუდენტებს უზიარებდნენ და უშუალოდ ჩემ მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის.

### **— სხვადასხვა დროს, აღმზრდელად და ფინანსობრივი მუშაობით...**

— როგორც აღვნიშნე, წინააღმდეგობებით სავსე დრო იყო, განსაკუთრებით 80-ანი წლების ბოლო, ეროვნული მოძრაობის დაწყების პერიოდი, 9 აპრილი და შემდგომი წლები... მავანთ ჩემი გამოკვეთილი პროექტთულობა (აღვნიშნავ, რომ ვმუშაობდი მაშინდელი 31-ე საავიაციო გაერთიანების ერთ-ერთ საბავშვო ბაღში, რომელიც პირდაპირ კრემლს ექვემდებარებოდა) უურადღებოდ არ დაუტოვებიათ და გარკვეული ზეწოლებიც ხორციელდებოდა, თუმცა მაშინ ვერც ვაცნობიერებდი, რატომ ხდებოდა ჩემთან მიმართებაში სხვადასხვა სახის შენიბეჭდი ხელის შემშლელი მოქმედები.

იმის მიუხედავად, რომ მძიმე პერიოდიც მქონდა, ვამყობ ჩემი აღსაზრდელებით, იმ საქმიანობით, რასაც მე პედაგოგიური მუშაობის პერიოდში ვეწეოდი.

— სხვადასხვა დროს იყავით არასამთავრობო ორგანიზაციის „სამგორი“ თავმჯდომარე, გაზეთ „ისანი-სამგორის“ რედაქტორი, ასევე ფონდის „სამგორი-საქართველო“ აღმასრულებელი დირექტორი. რას ნიშნავდა თქვენთვის ეს პერიოდ?

— არასამთავრობო სექტორში საქმიანობის ლამის ათწლიანი სტაჟი მაქვს. ეს იყო ძალიან საინტერესო პერიოდი — 1996-2006 წლები. ეს სწორედ ის დროა, როცა ამ სექტორმა ფეხი აიდგა და დიდი წვლილი შეიტანა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესში. არასამთავრობო სექტორი დღესაც, ძირითადად, ამ ფუნქციის მატარებელია და ეს მხოლოდ მისასალმებელია.

არასამთავრობო ორგანიზაციაში ჩემი ძირითადი საქმიანობა სწორედ თვითმმართველობის თემები გახლდათ. შეიძლება ითქვას, რომ ჩემი ორგანიზაცია საკმაოდ წარმატებული იყო და მნიშვნელოვანი პროექტებიც განახორციელა. რაც შეეხება ფონდს, ფონდმა მცირე ხნით იარსება, თუმცა საშუალება მომეცა, მრავალი ადამიანისათვის, ახალგაზრდა თაობებისათვის თანადგომა გამეწია, მათი ნიჭის



წარმოსახუნად. ასევე, დავხმარებოდი ხანდაზმულ ადამიანებს, მაღალმთან მოსახლეობას. ეს ის პერიოდი იყო, როცა თავდა სახელმწიფო ინსტიტუტები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ მუშაობდნენ.

— დღეს თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ხართ, რას იტყვით საკრებულოში თქვენი საქმიანობის შესახებ?

— როგორც გითხარით, ჯერ კიდევ არასამთავრობო სექტორში ვმუშაობდი თვითმმართველობის საკითხებზე, განვახორციელებ ისეთი პროექტები, როგორიცა „აქტიური მოქალაქები და ანგარიშვალდებული საკრებულო“, სათაურშივე ჩანს მთავარი არსია ამ პროექტისა, რასაც, სხვათა შორის, მე, როგორც საკრებულოს წევრი, დღეს რეალურად ვახორციელებ.

უშუალოდ საქმიანობაზე რომ ვისაუბრო, ამ სამი წლის განმავლობაში მრავალგვერდიანი ანგარიშების წარმოდგენა მომიწევს... მოკლედ შემიძლია ის გითხრათ, რომ მთავარი პრინციპი ჩემი საქმიანობისა არის სწორი სტრატეგია და შედეგზე გათვლილი კონკრეტული ნაბიჯები. პატივს ვცემ ადამიანებს და ვცდილობ, მაქსიმალური გავაკეთო მათი დახმარებისათვის, როცა ისინი ამას საჭიროებენ.

— თბილისში უსახლკაროთა რიცხვი დღითიდღე მატულობს... ამ თემას არაერთი პრესკონფერენცია მიუძღვებით... რამდენად გამოსწორდა ვითარება? თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, როგორ საბინაო პოლიტიკას შეიმუშავებდით?

— საცხოვრისზე ხელმისაწვდომობის პრობლემა წარმოიშვა საბჭოთა კავშირის დანგრევის მომენტიდან. ახალ სახელმწიფოებრივ ვითარებაში ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი ეროვნული სტრატეგია ამ მიმართულებით. თუმცა ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი, ვინაიდან საცხოვრებელი გარემო პირდაპირ განსაზღვრავს პიროვნების ქცევას სოციუმში. სპონტანურმა, არათანაბარმა ურბანულმა და სოციალურ-ეკონომიკურმა განვითარებამ ქვეყნის

მასშტაბით ყველაზე მეტად ადამიანების საბინაო პრობლემები გამოიწვია. დღეს სახეზეა ათიათასობით ოჯახი, მარტო თბილისში, რომელიც არასათანადო საცხოვრებელ პირობებში იმყოფებიან.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის დოკუმენტებში ვკითხულობთ, რომ პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველოს და ტაჯიკეთს არ აქვს საბინაო პოლიტიკა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით პოლიტიკური ნება არ არსებობს. მე მზად ვარ, გაეროს უენევის ქარტიის – „მდგრადი საბინაო მეურნეობის“ – შემუშავებისას მიღებული გამოცდილება გამოვიყენო სწორედ ამ პოლიტიკის შემუშავებაში.

**– დიდი ლილოს ნაგავსაყრელის პრობლემა მტკიცნეულია თბილისისთვის... ეს საკითხი წესით 2017 წლის ბოლოს უნდა მოგვარდეს. წლების განმავლობაში ნაგავსაყრელის კონსერვაციას მოითხოვთ... რა ვითარებაა დღეს ამ მხრივ, რა არის დამაბრკოლებელი ფაქტორი?**

– ეს ძალიან ვრცელი თემაა. მთავარია, ყველაზე დიდი ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილების პროცესი დაიწყო. კომპანია „დაგი“ ასრულებს დაახლოებით რვამილიონიან სამუშაოებს. პარალელულად დაიწყება უსაფრთხო ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა. მაგრამ დიდი ლილოს, ნასაგურისა და წინუბნის მოსახლეობამ ძალიან ბევრი გადაიტანა ამ ხნის განმავლობაში და ასე გაგრძელდება, სანამ პროექტი სრულიად არ დასრულდება. მე, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, განვიცდი მათ მდგომარეობას და ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ მათი მდგომარეობა მაღლ გამოსწორდეს.

**– დედაქალაქის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობთ... როდესაც დიდი ლილოსა და წინუბნის მიმდებარებული ტერიტორიაზე ბეტონისა და ბეტონის ნაკეთობების ქარხნის აშენების საკითხი დაისვა, თქვენ მერიას და მიწათასარგებლობის განახლებულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფს წინადადებით მიმართეთ და საგანგებო განცხადება გაავრცელეთ... რა შედეგი მოჰყვა თქვენს**



გამოხმაურებას? როგორ გესახებათ დედაქალაქის საგარეუბნო სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკა?

– ტერმინი – საგარეუბნო აგროპოლიტიკა – მე გავაუღორე, ეს არის გრძელვადიანი (ამასთან, სწორი) ხედა გარეუბნების, ძირითადად, შემოერთებული ტერიტორიების განვითარების პერსპექტივის შესახებ. ამ ტერიტორიების გადარჩენა, როგორც სასოფლო-სააგრაკე ზონებისა, სასიცოცხლოობასთან ერთად, ნასაგურში ტყვიის ქარხნის მშენებლობას, წინუბნში ბეტონის ქარხნის მშენებლობას. ასეთი საწარმოები არ უნდა განთავსდეს იქ, სადაც პერსპექტივაში ფერმერული და სხვა სასოფლო მეურნეობა უნდა განვითარდეს.

**– ლექსებს და ჩანახატებს ბავშვობიდან წერთ... ახლახან ურნალ „ანეულში“ თქვენი ლექსები გამოქვეყნდა...**

– გამომდინარე ჩემი მრავალშერივი საქმიანობისა და გადატვირთული რეჟიმისა, ეს, იმვიათად ხდება, მაგრამ ვინაიდან შემოქმედებით ტებობას თავისი ხიბლი აქვს, ამ იშვიათ „შემთხვევას“ თავს ადვილად ვერ ვაღწევ ხოლმე... მიხარია, რომ ჩემში, ხელოვნებისადმი, შემოქმედებისადმი სიყვარული უხვადა. ვაფასებ იმ ადამიანებს, ვინც ამ მიმართ-თულებით არიან დაკავებულინ. მათ ძალიან უნდა ვუფრთხილდებოდეთ და ხელს ვუწყობდეთ...

**– თქვენს ლექსზე – „თბილისს“ ნეკა ბაკურაძემ ლამაზი სიმღერა შექმნა... როგორ დაიწერა ეს ლექსი?**

– ურნალ „ანეულის“ იმ ნომრის პრეზენტაციაზე, სადაც ეს ლექსი დაიბეჭდა (ამ სიურპრიზისათვის კიდევ ერთხელ დიდი მადლობა!), მასსოეს, ვიხუმრე, ამ ლექსის პირველი ნაწილი დაიწერა 17 წლის ასაქში, ხოლო მეორე – ასევე 17 წლის, მაგრამ 40-წლიანი შუალედით-მეტქი... რუსთაველის პროსპექტზე დაიწერა, ოპერის სკვერში, კარგად მახსოვს (პირველი ნაწილი...)





— ვიცი, რომ მრავალ ადამიანს — მწერლებს, ხელოვანებს ეხმარებით საქუთარი შემოწირულობით... და მანც, როგორია თქვენი თვალით დანახული ბედი ხელოვანისა დღევანდელ საქართველოში...

— ჩენს სინაძლვილეში ძალიან ცოტა ყურადღება ეთმობა ხელოვან, შემოქმედ ადამიანებს. მათი დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას განიცდის და ეს კატასტროფაა. სულიერი საზრდო ისევე სჭირდება ადამიანს, როგორც ფიზიკური. თუ ბალანსი ირღვევა, საზოგადოება დეგრადაციას განიცდის. ამიტომ ყველა ნორმალურ ქვეყანაში სწორედ ამ სულიერი საზრდოს შექმნისა და ცოტა უხეშად ვიტყვი, გამოყენებისათვის, სახელმწიფო, დოტაციებს გასცემს. რაღაცა დოზით ჩვენთანაც ხდება თანადაფინანსება სხვადასხვა კულტურული და შემოქმედებითი ღონისძიებისა, მაგრამ ეს არსებულ ვითარებას არსებითად უკეთესობისქვენ ვერ ცვლის.

— რა არის თქვენი პობი? თავისუფალ დროს რას აქვთებთ?

— მიყვარს ბუნებაში სიარული, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იშვიათად ხდება... აქტიური დასვენება მიყვარს, ჩოგბურთი, ცურვა... წიგნებს, კარგა ხანია, მოუცლელობის გამო, ვეღარ ვკითხულობ. კარგად ვერთობი ახალგაზრდებთ ერთად.

— ოჯახი...

— მეუღლის დაკარგვამ ჩემს ცხოვრებას მძიმე დაღი დაასვა, ძალიან მაკლია და ძალიან მიჭირს... აღარათ ასე გაგრძელდება მთელი ცხოვრება, ის განსაკუთრებული ადამიანი იყო..

სამი შვილი მყავს, ორი ქალი და ერთი ვაჟი. ორი შვილიშვილი, 13 და 15 წლის, ვაჟები. მათთან ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს, თუმცა სულ მენატრიბიან და ხშირად ვერც მათ ვნახულობ.

— თბილისი... რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ თბილისში... რას შეცვლიდით?

— ქალაქი სწორად განვითარდება, თუ მოსახლეობა მაქსიმალურად იქნება ჩართული. ამ ჩართულობის

უზრუნველყოფას გავაკეთებდი, დაწყებული საკანონ-მდებლო ცვლილებებიდან, დამთავრებული მაღალი საპასუხისმგებლო საკადრო გადაწყვეტილებით.

ყველა უბანში ადგილებზე არჩეული საზოგადოებრივი საბჭოები უნდა იყოს, მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი სათემო ცენტრები, უნდა მონაწილეობდნენ ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში. ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა, ყველაფერი აქედან უნდა დავიწყოთ. რაც შეეხება კონკრეტულ საკითხებს ან მიღვომეს, თუ გვინდა ვუშველოთ ქალაქს, გარეუბნები პრიორიტეტული უნდა გავხადოთ, სათანადო ინფრასტრუქტურიდან დაწყებული, ყველა სახის (სკოლა, ბაღი, პოლიკლინიკა, კულტურული და სპორტული დაწყესებულება) ხარისხიანი სერვისის ხელმისაწვდომობით დამთავრებული.

— ოქტომბერში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს მორიგი არჩევნები ტარდება...

— მე მიყვარს ჩემი ამომრჩეველი. ვგრძნობ მათ წინაშე უდიდეს პასუხისმგებლობას. ვიბრძვი მათი ინტერესებისათვის, როცა არასწორი გადაწყვეტილების გამო შეიძლება მათი მდგომარეობა გაუარესდეს, ასე გავაუქმებინეთ ნასაგურში ტყვიის ქარხნის მშენებლობა, ვაუქმებინებთ ბეტონის ქარხნის მშენებლობასაც, სასოფლო და სააგარაკე მიწებზე. ვიბრძვი და ვიბრძოლებ საკუთრებისა და სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზებისათვის. მეტი განათლების, კულტურული ცხოვრებისა და ჯანდაცვის სისტემების გაუმჯობესებისათვის. ყველა დასახლება უნდა იყოს თანაბრად განვითარებული, ჩვენი მოქალაქე თავისი საცხოვრებლის გარშემო უნდა იყოს კომფორტულ და მიმზიდველ გარემოში. ისინი ამას ნამდვილად იმსახურებენ!

შემიძლია თამამად და მთელი პასუხისმგებლობით ვუთხრა ჩემს ამომრჩეველს:

„მე ვარ თქვენი ძალა — უკეთესი ცხოვრებისთვის!“

ქორწინა  
თამაჩ მესხევები



## ყველაფერზე მაღლა – ადამიანის ფენომენი...

„პოლიტიკა ბინბური საქმეაო“, – ქართველების მოგონილი მგონია... უდიდესი პოლიტიკოსი იყო რუსთაველი, ასევე ილია ჭავჭავაძე, ასევე ვაჟა-ფშაველა (გადაავლეთ თვალი მის ნამოლვაწარს, მთიელთა ჩასახლებას კახეთში, თიანეთში და ასე შემდეგ... მის კოსმოპოლიტურ შეხედულებებს...)

ჩემთვის პოლიტიკა ხელოვნების დარგია, სახელმწიფოს და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ხელოვნებისა... ადამიანებზე ზრუნვის ხელოვნებაა ის და პოლიტიკოსიც, შესაბამისად, მზრუნველი, კეთილსინდისიერი, უდავოდ პატრიოტი უნდა იყოს....

დიდი იმედით ვუყურებ, როცა პოლიტიკაში, მთავრობაში ხელოვანი, მწერალი, ინტელექტუალი ადამიანები მიდიან... ორმაგად სასიხარულოა, როცა პირიქითაც ხდება და პოლიტიკიდან ლიტერატურაში მოდიან პოლიტიკოსები, ცნობილი ადამიანები... ეს იმას ნიშავს, რომ ყველაფერზე (თანამდებობაზე, ფულზე, სრა-სასახლეზე...) მაღლა ადამიანის ფენომენი დგას...

გულიკო ზუმბაძე 9 აპრილიდან მოყოლებული აქტიურ ეროვნულ მოძრაობაშია ჩაბმული...

ის ახლა თბილისის საკრებულოს ადამიანთა უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის თავმდომარეა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ იგი დეპუტატი გახლავთ, ხალხის მიერ არჩეული დეპუტატი...

ჯუბა ღებელი

\* \* \*

მე შეიძლება შელახული სანდალი მეცვას და ჭაღის ნაცვლად დამნათოდეს ცაზე ეს მთვარე, მაგრამ ამ გულში სიყვარული სარტყელად მერტყას, მადლობა უფალს, რომ ოდესლაც გადამყარე,

ან იქნებ, სულაც დამიკაწროს ასკილმა ხელი, მისი ნაყოფით, რომ საღამოს ჩაი დავლიო, გვაშალო მოლზე დარიბული პატარა ტაბლა, სიღარიბეში ბეღნიერმა წლები გავლიო,

რადგანაც სულში მერცხლები მყავს, უვლიან ზეცას და არც ოქროს მთებს მივტირივარ გრძნობაშეშლილი, მე შეიძლება, შელახული სანდალი მეცვას და სიყვარულის შემოგავლო გრძნობის ჯებირი...

\* \* \*

უკვე ღამეა, რად არ ჩანან ეს ვარსკვლავები, თუ ნამტირალნი ჩაუცვივდნენ უბეში მთვარეს, ცად, რა ხანდა დაირეკა ცისკრის ზარები და ცრემლი მოსწყდა კელიაში

შორენას თვალებს, სიმუხთლე ბედის, სვეტიცხოვლის დროჟამის მომსწრე, აღმართულია, ტაძრის ხედი, როგორც შედევრი, იქ სახურავზე მოღულუნე მტრედები სწედან და ნისლი წვება მოქანცული, როგორც ბებერი. გავა წლები და საუკუნე შეხსნის დარაბებს, დღესაც სიძულვილს სჯობნის გრძნობა

სულ ერთი მუჭა, თავთუხისფერი დალალები შენს გულს განაგებს, ფლოქს მიწას რომ სცემს, ეს ულაყი შენია, უტა...

## ՕԼԻԱ ՔԱՎՔԱՎԱԾԵ ՀԱ ՔԱՅՆԱ ԱՄԻՐԵՋՈՒՅՈ

ՐԻԵՍՈՒԼՈ ՆԱՇԱՐՄՈՒՅՈ – „ԿԱՎՈԱ  
ԱԺԱՄՈԱՆՈ?!

„ԿԱՎԵԼՈԱ ԿԱՎՈ ՕՄԱՏ ԱԿԵԹԵՅՏ, ՐԱՎ ԻՎՈՏ ՀԱ ՐԱՎ  
ՇԵԲԴԱ“.

ՔԱՅՆԱ ԱՄԻՐԵՋՈՒՅՈ



Պայլուն Տօրամյ ՀԱ ՐԱՍՄՈՒՆ ՀՎՈԽԵՋԱԾԵ

ԱՐ ՄԱԵՏԵՐՎԵՍ, ԿԵՐԺՈՎ, ՐՈՄԵԼ ԻՆՑԵՐՎՈՒՇՈ  
ԵԿՈՒԹԵՅՈՒՆ ՔԱՅՆԱ ԱՄԻՐԵՋՈՒՅՈ, ՐՈՄԵԼՄԱ ՆԱՇԱՐՄՈՒՅՈ  
ՄՄԱՆԵԼՈՆԱ ԳԱՆՇԱՐՄՈՒՐԵԺՈՒԼՈ ՚ԵՎԱՎԼԵՆԱ ՏԵՎԵՆՑԵՐ,  
ՀԱ ՕՏՈՎ ԱՏԵԼԵՅԵՅՏ ԼԵՎ ՑՈԼՏՔՈՒՅՆ ՚ՈՒԹ ՀԱ  
ՄՇՎՈՒՐԵՆՈՅԱՏԵ, ԾԱԼՑԱԿՈՅՆ ՚ՄԱԺԱ ԳՐՈՒՅՈՆ“ ՀԱ ԱՏԵՎԵ  
ՕԼՈԱ ՔԱՎՔԱՎԱԾԵՆ ՚ԿԱՎՈԱ ԱԺԱՄՈԱՆՈ?!”

Եղծիսմուրո ԱԺԱՄՈԱՆՈ ԱԼԵԼԸՆԵՅԱ, ՐՈՎԱ ՇԱԿԱԿՈՒՅՈ-  
ԱՅՏ, ՐՈՄ ՄԱՏ ԳԱՄՈՐԻԿԵՐՈ ՇՎՅԱՐՆ ՚ԿԱՎՈԱ ԱԺԱՄՈ-  
ԱՆՈ?!, ՐՈՄԵԼՇՈՎ ՕԼՈԱ ՄԻՏՈ ՄՏԱՎԱՐՈ ԵՐՏԵՐՆԱՇԵՅՈՒՅՈ  
ՍԱԽՈՒ, ՎԵՐ ՑՈԼԵԼՈՅՏ ՄՏԱՎԱՐ, ԱՐՏԵՅՈՒՅ ԿՈՒԹԵՎԵՅՑԵ  
ՔԱՏԵՒՅԵ: – ՐԱԾՈՒ ՄԵՌՈՅՏ ԱԺԱՄՈԱՆՈ ԾԵԶԱՄԻՔԻՑ?

ՆԵԼՈՒՐ ՇԱՑԵ ՄԱՎԱԼՈ ԿԱՎՈ, ՇՆՈՒ ԳԱՆՏԵՐՄՈՒՅԵՅՏ ՇԵՄԸ-  
Ը ՇԵՄԸ ՇԵՄԸ ՇԵՄԸ ԱԼՄՈՆԻԿԵՐՆ ԻՄ ՔԵՌՄԱՐՈՒՅԵՅՏԵԱՅՆ, ՐԱՏԱՎ  
ՔԱՅՆԱ ԱՄԻՐԵՋՈՒՅՈ ԱՏԵ ԳԱՄՈՒՇՎԱՄՆ ՀԱՏԱ ՇԵՐՏԱՇԵ-  
ԱՇՈ: – ՚ԿԱՎԵԼՈԱ ԿԱՎՈ ՕՄԱՏ ԱԿԵԹԵՅՏ, ՐԱՎ ԻՎՈՏ ՀԱ  
ՐԱՎ ՇԵԲԴԱ“.

ԸՆԴԱՐՏԱԾՈ ՄԵՐՈԼՈՎ ՍԱՄՈ ՚ՏԱՎՄՈՒ“ ՔԱՄԱ-ՏՄՈՒ,  
ՏՈԼՈՒ ՀԱ ՇԵՏԱՎՐՈՎՈՅՈ ՚ԳԱՄՈՐԻԿԵՐԱ“, ՐԱՎ ՕՄԱՏ  
ՆՈՄՆԱՎԵՍ, ՐՈՄ ՄԻՏՈ ՆԵԼՈ ՇԵՐԱՌՈՅԱՄՈԱ, ՏԱՏՈՎՈՒՔԵԼՈ  
ԵՆԵՐԳՈՅԱ ԿՐ ԻՆԵՐԾՈԼՈՅՈՅՈ ՕՄՊՈՅԵՅԱ.

ԱՐԱԾԱ, ԱՄՈՏ ՏԱՏՈՐՈՅՈՏ ՔԱՅՆԱ ԱՄԻՐԵՋՈՒՅՈ  
՚ԳՐՐԱ ՄԵՌՈՐԳԱԼՈՅՈ“ ՀԵՋԱՅՐԵՐՆ ԳԱՄՈԽԱՔԱՅՆ ԻՆՆՈՐՈ  
ԱՆԴԱՅԱ: ՚ՄԿԱՐԱԾ ՐՈՄ ՌԵՋԵ, ՆԵԼՈ ՇԵԲԴԱ ՌԵԲՈՆՈ“,  
ԱՆՇ, ՌԵ ԳԻՆԴԱ ՏՈՎՈՎԵԼՈՅՈ ՆԱԿԱՋՇՈ ՇԵԽՎՈՇԵ, ՄԻՏՈ  
ՄԵԼՈՒԱՆՈՅՈՅՈ, ՄԻՏՈ ՏԱՑԻՆՈՅՈ ՆԱՇՈԼՈ ՇԵՐՄԵՆԵ ՀԱ  
ՄԻՏԳԱ ԳԱՄՈՒԵՄՈ ՎԵՐՈՎՐԵՅՈ ՇԵԲՆ ՇՈԼՈ – ՄԵՋՄՈՎ  
ՄՈԺՐԱՌՈՅԱՄՈ ՇԵԲԴԱ ՕՊՈ, ՄԵՋՄՈՎ ՇԵԲԴԱ ՌԵՎՈՇԵ, ՄԵՋՄՈՎ  
ՇԵԲԴԱ ՄԵՐՈՄԵԾԵ, ՄԵՋՄՈՎ ՇԵԲԴԱ ՊԱՑԻՐՈՅՆ, ՄԵՋՄՈՎ  
ՇԵԲԴԱ ՌԵՎՈՇԵՍ ՇԵԲՆ ՆԵԼՈ.

՚ՈՒՅ, ԾՈՅՐՈՒՈ ԻԵԺՈ, ԵՎԼՈ ՏՈԼՈ, ՏՈԼՈ,  
ՐՈՄԵԼ ՀՎԵՐՈՐԵՐՆ ԻԵՅ ՀԱՋՎՈՒՅԵՅՏԱ“?

ՕԼՈԱ ՔԱՎՔԱՎԱԾԵ

\* \* \*

ԵՎՐՈՎԵԼՈ ԼՈՒՐԵՐԱՑՈՒՐՈ ՄՏԱՎԱՐՈ ԿՈՒԹԵՎԱ: –  
ՎՈՆ ՎԱՐ ՄԵ? ԵԿՈԼՈ ԱԼՄՈՆՍՎԼԵՄՈ ՇՄՈՐՈ ԵՄԻՐԱԾ  
ԿՈՒԹԵՎԼՈՅԵԲ: – ՎՈՆ ՎԱՐԹ ԻՎԵՅ?

ՔԱՅՆԱ ԱՄԻՐԵՋՈՒՅՈ ԾԱՎԼԵՄՈՅԻՍ ՀԱ ԱԼՄՈՆՍՎԼԵ-  
ՄՈՅԻ ՀԵՏԱՍԱԿԱՐՆԻ ՄԸՆՎԱՐՈ ԿՈՒԹԵՎԼՈՅՈ: ՎՈՆ ՏԱՐ ՇԵՅ  
ԳՐՐԱ ՄԵՌՈՐԳԱԼՈ? ՄԱԳՐԱՄ ԵՍ ԿՈՒԹԵՎԱ ՌԱՅԻՐՈՎԱՆՈԱ,  
ՌԱԴԳԱՆ ԳՐՐԱ ՄԵՌՈՐԳԱԼՈ յԱՐԹՎԵԼՈ ԵՐՈՍ ԿՐԵՅՈՒԹ  
ՆԵԼՈԻԱ.

ԵՍ ԿՈՒԹԵՎԱ: – ՎՈՆ ՎԱՐԹ ԻՎԵՅ? ԱՌՎԱԼԵՅՏ ՀԱ  
ԾԱԿՅԱՎԵ ՕՄ ՄԿՈՐԵ ԵՐԵՅՏ, ՐՈՄԼԵՅՈՎ ՏԱՎՈԱՆՏՈ  
ԾՐԱԳԻՎԵԼՈ ՕՏՈՐՈՅՈ ԳԱՆՄԱՎԼՈՅԱՇՈ ԳԱՆԿԱՋՈԱՆ  
ՏԱՆԳՐԸՆՈՎ ԵՋՏԱԿԱՆՍՈԱ ՀԱ ԳՐՐԱ ՏԱՎԵԳՈ ՆԵՐԵՐՈ ՄԵ-  
ՎԼԵԼՈՅԱ ՄԱՏ ԱՕՄԵԼԵՅՏ, ՀԱԿԱՐԳՈՆ ԱՐԱ ՄԵԼՈՒԱՆԱԾ  
ՀԱ ՄԱԿՅՈ ՆԱՌԻԼՈՅՈԲՐՈՎ ՀԱ ԳՐՐԱ ՏԱՎՈԱՆՏՈ  
ԵՐՈՎԵՆՎԵԼՈ ՏԱՎՈԱՏՈ, ՏԱՎՈԱՆՏՈ ԾՐԱԳՈՎԿՈՅԵՈ, ՏԱՎՈԱՆ-  
ՏՈ ԵԲԴՈ. ԱԿԱԳԻ ԾԱԿՐԱՋՈ ԳԱՖՄՈՎԵՄՈՒ, ՐՈՎԱ ՕԼՈԱ  
ԻԱՄԸՆՈ ՏԸՆՈԼՈՅԻՇՈ, յԱԼԱԳԻ ԵՎԼ-ԵՎԼԱ ԿԱՐՐԱՅՆ Ե-  
ԱՑՈՒՐ ՕԵՐՆ ՀԱ ԵՎՐՈՎԵԼՈ ՏԱԿԵՍ ՕԴԵՅՏՆ. ԱԵԼԱՆԴԵԼ  
ՌԵՎՏԱՎԵԼՈ ԿՐՈՏԱԿԵՐՔԻ ՇՎԱՎԵ ՚ԳՈԼՈՎԻՆՍԿԻՅ‘ – Ե  
ԵՄԱԿԸՆԵՅ, ԵԿՈԼՈ ՌԵՎԵԼԱ ԼԱՎԱՐԱԿՈ ՇՎԱՎԵ ԾՈ-  
ՒՐՆ-ԱԾ ՕՊՎԵԼԵՑՈՎԱ. ՕԼՈԱՄ ՄԵՋՄԵՋԵՅՏԱ ՊՐՎԵԼ-  
ՎՈՅ ԳԱՆՏԵՐՄՈՐԱՎՈ ՇՎԱՎԵ ԱՇՐՈ: մԱՄՎԵԼՈ, ԵՆԱ,  
ՏԱՐՄՄԵՆՈՅԵԱ.

კოტე ბაქრაძის თანახმად, ილია ჭავჭავაძე 1883 წელს უარყოფითად შეაფასებს 40-50-ანი წლების ქართველობას, მის ნაწერებში ხშირად გაიყდერებს სიტყვები: „მიმძინარებული ხასიათი“, „გონიერივისა და ეროვნულობის მიძინება“, „მოქანცულობა“, ხოლო რათა ქართული სულის სიღატაკე გამოსატოს, ის გაიხსენებს სიტყვა „არარაობას“.

და როცა ვკითხულობთ „კაცია ადამიანი?!\", ჩვენ იმასაც ვაცნობიერებთ, რომ ეს ილიას თავზარდაცემი განცდის (მოდით, არ შევალამაზოთ სინამდვილე), მისი შოკის საპასუხო რეაქციაა. გროტესკი, რომელიც ასახავს ქართველობის სასიცოცხლო უნერგიის უძრაობას, ინერტულობას.

რით იყო გამოწვეული ქართველი ერის საერთო აპათია? იყო ეს ისტორიული პერიპეტიიდან გამოხმობილი? ილია ამას არ იკვლევს და პირდაპირ წერს ერის მთავარ მახასიათებელ სენზე სიზარმაცეზე.

საგანგაშოა, რომ სიზარმაცეში „დავანებულა“, უძრავად ჩაწოლილა და ინერტულობას ინარჩუნებს ერის ის ქმედითი ენერგია, რომელმაც თავისი თვითმყოფადობა, თავისი ხასიათი, ტრადიციები, კულტურა უნდა დაიცვას და ამავე დროს შექმნას რაიმე ახალი.

## 2. უწონადო სამყაროს პირმშო

„იესომ უთხრა მას: მელიებს სოროები აქვთ და ცის ფრინველთ – ბუდეები. კუკის ძეს კი არ გააჩნია, სად მოიღრიკოს თავი“.

მთე 8. 20

\* \* \*

და ჩვენ თითქოს შევეჩვიეთ ილია ჭავჭავაძის თავზარდამცემი მოთხოვის, ჩვენი სულიერი თავგადასავლის ყველაზე ტრაგიკულ ამბის სათაურს – „კაცია ადამიანი?!\“ არადა, ილია ჭავჭავაძის დასმული ეს კითხვა-სათაური, უფრო უსტია, უფრო თამაშია, ვიდრე ნამდვილი კითხვა, რადგან მან იმთავითვე იცის ამ კითხვაზე პასუხი.

იცის, რომ კაცსა და ადამიანს შორის, პავლე მოციქულის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, გარენულ ადამიანსა და შინაგან ადამიანს შორის უსასრულო, გადაულახავი მანძილია, როგორც ბუნებით დაბადებულ ადამიანსა და ღვთაებრივ კაცს – შორის.

აღექსანდრე მენი აღნიშნავდა, რომ შესაქმის წიგნში სიტყვა „ადამს“ აშკარად მრავლობითი, კრებითი აზრი აქვს, რაც ბიბლიის სხვა წიგნებშიც გვხვდება. მაშასადამე, სახელ ადამში უფრო მეტად მოიაზრება მთელი კაცობრიობა, ვიდრე ცალკეული პიროვნება.

შესაბამისად, როცა ილია ჭავჭავაძე სათაურშივე სვამს კითხვას „კაცია ადამიანი?!\“, ის ადამიანში მოიაზრებს ცოდვით დაცემული ადამიანის ხატს, (რაც უკვე აღნიშნა აკაკი ბაქრაძემ) გარეგანი ადამიანის სახით, ხოლო კაცში კი იმ შინაგან ადამიანს, რომელმაც უკვე სბლია ამ გარეგან ადამიანს. მაგრამ ილია მაინც სვამს კითხვას და ეს ერთგვარი მინიშნებაა იმაზე, რომ ლუარსაბ თათქარიძის სახით უჩვეულო მოვლენასთან გვაქვს საქმე.

## 3. შიშისა და ძრწოლის გარეშე

\* \* \*

ნიკოლოზ ბერდიაუეის სიტყვები რომ მოვიხმოთ, ნებისმიერი ადამიანისგან განსხვავებით, ლუარსაბ თათქარიძე არასოდეს დგბა არარას უფსკრულის წინაშე, არ განიცდის შიშსა და ძრწოლას, და თავზარი არ ეცემა იმის გამო, რომ ღმერთისგან გამოყოფილია და ეს, მიუხედავად იმისა, შიში რუსი ფილოსოფოსის თანახმად თავისუფლებისა და ჭეშმარიტების საპირისპიროა, და შიშს დაუფლებული ადამიანი ცხოვრების საზრისს კარგავს.

ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ის უარყოფითი პერსონაჟია და, მიუხედავად ამისა, მისთვის რატომდაც ნიშნეული არ არის და უცხოა შიშიც, ძრწოლაც და ტანჯვაც.

ამიტომ წერს ილია თავის მოთხოვისაში, რომ „მწუთი-სოფელში, რომელმაც ისე არაფერი არ იცოდა ამათის ვინაობისა, როგორც ამათ არა იცოდნენ-რა, ჭამა-სმის გარდა, ღვთისაგან განაჩენი ამ მუხანათის წუთისოფლისა“. ილია წერს, რომ ისინი – ლუარსაბი და დარეჯანი, არც თავისი სიცოცხლით მიუმატებენ რასმეს ქეყერასა და არც თავისი სიკვდილით აკლებენ – და რიტორიკული კითხვით თავდება მოთხოვისა, რომელიც მისი დედააზრიცაა: – რისთვის მოვიღნენ და რისთვის წავიღნენ“.

ამით ის ითქმის, რომ არც ლუარსაბმა და არც დარეჯანმა არათუ არ იცის თუ ვინ არის, არამედ მათ ეს კითხვა არასოდეს დაუსგამთ თავიანთი თავის წინაშე:

– ვინ ვარ მე?

იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ლუარსაბ თათქარიძისთვის ეს კითხვა უსარგებლოა, მან ხომ წინასწარ, უპირობოდ, აპრილი იცის, თუ ვინ არის თვითონ და ისიც კარგად იცის, თუ საზოგადოდ, როგორი უნდა იყოს ადამიანი.

ლუარსაბ თათქარიძის თანახმად, იღეალური ადამიანი სიამოვნებისექნ უნდა ისწრაფვოდეს, და თუ მას ამის შანსი აქვს და აღასრულა კიდეც, მაშინ ის ბედნიერია, ბედნიერი ანუ, კმაყოფილი, ასეთია ლუარსაბ თათქარიძისეული სრულყოფილი ადამიანი.

როცა ვამბობ, რომ ლუარსაბ თათქარიძე არ სვამს კითხვას:

— „გინ ვარ მე?“

ამით იმაზე მივანიშნებ, რომ მან არათუ არ იცის, რომ ის იმ სამყაროში მოვიდა, სადაც ღმერთისგან თავისუფალი არჩევანი ებობა, არამედ მას ეჭვიც კი არა ღრღნის, რომ მან რაღაც არ იცის, ან, რაღაც უნდა მოიპოვოს.

შესაბამისად, ის კითხვას არ სვამს და ისიც არ იცის, რომ უნდა დასვას ეს კითხვა. მაშასადამე, ისიც არ იცის, რომ არჩევანი უნდა მოახდინოს სიკეთესა და ბოროტებას შორის.

ის არ სვამს კითხვას — ვინ ვარ მე? ის არ აკეთებს არჩევანს, და როგორც საზოგადოდ ხდება, თავად ცხოვრება აკეთებს მის მაგივრად არჩევანს, და ეს, როგორც წესი, ყოველთვის ბოროტებაა.

## 4. ლუარსაბ თათქარიძის ბოროტების არსი — ცოდვითდაცემის ხელახალი გამოხმობა

\* \* \*

როგორც უკვე აღვნიშნე, ლუარსაბ თათქარიძე არ აკეთებს არჩევანს და მის ნაცვლად თავად ცხოვრება აკეთებს არჩევანს, და ეს არჩევანი ბოროტებაა.

ერთგან, ილია ჭავჭავაძე განმარტავს კიდეც ამ ბოროტებას, როგორც ცოდვითდაცემის წყურვილს, რომელიც ბიბლიიდან გვეცნობა.

ზურაბ კიქნაძის მიხედვით:

— „<...> ადამმა დაგარგა უბიწოება, ბუნების უშუალო განცდა. მისმა ახელილმა თვალმა იხილა, უფრო სწორედ შექმნა სიკეთედ და ბოროტებად გახლეჩილი სინამდვილე, როგორც სურდა, ყოფილიყო სამყარო კაცობრიობის მტერს, გველის სახით გამოცხადებულს.“<sup>1</sup>

მაგრამ, რაც მთავარია, ადამის დაცემამ ზეცის კარი სამუდამოდ ჩაუკეტა ადამიანთა მოდგმას, და ამას როგორც ეკლესიის ღირსი მამა-ეპისკოპოსი ეგნატე ბრძანებს:

— „ადამის დაცემის შემდეგ, როცა ადამიანისთვის სამოთხე დაიკეტა და მცველად დადგენილ იქნა ქერუბიმი ცეცხლოვანი მახვილით (დაბ. 3.24), დაცემულ ანგელოზთა მეთაური — სატანა თავისი მორჩილი ურდოებით“ დედამიწიდან სამოთხისკენ მიმავალ გზაზე დადგა; და მას მერე, ჩვენი ხსნისთვის

ქრისტეს წამებამდე და მაცხონებელ სიკვდილამდე, ბოროტს ამ გზაზე სხეულს გაშორებული არც ერთი ადამიანის სული არ გაუტარებია. ზეცის კარი სამუდამოდ ჩაიკეტა ადამიანისთვის. მართალნიცა და ცოდვილნიც ჯოჯოხეთში ჩადიოდნენ. მარადისობის კარი და უგალი გზაც მხოლოდ ჩვენი უფლის, იქსო ქრისტეს წინაშე გაიხსნა.“<sup>2</sup>

ლუარსაბ თათქარიძე კი, როცა შეიტყობს, რომ რუსთ ხელმწიფის ბაღში ოქროს ოთახია, რომელშიც ადამისა და ევას, მაშასადამე კაცობრიობის ცოდვით დაცემის საგანი: „სიკეთისა და ბოროტების ხე“ ინახება, რომლის დაგემოვნების გამო დაეცა კაცობრიობა, მისი უგუნურება მხოლოდ და მხოლოდ ამას ნატრობს:

— ნეტავი მაჭიათა, აბა გემო იმაში იქნება.“<sup>3</sup>

არც ის არის შემთხვევითი, რომ ილია მაინც და მაინც „სიკეთისა და ბოროტების ხე“-ს რუსთ ხელმწიფის ოქროს ოთახში (ლუარსაბ თათქარიძის წარმოსახვით კი — ყველაზე საუკეთესო ადგილას) განათავსებს, რადგან რუსეთის ცარიზმის დროს საქართველომ ფიგურალურად დაკარგა თავისი ზნეობის მთავარი თვისება, ხერხემალი — სარწმუნოება, მაშასადამე, უშუალო კავშირი ღმერთთან.

მაგრამ ამ ამბავში მთავარი ის არის, რომ ლუარსაბი თუმცა გაუცნიბირებლად და მაინც, ცოდვითდაცემას ისევ ნატრობს, და ეს იმის ნიშნად, რომ მისი ბოროტების არსი — სწორედ ცოდვითდაცემის მდგომარეობას წარმოადგენს.

## 5. დამცრობილი ტაძარი

— ადამიანი-ქვევრი

\* \* \*

ლუარსაბ თათქარიძის ინერტულობის, ამ ბოროტების შესაცნობად საჭიროა გავიხსენოთ, როგორ წარმოუდგენია ლუარსაბ თათქარიძეს საზოგადოდ ადამიანი?

— „<...> კაცი ძირგავარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც ღღე-ყოველ უნდა ჩააყარო ხორავი და ჩასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მანც ვერ აავს.“<sup>4</sup>

ლუარსაბ თათქარიძის ამ წარმოდგენაში იღეალური ადამიანის სრულყოფილი სურათი იხატება — ის გიგანტური სხეულია, თავისი ყველა სურვილითა და წადილით, რომელსაც სული არ გააჩნია.

ამიტომაც წერს ილია ჭავჭავაძე — ქვევრი, და არა სხეული, რომელიც ქრისტიანული რელიგიის თანახმად სულის ტაძარია.

როცა ილია ლუარსაბ თათქარიძის პირით ადა-  
მიანის არსებას სხეულს – ქვევრად მოიაზრებს, ამ  
დაცრობით ის მიანიშნებს, რომ ლუარსაბ თათქა-  
რიძისთვის ადამიანის სხეული ვერ იქნება ის ტაძ-  
არი, რომელსაც ასე მოწიწებით და თაყვანისცემით  
მისჩერებია ქრისტიანი.

თუ ძევლი ევროპული აზროვნება, კერძოდ, ძევლი  
ბერძენი ფილოსოფოსების თანახმად, კერძოდ,  
პლატონისთვის სხეულს სულის საპირისპიროდ  
მოიაზრებდნენ და მას „დილეგს“ უწოდებდნენ,  
რომელშიც დატყვევებულია სული, და მისგან უნდა  
დაიხსნას ადამიანმა იგი, აღმოსავლეთში პირიქით,  
იოგათათვის სხეული „ტაძარია“, ის კი არა, პირდა-  
პირ იწერება, სხეულს თავად სული ქმნის თავისი  
კარმის განმავლობაში. ზოგჯერ ისინი სხეულს სუ-  
ლის ტანსაცმელსაც უწოდებენ, რომელსაც იცვლის  
სული დროთა განმავლობაში.

და ზურაბ კიკნაძეს რომ დავესესხოთ, ბიბლიაში  
ადამიანი მიჩნეულია ღვთისდარ არსებად და ხაზგას-  
მულია მისი მაღალი ღირსება დაბადებითვე. თუმცა  
ის, როგორც „დაბადების“ წიგნის მეორე თავიდან  
ჩანს, მიწის მტვერისაგან არის შექმნილი „გამოსახა  
ღმერთმა კაცი (ადამი) მიწის მტვერისაგან და  
შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და  
იქცა ადამი ცოცხალ არსებად“. (დაბ. 2.7)

„დღეალური აზრით, ადამი შეიქმნა ღვთის „ხატად,  
მსგავსებად“, მაგრამ ის გამოისახა მოკვდავი მატე-  
რიისგან, როგორც უკვდავი იდეის ხორცშესხმა;  
სიცოცხლის სუნთქვამ (იგივე რუახ ელოპიმ „სული  
ღვთისა“) ცოცხალ არსებად აქცია ადამი, რომლის  
სახელი „მიწის“ სახელს (ადამაჲ) უკავშირდება.  
იმავე სულმა, რომელიც წყლის ბნელ უფსკრულებზე  
დაბუდრებული „ჩეკავდა“ სამყაროს, შექმნა ადამი  
სულიერ არსებად.“<sup>5</sup>

და თუმცა ქრისტიანისთვის სხეული უპირობოდ  
არ მიიჩნეოდ და არ მიიჩნევა ბოროტებად, რომლის-  
განაც ადამიანი უნდა განთავისუფლდეს, როგორც  
ამას ძევლ ევროპელთაგან, კერძოდ, პლატონთან  
ამოგიკითხავთ, რომლის თანახმადაც სხეული  
დილეგია, რომელშიც სულია დატყვევებული – და-  
მონებული და ამიტომაც ადამიანის მთავარი მიზანი,  
მთელი ძალისხმევა იქითკენ უნდა იყოს მიმართული,  
რომ თავად გაინთავისუფლოს მისგან თავი. ამისთვის,  
ძევლი ბერძენის აზრით, გამოსავალი სრულყოფილ  
აზროვნებაში მდგომარეობს, უფრო სწორედ, ადა-  
მიანის ყველაზე განვითარებული მდგომარეობაა –  
ფილოსოფოსობა. ხოლო როცა ადამიანი თავისი  
სხეული-დილეგის დიქტატით მოქმედებს, მაშინ

მასში იღვიძებს ვნებები, წადილები, სურვილები, რომ-  
ლებიც იწვევენ ომებს, გაუგებრობებს, კონფლიქტებს  
და შედღლს ადამიანთა ცხოვრებაში.

სხეულის ბოროტება იმდენად დიდია, რომ ბერძენ  
ფილოსოფოსში განუზომელი იყო ზიზღი ისეთი  
აუცილებელი საგნების მიმართაც, როგორიცაა სხე-  
ულის შესამოსელი, მაგ. ლამაზი ტანსაცმელი, ან  
ფეხსაცმელი.

როცა ილია ლუარსაბის პირით წერს, რომ  
ადამიანის სხეული ქვევრია, მიანიშნებს, რომ ლუ-  
არსაბის შემთხვევაში ქრისტიანული რელიგიის  
დოგმატი და შეხედულებანი იღვევა და მახინჯდება,  
და თავისთავად სხეულის ქრისტიანული აღქმა –  
როგორც ტაძრისა ვერ შედგება და ის, მხოლოდ და  
მხოლოდ სიამოვნების, გემოთმოყვარეობის უძირო  
და ამოუწურავი წყაროა. ლუარსაბი და დარეჯანი  
ანტიქრისტიანები არიან, რადგან მუდამ ღვთის სა-  
პირისპიროდ ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ. ამაზე  
ილია ჭავჭავაძე წერს:

– „რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თა-  
ვისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც  
თავისი სული ამათთვის შთაუბერია.„<sup>6</sup>

თუმცა გარეგნულად ლუარსაბიც და დარეჯანიც  
მარხულობდა კიდეც, ეზიარებოდა კიდეც და წირვა-  
ლოცვასაც არასოდეს არ აკლდებოდა.

ლუარსაბის საუკეთესო დახასიათებას იძლევა  
ილია ჭავჭავაძე მაშინ, როცა კოშმარული სიზმრი-  
დან ვერგამოსული ლუარსაბი ყვირილით იღვიძებს  
და შეშინებული დარეჯანი წიოკობს იმის გამო,  
რომ ქმარი გაუგიუდა, მაგრამ როცა სიმართლე  
გამოირკვევა, რომ ლუარსაბს მხოლოდ სიზმარი  
ესიზმრა, დარეჯანი რწმუნდება, რომ ლუარსაბი  
ნამდვილად ის არის, რაც იყო, ანუ, როგორც ილია  
ჭავჭავაძე წერს:

– „...>დანახა, რომ ლუარსაბი ისევ ის ლუ-  
არსაბია, არც გიჟია, არც ჭკვიანი, არც ფლავი არც  
ჩლავი.„<sup>7</sup>

ანუ, იოანე მოციქულის ტექსტით რომ ვთარგმ-  
ნოთ: – „ვიცი შენი საქმენი: შენ არც ცივი ხარ,  
არც ცხელი. ო, ნეტა ან ცივი იყო, ან ცხელი! (გა-  
მოცხადება 4. 15).

– „მაგრამ რაკი ნელ-თბილი ხარ შენ, არც ცივი  
და არც ცხელი, ამიტომ ამოგანთხევ ჩემი პირიდან“  
(გამოცხადება 4.16).

აპოკალიფსის მკაცრი ტონი, გულგრილობაში  
ადანაშაულებს უპირველეს ყოვლისა ლუარსაბ  
თათქარიძის მსგავს, დაუბადებელ არსებებს.

## 6. ლუარსაბის გემოთმოყვარეობის ნამდვილი სახე – გულგრილობა და სიზარმაცე

„ამიტომ გეუბნებით თქვენ: ნუ ზრუნავთ თქვენი<sup>1</sup>  
სულისათვის, რა ჭამოთ, ან რა სვათ თქვენი სხე-<sup>2</sup>  
ულისათვის, თუ რით შეიმოსით. განა სული საზრ-<sup>3</sup>  
დოზე მეტი არ არის და სხეული – სამოსელზე?“

მთვ 7. 25.

\* \* \*

ერთი შეხედვით გემოთმოყვარეობა – ეს ქვენა  
გრძნობა ლუარსაბ თათქარიძის მთავარი მამოძრავე-  
ბელი ძალაა – ის, რისგანაც წარმოდგება ყველა  
მისი ცოობა.

მაგრამ ამ უამრავი ცოობის განმსაზღვრელია  
სიზარმაცე. როგორ განმარტოთ სიზარმაცე, რაც  
მთავარი თვისებაა ლუარსაბ თათქარიძისა? – ეს  
არის ნებისყოფის არქონა, უნგბობა, უსულო საგრის  
დარად მოვლენებისადმი მინებება და მიღევნება.  
ილია ამაზე ასეთ კომენტარს აკეთებს:

– „კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბედსაც  
და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე.  
არც ერთისოფის გაიხეთქავს თავს და არც მეორისთ-  
ვის დაიწყებს ბრძოლასა – და არის ასე ყველგან  
ერთნაირად გულგრილი და შეუპოვარი.“<sup>4</sup>

ყველაზე თავზარდამცემი ის არის, რომ ილია  
ორი მოურიგებელი სიტყვით გამოხატავს ქართველი  
კაცის ხასიათს – გულგრილობაში შეუპოვარი.

ლუარსაბი ქრისტეს ვერცერთ მცნებას ვერ  
იცავს. ისინი – ლუარსაბი და დარეჯანი არ არიან  
სულით დარიბინი, არ არიან სულით მგლოვარენი,  
თვინიერნი, მშიერ-მწყურვალნი, მოწყალნი, გულით  
სუფთანი, მშვიდობის მყოფელნი, სიმართლისთვის  
დევნილნი, და არც ქრისტეს გამო ლანძღავს მათ  
ვინმე.

თუ ქრისტიანობა მოითხოვს, რომ ჩვენი მტრებიც  
კი გვიყვარდეს და მათზე ვლოცულობდეთ, ისინი,  
ლუარსაბი და დარეჯანი პირიქით, თავიანთ ახლო-  
ბლებსაც – ძმასა და რძალს მხოლოდ ბოროტებას  
უსურვებენ.

ლუარსაბს ერთი სანუქვარი სურვილი აქვს, რო-  
მელიც მას კეთილმოსურნე ქრისტიანს ამსავსებს,  
მაგრამ ესეც თავის ძმის გამოსაჯავრებლად. მას  
შვილი უნდა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რათა თავისი  
ძმა და მისი ცოლი დაამწუხროს და მისი ადგილ-  
მამული სხვის ხელში არ ჩააგდოს.

## 7. ლუარსაბ თათქარიძის აზროვნების მანერა და ბრბოდ ქცეული ქართველობა

\* \* \*

ისიც საგულისხმოა, რომ ლუარსაბ თათქარიძის  
მთავარი თვისება არა ქრისტიანთათვის მახასიათე-  
ბელი მგლოვარებაა, არამედ უაზრო მხიარულებაა.

მისი უაზრო მხიარულების არსი უფრო იკვეთება,  
თუ მას გავიაზრებთ ხალხის გენიასთან მიმართებაში,  
რომელსაც ილია ჭავჭავაძე მოთხრობის დასაწყისში  
მოიხმობს, და რომელსაც უცომელს უწოდებს,  
რადგან ხალხის გენია თავისი ფესვებით ქართველი  
ერის სასიცოცხლო ენერგიაშია ჩაჭრილი, მას უკა-  
ვშირდება და მისი ქვეცნობიერებიდან ამოთქვამს  
თავის სათქმელს.

შშირად ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?“-სა  
და რაბლეს „გარგანტუა და პანტაგრუელს“ შორის  
პარალელს ავლებენ. მაგრამ გარგანტუაც და პან-  
ტაგრუელიც განა სახიერებს ფრანგი ხალხის სი-  
ცოცხლის ენერგიას. როცა გარგანტუა, ან პანტაგრუ-  
ელი იძრძვის, მხიარულობს, ან თავისი კვიმატი  
აზროვნებით ანგრევს დახავსებულ სქოლასტიკურ  
დოგმებს, ისევ გავიმორჩებ, ის ფრანგი ხალხის ენ-  
ერგიას განასახიერებს..

ლუარსაბ თათქარიძე კი არის ადამიანი, რომელიც  
მხოლოდ და მხოლოდ თავისი ვნებებისა და სურ-  
ვილების, ანუ თავისი ქვენა გრძნობების სათამაშო  
საგნად იქცევა.

და სულაც კანონზომიერია, რომ ის ყველა საგანს,  
თვით თავისი სიყვარულის საგანსაც კი თავისი  
ქვენა გრძნობების – გემოთმოყვარეობის სფეროში  
გადაიტანს და მისი მეშვეობით გამოხატავს კიდეც:

– „შენ იცი, რა ხარ? სულის წიწმატი, სულის  
ტარზუნა, გონების, ამა რა ვთქვა? – თუნდა მარილი  
იყოს. კარგად არ ვთქვი, ის კარგი და სახელოვანი  
მამა ნუ წამიწყდება? კარგი მოწყობა არ იყო?“<sup>5</sup>

პოლ ვალერის სიტყვები უდაოდ დაგვეხმარება,  
რათა ლუარსაბ თათქარიძის არსებობა უფრო კარგად  
გავიაზროთ:

– „სურვილი თვითონ უნდა ქმნიდეს თავის სა-  
განს, მაშინ როდესაც, თუ ამოსავალ წერტილად  
ქვენა გრძნობებს მივიჩნევთ, – საგანი თვით იწვევს  
სურვილს!“<sup>10</sup>

ლუარსაბ თათქარიძე უფრო უენერგიობაა, ბნელი  
მხარეა – ის ძალა, რომელიც მუდამ ინერტულო-  
ბას ინარჩუნებს. ის ბრბოდ ქცეულ ქართველობას  
განასახიერებს ცარიზმის დროს, – ჭაბუა ამირევი-

ბის ენით „ერთ დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს“.<sup>11</sup> რომან „დათა თუთაშხიას“ ენით ღუარსაბი და დარეჯანი ვირთაგვებს განასახიერებენ, რომელთაც თავად ინერცია აქცევს ვირთაგვაჭამიად.

„გორა მბორგალით“ ჭაბუა ამირეჯიბი ილიას მოწამეობრივ გზას აგრძელებს, მისთვის მთავარია ისაუბროს არა ღუარსაბ თათქარიძედ ქცეულ ქართველობაზე, რომელიც თავისი უმოქმედობით თავისთვის არარად აქცევს, არამედ იმ ერზე, რომელსაც განასახიერებს გორა მბორგალი.

ილიას „კაცია ადამიანი?! კი მუდამ დარჩება, როგორც ქართველი ერის გამოფხიზლების ნიშანგება.

\* \* \*

ჰერაკლიტეს სიტყვებით: ერთი და იგივე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ, რაც ნიშნავს, რომ ერთი

და იგივე ტექსტს ყოველთვის სხვადასხვა მდინარეში, თვისობრივად ახალ ტექსტში შევყავროთ.

ასეა ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?“ შემთხვევაშიც. მისი ყოველი წაკითხვა, სხვადასხვა დროში და სხვადასხვა პიროვნების მიერ განაპირობებს მისგან ახალი ტექსტის შექმნას, ახალ მდინარეში შესვლას.

დღეს ზოგიერთ ჩვენგანს ჩვენში ჩაბუდებული ინერტულობა აოგნებს და თავზარს სცემს, რის გამოისობით ჩვენ ისევ და ისევ ვეშვებით იმ ძილქუშში, რომელიც სიზარმაცის თბილმა საბანმა ჩვენგან გამოიხმო და შეგვიკერა.

და ჩვენ, ღუარსაბ თათქარიძის დარად, თვალდასუჭულნი ვწევართ ამ თბილი საბინის ქვეშ და ძრწოლის მომგვრელია ის ფაქტი, რომ აღარ გვხსოვს, შევძლებთ თუ არა გაღვიძებას.

1. ზურაბ კიკნაძე – „საუბრები ბიბლიაზე“, გვ. 18. გამომც. „მეცნიერება“. 1989
2. „ეკლესიის მამათა გამონათქამები“, გვ. 147. შემდგ. გ. კალანდაძე. თბილისი 2007
3. ილია ჭავჭავაძე „კაცია ადამიანი?!“ გვ. 19. გამომც. „პალიტრა ღ. 2010
4. ი. ჭავჭავაძე „კაცია ადამიანი?“, გვ. 8. გამომცემლობა „პალიტრა“, 2010
5. ვიხელმძღვანელუ წიგნ. ზურაბ კიკნაძე „საუბრები ბიბლიაზე“, გვ. 16. გამომც. „მეცნიერება“. 1989
6. ი. ჭავჭავაძე „კაცია ადამიანი?“, გვ. 46. გამომცემლობა „პალიტრა“, 2010
7. ი. ჭავჭავაძე „კაცია ადამიანი?!“, გვ. 46. გამომცემლობა „პალიტრა“, 2010
8. ი. ჭავჭავაძე „კაცია ადამიანი?!“, გვ. 73. გამომცემლობა „პალიტრა“, 2010
9. ი. ჭავჭავაძე „კაცია ადამიანი?!“, გვ. 16. გამომცემლობა „პალიტრა“, 2010
10. პოლ ვალერი „აზრები“. გვ. 84. ფრანგ. თარგმა ბაჩანა ბრეგვაძემ. გამომც. „ნაკადული“. 1983
11. ჭაბუა ამირეჯიბი „დათა თუთაშხია“, გვ. 317. გამომც. „საბჭოთა საქართველო“. 1981



## ილია სახვით ხელოვნებაში

საზოგადოებრივი და შემოქმედებითი გაერთიანება „ეროვნული იმპერატივი“ უკვე მეოთხე წელია აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღეს და ახორციელებს პროექტს: „დღე, როცა ვერ მოჰკლეს ილია“

წელს პროექტის ერთ-ერთ აქტივობად, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში მხოლოდ 1 დღით, წარმოდგენილი იყო გამოფენა: „ილია – სახვით ხელოვნებაში“.

საგამოფენო ექსპოზიცია აერთიანებდა ბოლო 15 წლის მანძილზე თანამედროვე სახვითი ხელოვნების არტისტების მიერ შექმნილ ილია ჭავჭავაძის სკულპტურებს ფიგურატიულ ქანდაკებებს, ფერწერულ პორტრეტებს და ხატწერის ნიმუშებს, რომლებიც ექსკლუზიურად „ეროვნულმა იმპერატივმა“ შეაგროვა. ყოველი ეს ნიმუში ორიგინალია და ერთადერთი

ეგზემპლარი, რომელიც ორგანიზატორებმა სპეციალურად ილია ჭავჭავაძის საიუბილეო წლისათვის შეაგროვეს ავტორთა პირადი და სხვადასხვა კერძო პირთა კოლექციებიდან. ყოველი ეს ნიმუში საჯაროდ პირველად იყო წარმოდგენილი.

ასევე, ერთი უიშვიათესი ნიმუში, რომლის მხოლოდ ასლია საქართველოში – მე-19 საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისში უცნობი რუსი მხატვრის მიერ ტუშით შესრულებული ილიას პორტრეტი, რომელიც მოგვიანებით თავად ილიამ ფრანგ დიპლომატს აჩუქა და ახლა ეს ორიგინალი საფრანგეთშია დაცული; ამიტომ ეს ერთი ნიმუში ასლის სახით გამოიფინა.

ექსპოზიცია ილია ჭავჭავაძის საიუბილეო პროექტის: „ილია ჭავჭავაძე 180 – უკვდავების ფენომენი“ ფარგლებში მომზადდა.

პაპა და ბაბო

ერთმანეთს დიდხანს მიზიდავდნენ,  
დიდხანს მისდევდნენ,  
ხის ფესვებივით გადახრილი ხერხემალებით...  
და ერთმანეთით კალთებს, ზუსტად ისე ივსებდნენ,  
როგორც მიწიდან წამოკრეფილ ჩვილი ვაშლებით.  
აიშლებოდნენ დილაბნელზე, ოთახს გაკიდულ  
ცხელ-ცხელ სიზმარებს შეაწყობდნენ

გამურულ ჭერში.

პაპა შოთის პურის ჩაწობდა ჯამში ჩანისლულ,  
ჩამოლვენთილი ცურებიდან მოწველილ რძეში.  
გაშლიდა ბაბო თბილ წიწილებს – სველ ბალახებში.  
გადაზილავდა სანაზუქე გუნდას – ერბოში  
და ტოტებიდან ჩამოსული, როგორც მახეში,  
მოექცეოდა ყოველ დილით მზე – ჩვენს ეზოში.  
საღამოობით, შევანთებდით ღუმელს ახლიდან,  
პაპა ყვებოდა ათას ამბავს, ჭორად ასხმულებს.  
ხანდახან, ისე მიგვდიოდა ფერი სახიდან,  
როგორც ხახალზე, გასახმობად

გაშლილ ჭანჭურებს.

იქ, ლოგინსაც კი, თითქოს სუნი სდიოდა სოფლის  
და თივასავით შრაშუნობდა თეთრი ზეწარი.  
ნაჩვევი სუნი:  
კვამლის,  
მიწის,  
მოხალულ ხორბლის...

ბალის ბოლოში აყვაებულ ატმის ხესავით.  
მერე წავიდნენ, ერთად ვერა,  
ცალ-ცალქე,  
სხვა დროს,  
ჩამოტყდა თითქოს სახლს ერთი ფრთა,  
დაიკლა ფური...  
მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი  
პირწმინდად მახსოვს,  
რომ ამ ხსოვნაში ვაცოცხლებ და ბავშვივით ვუვლი.



სოფელში...

უცბად ამოდულდა ლობიო ქოთანში,  
მჭადები დააკრა კეცებზე ნელიად.  
– ქალმა უნდა ხნას და თესოსო ოჯახში  
ხვავი და ბარაქა – გახსოვდეს ბებია.

ჯორჯო აბრიალებს თვალებს ბუხრის ალში,  
ბაბუას ულვაშები, ღიმილში შრიალებს,  
მოხუცი შვილიშვილებს უზის სუფრის თავში,  
თვალებში შემთვრალი ჭინკა უწრიალებს.

ორად გადაეცა ხელით ხახვის ფოჩი,  
მარილში ჩაკრა და ულვაშები ჩამალა.  
შამფურზე სიცხისგან დაიწვა გოჭი,  
ბებიამ ქოთანში, ქონდარი ჩაყარა.

ძვალიც კი იჭმევა, ჩემი წიწილების –  
თქვა და საჩვენებლად ბარკალი გაკვნიტა.  
ჭის ჭრიალს შემოჰყევა ხმაური ჭრიჭინების,  
გუგულიც იძახოდა საღღაც, გაღმიდან.

ხაჭაპურს გადმოეცა ჩამდნარი ყველი...  
დალოცე სოფელი, უფალო, ზეციდან,  
ბებიამ თავის დოვლათს გამოსჭრა ყელი  
და ცხელი მჭადები, არეკა კეციდან.

\* \* \*

ვერ ვაწვდენ უთქმელ სურვილებს – მკლავებს,  
ვერ ვყოფნი ფიქრებს –  
ცხოვრების ხარჭას...  
და ვგავარ, გვერდებშემომშრალ სარეცხს,  
დიასახლის რომ წვიმაში დარჩა.

\* \* \*

იქ პირმაღებზე აფენია ახლა ბალახი,  
ნოტიო მოლი,  
გაციდულია ორ ლურსმანზე ჭროლა ფარდაგი...  
დილ-დილაობით, მზეზე ადრე მიდიან ბაღში  
ქმარი და ცოლი  
და მხრებით გააქვთ ყველა უქმე, ყველა სადაგი.  
პირმორდვეული, მარტოხელა დგანან გზის  
გასწვრივ  
მუჯი სახლები,  
ყორე დაერდვათ და ასკილად ექცათ ვარდები.  
ღობის ძირებში ქირქილებენ მწარე ენებით,  
თოთო ანწლები,  
როგორც წინკართან ჩამოშსხდარი დედაკაცები.  
ქვაგრილა კედლებს მოენატრათ თბილი ნაცარი,  
ქვარტლი და ალი.  
დრო საფეხლებში აჭედით, როგორც ტყვიები,  
მარტო ერთმანეთს ყოფნიან და უთბობენ სხეულს  
ცოლი და ქმარი.  
ყრუა სოფელი, უპატრონო  
და ნაშვილები.  
ჟნგმა გალოკა ალესილი ცულის პირები,  
ობი დაკკერია,  
გახტექილ მორზე ხავსის დუჟი,  
მომწვანო მტვერი...  
ნალიაშია გამომწყვდეული ჟღალი კატა,  
ბრჭყალებ-კაწრია,  
სოფლის იმედად დარჩენილი,  
თაგვების მტერი.  
გადაიხეთქა მიწამ ყანა, გველის ტყავივით.  
ჭრელი და მსუყე.  
გადაიფინა ახალშობილ ბალახის სისქის.  
ღრუბლები ფშვნიან  
მაისის ცვრით დამბალ გოროხებს...  
მოწვიმა წუხელ  
და ზამთრით ნატექნ ხერხემალზე, მობანა სისხლი.  
იქ პირმაღებზე აფენია ახლა ბალახი,  
ნოტიო მოლი,  
ცოცხლობენ ორნი, ბარს მთა რომ არ გაუტიალეს...  
და დილაობით, მზეზე ადრე მიდიან ბაღში  
ქმარი და ცოლი,  
მადლიან მიწას, სითბო რომ არ დაუგვიანდეს.

P. S.

სოფლიდან, როგორც მდინარიდან – გამორიყული  
ხალხით გაივსო ვიწრო ქალაქი.  
აი, იქ არის გაზაფხული, თორებ აქ რაა,  
ასფალტქვეშ – მკვდარი,  
ნაცრისფერი ძვლების სამარხი.

## ბოშები

თვალებში, სულისკენ გაჭრილი კარგი მოგიჩანს,  
ბუდულაი,  
მოღიხარ,  
ტკაცუნობს მათრახი,  
ნაპარავ ცხენიდან, გიელავს სიფიცხე.  
ბანაკი ჩუმია,  
კარავში მაპარებ, ვნებებით ურდულაყრილს,  
მიჩრებ,  
თავსაფარს მახსნი და  
თმებში ცეცხლს მიშიშვლებ.  
მეცეპვე ბუდულაი,  
ხომ ხედავ, ნათალი ჭიქიდან შემითვრა სიამაყე,  
შენი თვალებივით შავგვრემან დამეზე,  
გავშალე კარტები,  
მჭიდროდ მიკერილი მონეტები  
მხრებზე ჩხრიალებენ,  
ცხელ ტანზე სიჭრელედ, ჩამოთლილი,  
მეშლება კალთები.

ფართო გულისპირით, ჩვილებს დაოთხებულ  
სხეულს აწოვებენ,  
წენგოსფერ ბაგიდან ხვატზე იჭრებიან,  
თამბაქოს რგოლები,  
მიდიან ბოშები,  
სახლებჩაწყობილი,  
გრილ ნაცარს დატოვებენ...  
ზურგის აბრეშუმზე, ლოფას დამიწვავე  
თავწაკრულ ჭორებით...

მე კიდევ შენს იქით აღარსად წამესვლება,  
გესმის, ბუდულაი?!?

## დედაჩემი

ვხედავ, რომ ხალხს და ხმაურს ვერ ავყევი,  
რომ ახალ სიტყვებს ვთხზავ ყოველ დილით...  
და თითქოს, არ მყოფნის დედაჩემი,  
ვიწრო და უსახელო პერანგივით.

რომ ასე, მარტოობა დავიმჩნიე,  
ჩემი ტყე,  
ჩემი ცა,  
ჩემი ჩერო.  
მქსოვდი – წაღმა თვლები ჩაგირღვიე,  
როგორმე მაპატიე,  
დედაჩემო...

\* \* \*

მგონი, ძნელია ჩემთან ყოფნა,  
ძნელია, ალბათ,  
მე ხომ ვზივარ და ღამღამობით  
სინათლეს ვეტებ...  
და ჩემი დარღით გაცრეცილი,  
მუხლამდე კაბა,  
მოაღმსარებლე მლოცველივით  
მარხულობს ძვლებზე.  
ალბათ ძნელია ჩემთან ყოფნა,  
ცოტა ვარ რადგან,  
ისეთი ცოტა,  
ერთი პეშვი წყალიც კი მახრჩობს...  
და როცა თვალებს,  
მღვრიე-მღვრიე ნაბიჯით მადგამ,  
მინდა გამიშვა,  
თან მინდა, რომ ვერაფრით დამთმო.  
ჰოდა, ძნელია ჩემთან ყოფნა,  
ძნელია, ალბათ,  
არ მყოფნი ასე, ნაწილ-ნაწილ,  
ასე ჩეროდან...  
იცი, იმ დღესაც რომ ვიყავი  
როგორდაც, ავად,  
მხრებზე სულ შენი ხელის სითბო  
მეჩვენებოდა...

\* \* \*

ალბათ, დასცვივდათ უკვე,  
ვაშლებს ლბილი ყვავილი,  
საღამობით ორღობები წალმებს კონავენ...  
ჩამოსხდებიან ღჯუ ქალები, ენის ქავილით  
და მოკლეკაბა, წვივგრძელ გოგოს გადაჭორავენ.  
ალბათ, გახშირდა სოფლის ცაზე ელვა-ჭექები,  
გაჩნდება ტაბლა:  
შოთით,  
ყველით,  
ბოლოკ-მარილით.  
გადაუვლიან ჩამშრალ ხორხებს  
არყის ჭიქები,  
ნესტიან ზურგზე გადავლებულ ცივი წყალივით.  
დაესევიან საღამოებს ჩრდილის ჩრჩილები.  
დაიბუდებენ შემთვრალ კაცებს – ბუდე-ცოლები...  
და გაზაფხულო, ყველას ასე აუხირდები,  
ყველას  
ტერფიდან – თმის წვერამდე დაეტოლები.  
მკლავმოკლე ღამე,  
ბერწ ქარებში გადატარდება  
და ვიღაც გოგოს,  
ვიღაც ბიჭი  
შეუყვარდება.



### თამარ მიქაძე დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემიით დაჯილდოვდა

დიმიტრი ყიფიანის სახელობის პრემია ხაშურის მუნიციპალიტეტთან რამდენიმე წელია არსებობს. წელს ეს პრემია მიიღო: ფილოლოგის მუწნეურებათა დოქტორმა, მწერალმა თამარ მიქაძემ, ნომინაციაში: „განსაკუთრებული დამსახურებისათვის ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის წინაშე“

თამარ მიქაძე დიმიტრი ყიფიანის პირდაპირი შთამომავალია. იგი 2009 წელს გამოცემული ფოტოალბომის – „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა“ – პროექტის ავტორი და შემდგენელია. ასევე, 2016 წელს გამოცემული ალბომის – „დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალი“ პროექტის ავტორი და შემდგენელი გახლავთ.

აღსანიშნავია მისი მინიატურული პროზის კრებული – „სევდიანიდან მხიარულამდე“.

პრემია გადაეცემათ იმ ადამიანებს, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მოუძღვით დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის კვლევის საქმეში.

ორმაგად სასიხარულოა, რომ თამარ მიქაძე არის უკუნალ „ანეულთან“ არსებული ლიტერატურული გაერთიანების წევრი.

უკუნალ „ანეულის“ რედაქცია ულოცავს ქალბატონ თამარს ამ დამსახურებულ ჯილდოს და უსურვებს ახალ-ახალ წარმატებებს ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ.



# მაღონა ლვაიო



დაიბადა 1966 წლის 23 ივნისს ქალაქ სოხუმში. დვალი პოეტური ფსევდონიმია. დაამთავრა ფერწერის ფაკულტეტი, თარგმანისა და კულტურული მუზეუმის მუზეუმი. არის ორი პოეტური და ერთი პროზაული ნაწარმოების ავტორი.

მისი ნაძლევილი გვარია დარცმელია.

\* \* \*

მდორეა ცხოვრება, რა ლეგა, რა სადა  
და შენი სხეული – ოცნების ბროდვეი  
დავიპყარ, მოგაგენ ვნებების „NASA“-დან  
და გასმევ ტუჩების უნაზეს პორტვეინს.

ჩემზე ხომ ვერ იტყვის ძვირფასი ერატო:  
„ამ ქალს ხელისგულზე სამყარო არ უდევს,  
ქალური ოცნება ცის თაღზე ვერ დადო,  
და გრძნობის ალპებში ვერ უშვებს სალუტებს“.

როდესაც შედევრად შერაცხენ ამ ლექსებს  
და გულში ჩამიკრავს ძვირფასი პუბლიკა,  
გადმომცემს უკვდავი სახელის ინდექსებს,  
ტიტანთა სასახლის კლიტეთა დუბლიკატს.

მაინც ავფრინდები იმ ცამდე – ან ავალ,  
იმდენს იტრიალებს სული და იბორგებს,  
ვიცი, დავესწრები ვარსკვლავთა კარნავალს  
და სხვა გალაქტიკის გავიცობ კიბორგებს.

მდორეა ცხოვრება, რა ლეგა, რა სადა;  
და შენი სხეული – ოცნების ბროდვეი  
დავიპყარ, მოგაგენ ვნებების „NASA“-დან  
და გასმევ ტუჩების უნაზეს პორტვეინს.

\* \* \*

ზოგი უილბლო სიყვარულს ითმენს  
და გულის ტკივილს იქარვებს აბით,  
მე შევერკინე გრძნობების ზვირთებს  
ლექსებით, როგორც სერფინგის დაფით.  
ვერ შევეგუე ტივტივით დაღლას,  
არ შევუერთდი – სერფერთა რიგებს,  
მე შევეჯახე გატეხილ ტალღას  
და შევალეწე სერფინგი რიფებს!

\* \* \*

ჰჭვით მიმზერენ კაცუნები – ხანაც ცოლები...  
აქ სისინებენ მათი ენის ცივი სიონი,  
ვერ გაუღიათ ჩემი ლექსის ანტრესოლები,  
ვერ უპოვიათ გაზაფხულის ცის ლოსიონი.  
სტრიქონებს აღარ ვაპრიალებ

ვნების მასტიკით,  
ალბათ თანდათან გაგრილდება  
გულის მარტენი,  
რად მინდა ლექსი,  
თუ არ მღუპავს თავის მისტიკით?  
მთვარის დამბაჩას  
ვარსკვლავებით მაინც დავტენი!  
მარადი დამე გადაგორდა და გაითელა,  
ვაცურებ მისი რელსებიდან  
ცისკრის ვაგონებს...  
მე როგორ ვწერო ლექსი  
სადა და გულწითელა?

ვით მოვერიო  
მეტაფორის ველურ უარგონებს?!  
ამ სტრიქონების უცხო რიტმი  
მავანს აწუხებს,  
რაც მივაძერწე მის ლარნაკებს ასე ფაქიზად.  
ნუ გააკარებთ პოეზიას დოგმის მარწუხებს...  
და ქართულ ლექსისაც დაე, ჰყავდეს  
თავის „მარკიზა!“

## შეხვედრა სოხუმელებთან

თანაკლასელებს

არ გავიხსენეთ ომი, მარცხი და...  
არც საფლავების სველი ბელტები,  
ჩვენ აფხაზური თბილი ფაცხიდან  
ვეწვიეთ სოხუმს – ცის მოლბრუტებით.

იქ დაბრუნების იყო ტოლფასი,  
რომ მოვიგონეთ სკოლა, მაისი...  
გადაგვერია გულის კომპასი,  
იპოვა სულის ედელვასი;

ის გასაოცრად რბილი ფერები  
სასიყვარულოდ მარად გვეყოფა,  
ვერა დაგვაკლო დრომ დაბერებით,  
ჩვენ სილამაზის გვერქვა ეპოქა!

სოხუმის სკვერებს კვლავ უნებლიერ  
ჩამოვურბინეთ – მტრედი დაგვსდევდა,  
გვიხმობდა სახლში დასაბრუნებლად,  
მაგრამ დაიწვა ჩვენი „ფაზენდა!“..

მაინც არვისთან ვართ ცილობაში,  
მოგვნატრებია რიწა, ათონი...  
და ზღვის ვერცხლისფერ ვარცხნილობაში  
ჩაფლული მოხის საგუმბათონი.

არც პირფერობა არის ვინმესთან  
აფხაზთა გენში რომ არ ვეჭვდები,  
მწამს, ოჩამჩირის ძირველ მღვიმესთან  
აბსკილის ცხენის ანაბეჭდები.

ახლა შემინდეთ სიტყვა გვიანი,  
თქმული სოხუმის ბედისწერაზე,  
რადგან იმ სკოლის ფორტეპიანო  
მე ავიტანე ლექსის მწვერვალზე!

და არ მეცალა სტროფი მელესა...  
დრო გადარეცხავს უქმთა ღრეობას.  
მე აფხაზეთის უკვდავ რენესანსს  
ვენდობი მთელ ჩემს მემკვიდრეობას!

\* \* \*

იწვიან შენი ტრფობით ქალები,  
ზოგს ეტირება, ზოგს ელოცება,  
რად ჩამაშტერდი მე, მაგ თვალებით?  
რით ვერ მოგხიბლეს ანგელოზებმა?!

მაცდური თვალის ლილო-ჭრილოთი  
იმდენი გოგო გიმზერს, ფარულად –  
დავითის მხრების მარმარილოთი  
რომ მოაბიჯებ ტრიუმფალურად.

საკუთარ იღბალს რატომ ირთულებ?  
ახლა პოეტთან ყოფნაც მოგინდა?  
ახალი მთვარის უცნობ სართულებს  
მალე ბრასავით დავდგამ ლოგინთან!

ამ საძინებლის ფანჯრის ფარდები,  
გამოჭრილია ტყეთა ჩეროდან...  
და შუალამის ლეოპარდები  
რომ ჩალეწავდნენ – ხომ არ გჯეროდა?

ვერ შეგპირდები, რომ კვლავ არ წაგალ,  
რას ითხოვ ჩემგან, მაინც რა გინდა?!  
ვერ გამოგიყვან გაუკაწრავად  
ბედის ვარსკვლავის პანორამიდან...

რომ ავიტანო შენი კაპრიზი,  
არა ხარ შენ ის მამრი – მოდერნი,  
შეირგე ჩემი კოცნა – საპრიზო,  
იკმარე ჩემი მუზის ორდენი!

შენ რომ ალერსი ურცხვად მომპარე,  
თან მოტყუებით და ანგარებით  
და ჩემი ტანის რძისფერ ოპალებს  
დაატყდი მკლავთა ნიაგარებით...

ჟინიან ფიქრებს დავუბრუნდები,  
მაგ ნატიფ სხეულს რომ ვუყურებ და...  
გზვერავენ კბილთა იაგუნდები  
ჩემი ტუჩების ცხელი ყურედან.

სამართლის ღმერთთან ნუდარ მიჩივლებ,  
თემიდას ჩემზე აღარ მისწერო,  
ჰო, გულცივობა გამოვიჩინე,  
გაჩუქე დამე, საბედისწერო!

# მანანა ბჩერიძე



ნატირალი

ეძღვნება თავისუფალი საქართველოსთვის  
დაღუპულ კარისკაცებს

საღამოა უკვე ხუთი,  
მიწას აწევს ავი მხუთრი...  
მე გიყურებთ თვალში მწუხრით,  
ნუ მიღიხართ, ნუ მიხვალთ!...  
დაეთხოვეთ ქარვის ბაღებს,  
მზეში ახლა გულებს ახელო,  
დარილი მწვავს, დარილს დამხსენ...  
ნუ მიღიხართ, ნუ მიხვალთ!...  
ჩამოვჯდები თქენთან მოცლით,  
დედას როგორ დაღლით ლოცვით?!  
მიწა ვარ და მიწას გკოცნით...  
მიყვარხართ და ნუ მიხვალთ!...

## ეფემერა

ვარდები უმძიმს დათელილ ღობეს,  
ძველი კედლები კროება ქარებით,  
დაუფარია ბილიკი ხოვერს,  
გატანჯულია ბაღი გალებით.  
სიჩურე სევდის ფსალმუნებს გალობს –  
სად არის ვარდთა გადამწიდენელი?!  
თოვლივით თეტრი ვარდები კმარობს,  
, სად არის ვარდი შარშანწინდელი?!“  
წარმავალია და წამით ხანობს  
ყველა ქორწილი და დამწინდევლი,  
თოვლივით თეტრი ვარდები კმარობს,  
, სად არის ვარდი შარშანწინდელი?!“

## თეთრი ივლისურები

### ზაირას

თითქოს დაისრულები,  
გრძნობადანისლულები,  
ბაღის ფურისულებზე  
ფრენენ ივლისურები...  
შეულეველ ივლისებს –  
ხსოვნაში რომ ლივლივებს,  
კდემით დაესულება  
თეთრი ივლისურები...  
თვალკილოში წვიმდება  
მზეთა წყნარი გალობა –  
ყოვლად დაუწუნარი  
შენი ყმაწვილქალობა...  
ჰო, და, ცრემლში ცურვილი,  
ამ ბილიკზე სულ ივლის,  
მასთან შემოფეოების  
ბეღნიერი სურვილი!...

### ო მ ო

ნაქალაქართან ცდილობს ქარის ნელი ადაკვო,  
ჩემი სიკვდილი შენს სიცოცხლეს გადააჯაჭვოს.  
უფლისციხესთან სისხლისფერი მომქლეს ყაყაჩო,  
ქსანზე გვირილა უმწეობის ცრემლმა დაახრჩო...  
ახ, რაღა დარჩი – არწივისთვის ერთი ირაო,  
ისრის საწვდებზე დალევლი პატარა ღელე...  
დაგმალავ თვალებს, ავდრიანი არაგვისფერას,  
რომ არა მკითხო, რა იქნება ათი წლის მერე...

\* \* \*

„როის-როისი“, „ფორდი“ და „რენო“,  
„ალფა-რომელ“, „ვოლვო!, „ნისანი“...  
გარბის ხსოვნიდან დავიწყებისკენ  
ჩემი წიქარა – ხარ მისანი.  
მირბის და მიაქვს ძველი ქარები,  
რიტიც კურნავდა მუხას მუმლიანს,  
რკინის წარლგნასი დავიწყებას კი –  
სამშობლოს უკვე აღარ უვლიან...  
მონათა მკვდარი თავისუფლება –  
რკინის კერპები, ყოფნა ულვიძლო,  
„ბედნიერსა“ და ყურზე მძინარე  
ერს, აღარა სურს გამოიღვიძოს...  
და ვიწრო გზებით მირბის წიქარა,  
ათასი ზღაპრით, ლექსით, მითებით,  
„ლმერთის უბეში“ გამოაზამთროს  
იმედისა და დარდის ჩიტები...

## ბიოჩემიკური ალტინაშვილი



## අ ග ආ ර අ ප ත

სახლი შევიძინე სააგარაკოდ, აქევ თბილისთან  
ახლოს. ყოფილი პატრონები ყველაფერს ყიდღნენ,  
საზღვარგარეთ აპირებდნენ თურმე გადასახლებას,  
ხო, გადასახლებას, ფული სჭირდებოდათ მომავალ  
ევროპელებს. ავეჯ-ჭურჭლიანად შევიძინე ეს შეს-  
ანიშნავი კარმიდამო და ძვირიც არ გადამიხდა.

ძველი ნაგებობა შემომეგება, აი, „ბელეტრაჟს“ რომ იტყვის ხალხი, ისეთი. ქვითკირის კედლები ამოცავანათ მიწის ზედაპირიდან და ისე „შეეკრათ“ პირველი სართული. მარანი და რამდენიმე ოთახი იყო იქ. მარანში დიდრონი საწური ქვევრი შუაში ჩაედოთ, უფრო პატარები კი გარშემო შემოყოლებინათ ბარტყებივით. ძველი ნივთები ერთ კუთხეში მიეწყოთ და ასე მიეწოდებინათ.

პირველი სართულის ოთახებსაც შევავლე  
თვალი. ძელებური ქართული აგურით იყო იატაკი  
დაგებული. თითქოს მაჭრის სუნი მეცა. კუთხეში  
მიყუჟულ მოზრდილ მუხის კასრს ასდიოდა აღ-  
ბათ. მეორე სართულზე კიბეს აუყევი. ზის კიბეს  
ფიცარში ამოტვიფრული ლამაზი ორნამენტებით  
დამშვენებული მოაჯირი მიჰყვებოდა. ეტყობა ლაქიც  
არ დანანებია ყოფილ პატრონს, ისე გაეპრიალებინა  
ზის ზედაპირი. მეორე სართულის შესასვლელი კარი  
შევაღე, შეშაბანდი შემომეგება ახალ მასპინძელს.  
ოთხივე ოთახის კარი ღია დაეტოვებინათ, „ნიავგა  
გაუაროს“, — ასე გადაწყვიტეს სხვის ცას და-  
ნატრულმა ჩვენმა თანამიწიერებმა აღბათ. ძელი  
ავეჯი იდგა ოთახებში. „ბუფეტი“ მასპინძლობდა,  
დიდ ოთახში და კუთხეში დიღრონი გაჭვარტ-  
ლული ბუხარი პირლია შემომყურებდა, თითქოს  
„შენ მაინც გამწმინდეო“, — მეველრებოდა ქვაში  
და აგურში დატანისრულებული ოჯახის „თბილია“  
მოჭირნახულე.

ბუხრის გვერდით ვიდრე „ბუფეტამდე“ სამ-  
ლოცველო ჰქონდათ მოწყობილი. ხატები კედელს


„შეხორცებილნენ“, წინ პატარა მაგიდა დაედგათ და პატარა სასანთლები ჩაემწერივებინათ გვერდი-გვერდ. ლოცვების წიგნები ელაგა მაგიდაზე მტკრის საბურველში განვეული სრულიად. ბუხრის მეორე მხარეს, სარკმელებს შორის კედელზე ხალიჩა გაყრათ ძველებური წესისამბრ და ქვეშ აკვანი დაედგათ. ოთახის ცენტრში მუხის პირქუში მაგიდა ჯერაც მყარად იდგა „მესტუმრედ უხუცესის“ ურყევი ხიბლით. ყველა ოთახი შემოვარე, საოცარი სიმშვიდე ვიგრძენი იქ. ისევ დიდ ოთახს დაუბრუნდი, გარეშემო მიმოვიზედე და ახლადა შევამჩნიე შეშა-ბანდში გასასვლელი კარის თავზე ხის დირე იყო გადებული, ნიშან-ორნამენტებიც ამოეკვეთათ მის სხეულზე. შუაში ჯვარი იყო გამოსახული, ჯვრის ქვეშ აკვანი, ჯვრის თავზე მხის „ბორჯვალი“, მარ-ჯვენა მხარეს სანთელი და მარცხენა მხარეს კი წიგნი ამოეკვეთა ოსტატს. არსად მინახავს მსგავსი ნაკვეთი, არც მსგავს განლაგებას წავწყდომივარ სადმე. ბუხრის გვერდით წმინდა კუთხეს მივაშურე ისევ. გადავწმინდე ხატები, სასანთლეუბსაც შევავლე ხელი, რუდუნებით მოვაშორე იქაურობას ჯერაც ხელუხლებელი მტკრი. შესანიშნავი იყო უკვე გასუფთავებული ოჯახის სალოცავი. ფარდის ქვეშ შეუყულ აკვანს მივეახლე ახლა, ფარდა ავხადე სიცოცხლის საგაღობობის მდუმარედ მომღერალს. ეტყობოდა ზუმფარით გულმოღვინედ გაწმინდათ მისი „ტანი“ და შემდეგ ლაქით დაუფარავთ მისი სხეული.

ჩემი იჯახის წევრების ყიუინა შემომეშმა გარე-  
დან, ჭიშკარს მოსდგომოდნენ და კარებს აღებდნენ ე-  
ქრიამულით ბავშვები. ჭრიალით მამცნო სტუმრის  
შემოსვლა ეზოს კარიბჭემ. ბავშვები ოთახებში  
დარბოდნენ, მოსწონდათ იქაურობა, ძველებურ სა-  
წოლებზე დახტოდნენ და ტახტსაც დაურღვიეს  
მყედროება. მეუღლემ ცოცხი და აქანდაზი მოიმარ-  
ჯვა, დიასახლისის ხელი დაატყო იქაობას. არც  
მე დამტოვა გარჯის გარეშე, ჯერ შეშა შემომა-  
ზიდვინა, ავეჯიც მიმალაგებინა თავის ჰქუაზე და  
სამზარეულოში მიკრა თავი „ხორცი დამიჭერი და  
სადილს გავამზადებო უცებ“ თვალინი მწყაზარნი  
შემომაფეთა კიდევაც თანამეცხედრებ. მზე უკვე  
ჩადიოდა. პირველი ღამე უნდა გაგვეთა ახალ  
სახლში ოჯახს.

მობილური ტელეფონი აწერიალდა. სახლის ყოფილი მეპატრონე მირეკავდა. გესტუმრებით ცოტა ხნით, არ შეგაწუხებთ, ისე წავალთო მაღვევ... დასტური მივეცი, მანქანიდან კონიაკის ბოთლიც ამოვიდე და ამაყად დავუწყე სტუმრებს ლოდინი. მზე უკვე ჩასულიყო, მთვარის სანახებში ვარსკვ-ლავნი კეკლუცობდნენ, მყისიერად ცას გადაჰკრავდა მანათობელი და ალბათ ასე კოცნასაც უგზავნიდნენ ერთურთს.

ქრისტიან ლეიქი

## ეპიზოდი შემოქმედი



ეზოს კარებს მოადგნენ სტუმრები, მორიდებით შემობრძანდნენ სახლში. ორი მოხუცი ახლდათ თან. მსცოვანი ქალბატონი ყოჩალობდა მკლავს აშელებდა მოხუც მამაკაცს...

— ბატონი გიორგი, მოგვიტევეთ, აღბათ უდროო დროს შეგაწუხეთ... ხვალ მივურინავთ საზღვარგარეთ და ჩემი დედ-მამაც თან მიგვავს. ნება გვიბოძეთ, გთხოვოთ... ეს მოხუცები ჩემი მშობლები არიან, ისინიც თან მიგვავს და მთხოვეს, იქნებ უკანასკნელად ლოცვის უფლება მოგვცენო ჩვენს ოჯახში... მომიტევეთ...

— რასაკვირველია... არაფერი გადამიადგილებია.... მხოლოდ მტვერი გადავწმინდე ხატებს... ლოცვანიც კი იქვე დევს...

მდუმარედ მიუახლოვდნენ წმინდა კუთხის წინ მდგარ მაგიდას მოხუცი ცოლ-ქმარი, ლოცვანი გადაშალეს და ოჯახისთვის სავედრებელი ღვთისმშობლისადმი ლოცვა დაიწყეს... ორივეს ხელთ ეპყრა ანთებული კელაპტარი და ისე განაგრძობდნენ ლოცვას... მძიმედ წარმოთქვამდა სიტყვებს ძიაკაცი, ხელკონს ეყრდნობოდა ხშირად, სათვალის მინაზე ალი კიაფობდა, სანთლისაგან ადენილი წყნარად, თითქოს მომეჩვენა, ემშვიდობებოდნენ ამ სახლს და კერიას მარად, ვინ იცის, რამდენი სისახული მის კედლებს შეახიზნეს თავად. ბავშვები მდუმარედ ატუზულან, იქვე კარებთან, ბრდღვიალა თვალებით ციმციმ შეჰქერებდნენ ლოცვას...

რაღაც აჭრიალდა, უცხო ხმა დაირჩა, აკვისკენ გავიხედე... აკვანი ირწეოდა თავად. გავოგნდი... ახლოს არავინ იყო, რომ მეფიქრა, ხელი შეახორ, ალბათ, აკვანი წყნარად, მშვიდი აკორდებით ნელა ირწეოდა, წყნარად.

შიში დამეუფლა, მეუღლეს შევხედე, გაფითრებულიყო ქალი...

— ბატონი გიორგი, მადლობას გიხდით მოთმინებისთვის — მშვიდად მომიგო მოხუცმა კაცმა — ჩვენ სამუდამოდ მივდივართ ამ ქვეყნიდან, შორს, ძალიან შორს... ამ აკვანს გაუფრთხილდით... დედაბობის მაგიერია ის ოჯახში, სიცოცხლის პირველწერა და ბალის სითბოთია გაჯერებული. ხანდახან სანთელი მის ტანზეც აანთეთ, ისიც ხომ ოჯახის წევრია, ოღონდ სხვანაერი... თქვენი ოჯახის ბედნიერებისთვისაც ვილოცეთ, მადლი გწეოდეთ დედა ღვთისმშობლის...

მალევე წავიდნენ სტუმრები. ჭიშკრის კარები გადავკეტე და სახლში ამოვედი... რაღაცნაირად მიღიმოდა ცოლი, მერე ხელით ხატებისკენ მიმითითა... ჩემი უფროსი შვილი ხატის წინ დამდგარიყო და...

მირონი სდიოდათ ხატებს...

სერ!..

სერ, აქ ეგ ზოტიკით  
დასანაყრებლად რომ ჩამოსულხარ,  
პრეისტორიულ ექსპონატად  
აღმიქვა, რომ გსურს,  
წამომყევი,

ზღვა მოლიცლიცე მეწამულ ცის ქვეშ  
წუხელ ტიროდა,  
ის რუსის ზიშტიც აქვე დარჩა,  
ჩემი ძმის სისხლში გაღებილი,  
ზედაზნის კართან, ქსნის ხეობაში  
თუ დარიალის შემოსასვლელთან  
სურვილით ერთით: კავკასიონიც  
სტეპივით რომ მიმოასწოროს,  
სერ, აიხედე ზემოთ,  
ქსანზე როგორ ტირის ღრუბელი,  
მაინცდამაინც ძირს ნუ დაიხედავ,

— „ხინკალი სუპერ!“ — შექება ხურდად,  
ფაშვზე ხელის დათათუნება...  
დუქნის გემოთი ნუ შეხედავ  
ალაზნის ველებს,  
ნურც ცას გომბორის.

სერ, ეს სამყარო ჩემ გარეშე არაა სრული,  
ამ დოქტერი ღვივის წვენი ვაზის,  
სისხლი — იქსო,  
ისევ მყინვარწვერს წამომდგარი  
მსურს ჩემი სული  
და ამისათვის ნუ დამძრახავ მე, კადნიერსო.  
სერ, ყველაფერი თამაშია, ჭრელი დახლია,  
მაგრამ სხვას ამბობს სხალთის კართან  
სოფლის ზარები,  
სერ, ეს სამყარო ერთი სუნთქვა,  
ერთი სახლია,  
შენც დაგაჩნდება, თუ ჩემს კედელს  
ადევს ბზარები...  
...სერ, ამ მიწიდან მე გაქრობა  
არ მიწერია...

# ქოთი ჭოტოსორითის ისტორია

ბენამ შახაბიძე

## ეძღვნება ბატონ გურამ პატარაიას ხსოვნას

1979 წლის მცხუნვარე ივლისის თვეა, მე, თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა ქალაქ ისკენდ-ერუნში ვიმყოფები, სადაც საბჭოთა სპეციალისტების უშუალო დახმარებით შენდება თურქებისათვის ახლაც კი საამაყო მეტალურგიული ქარხანა, ე.წ. „ისდემირი“. მე რამდენიმე ჩემს კოლეგასთან ერთად თარჯიმანი ვარ, ასე თქვათ, ვეხმარები თურქ და საბჭოთა სპეციალისტებს (რომელთა შორის რუსების გარდა ბევრი იყო უკრაინელი, თათარი, ყაზახი, ქართველი, აზერბაიჯანელი, ერთი ლატვიელიც კი) საერთო ენის დამყარებაში (თსუ დავამთავრე საზღვარგარეთის ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით, თურქული და ფრანგული ენების სწავლებით).

დღე არ მახსოვს ზუსტად, როცა ერთ-ერთ შშენებარე საამქროში ყოფნისას ტელეფონით დამიკავშირდნენ და სასწრაფოდ ქარხნის დირექციაში გამომიძახეს. სიმართლე ვთქვა, არ მესიამოვნა ეს ფაქტი, ჩვენ იქ ასე ვიძახოდით: „რაც შორს ხარ დირექციიდან, მით უფრო წყნარად დაამთავრებ მიკლინების ვადას (12 ან 24 თვე, როგორც წესი)“.

დავაკეტი ჩვენი ობიექტის მანქანას, თურქ მძღოლს ვუთხარი, დირექციაში მივდივართ-მეთქი და დავიწყე ფიქრი, ჯერ შემეტინდა, ვაითუ, თბილისში დარჩენილ მშობლებს რამე დაემართათ, ან მმას, ანდა, ჩემდა უნებურად, რამე ხომ არ გავაკეთე ისეთი, რომ 24 საათში სამშობლოში მიკრან თავი-მეთქი და სხვა ამის მაგვარი.

10 წუთში ადგილზე ვიყავი. პირდაპირ მივედი საბჭოთა სპეციალისტების ოფიციალურ თურქ კურატორთან, ემინ ბეისთან. მე 26 წლის ვიყავი, ის კი ორჯერ უფროსი იყო ჩემზე, ამიტომაც მე ასე, კლასის დამრიგებელივით მეპყრობოდა, უყვარდა ხუმრობა და ოხუნჯობა, საერთოდ, ქართველ სპეციალისტებზე, რომლებიც ჩემამდე მუშაობდნენ ქარხნის მშენებლობაზე, ყოველთვის თბილად ლაპარაკობდა. შევედი თუ არა მასთან, დავინაზე, რომ მარტო არ იყო კაბინეტში, ვიღაც მამაკაცი იდგა მის გვერდით, ადრე არ მენახა. რატომდაც უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელს მივამსგავსე.



დგანან (მარცხნიდან მარჯვნივ): გურამ შარაბიძე, ირაკლი ონოფრიშვილი, თურქი გამყოლი აპმედი, გურამ პატარაია

— გურამ ბეი, — სერიოზული ტონით მომმართა ემინ ბეიმ, — შენ 3 დღით მიდიხარ ანტიოქიაში მივლინებით, საბჭოთა სპეციალისტების უფროსთან ეს საკითხი უკვე შეთანხმებულია. როგორც თარჯიმანი, შენ უნდა მოემსახურო საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულ კინომუშაკებს, კერძოდ, რეჟისორსა და ოპერატორს (გვარები არ დაუსახელებია), დანარჩენს ადგილზე აგისხინან,. რაც შეიძლება სწრაფად მოემზადე, გამოგივლის ჩვენი მანქანა და მიგიყვანს ქარხნის გასაშვებ პუნქტამდე, სადაც გელოდებიან შენი თანამემამულე ქართველები. აბა, წარმატებით! ნახვამდის.

მაინც ვერ მივხვდი, მე რატომ ამირჩიეს, შემდეგ შევიტყვე, რომ თურქე ჩვენებურების მოთხოვნა ყოფილა, თარჯიმანი ქართველი უნდა ყოფილიყო

(ამის შესახებ ადრე მოუპოვებიათ ინფორმაცია, ანკარაში ყოფნისას), გულზე ზელის დადებით გამოგიტყდებით, რომ 14 თარჯიშიდან მინიმუმ 10 მაიცნ ჩემზე უკეთესად ფლობდა თურქულს მაშინ, მაგრამ ქართველი მარტო მე ვიყავი. ასე, რომ ბედია მარცუნა ამ ისტორიაში მოხვედრა...

ზუსტად 30 წუთში აღნიშნულ ადგილას გადმომსვეს ქარხნის მანქანიდან, გადავდგი რამდენიმე ნაბიჯი და ვხედავ, დგას ლია ფერის „მერსედესის“ მარკის მანქანა და ორი მომლიმარი მამაკაცი, მივუახლოვდი, მივესალმე ქართულად, მომესალმნენ.

— აბა, გვეჩერება, დიდი დრო დავკარგეთ შენს ძებნაში, მანქანაში აგიხსნით კველაფერს, — მითხრა უფრო „ახალგაზრდამ“. ჩავსხედით, მანქანის საჭესთან „ახალგაზრდა“ დაჯდა, ხოლო მასთან შედარებით უფროსი კი მის გვერდით დაბრძანდა, დაღლილობა ეტყობოდათ, ვინაიდან ანკარიდან იყვნენ ახალჩამოსულნი, სულ ცოტა 650კმ ჰქონდათ გავლილი.

სიმართლე ვთქვა, თავიდან ისინი ვერც კი ვიცანი, უფრო სწორად, ლაპარაკში ახალგაზრდამ კი წარმოთქავა, შენი სეხნიაა ბატონი გურამიო, მაგრამ კარგა, რომ თვითონვე დაამატა, ბატონი გურამ პატარაია გაიცანიო....

მაშინ კი მივხედი, ვისთან ვიჯექი მანქანაში და რომ ამ ლეგნდარულ კაცთან უნდა გამტარებინა წარუშლელი 3 დღე, თანაც სად? ანტიოქიაში, სადაც ათწლეულობის განმავლობაში საქართველოს წარმომადგენელს არ დაედგა ფეხი გარკვეულ მიზეზთა გამო.

„ახალგაზრდაც“ მალე გაიშიფრა — ეს იყო ყველასათვის ცნობილი და საყვარელი კაცი, შესანიშნავი კინოპერატორი, ბატონი ირაკლი ონოფრიშვილი. თავიდან ცოტა შებოჭილად ვგრძნობდი თავს, მაგრამ მალე, როცა გაირკვა, რომ ერთად „არ დავიკარგებოდით“, სულ სხვა გახდა მათთან ურთიერთობა. ჯერ ერთი, ორივე იყო ბრწყინვალე იუმორის გრძნობის პატრონი, ერთმანეთთან სულ ოხუნჯობდნენ, ასე ვთქვათ, „შპილკებს“ უკეთებდნენ, მეც მაშაყირებლენ გზადაგზა, ძალიან მომეწონა ეს ატმოსფერო, ვცდილობდი, არ ჩამოვრჩენილიყავი, მაგრამ გამოგიტყდებით, ძალიან შორს ვიყვავი მათგან ამ საკითხში. ქალაქ ისკენდერუნიდან ანტიოქიამდე დაახლოებით ერთი საათის გზაა, ამ ხნის განმავლობაში მე უკვე გამარკვიეს მათი მოგზაურობის არსში. გავიგე, რომ. პირველ რიგში, მათ მოახერხეს, აეღოთ კანოგადაღების ნებართვა, რაც იმ პერიოდში ფაქტობრივად შეუძლებელი იყო.

როგორც გავიგე, საბჭოთა ელჩის ჩარევით და პირადი კავშირების გამოყენებით მოხდა ბატონი

გურამისა და ბატონი ირაკლის შეხვედრა იმდრო-ინდელ თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრთან, პასან ფეპმი გიუნეშთან, რომელმაც ძალიან თბილად მიიღო ისინი, საუბრისას ისიც კი უთქვაშს, რომ მისი წინაპრები საქართველოდან ყოფილან წარმოშობით, კერძოდ, მამის მხრიდან გვარად ბოლქვაძეები ყოფილან, რამდენიმე სიტყვა ქართულადაც კი წარმოუთქვაშს. სადამოს კი რესტორანში გაუმართავს ბანკეტი მათ საპატივსაცემოდ. ასე და ამგვარად, გაიცა ბრძანება ანკარიდან, რომ ზელი შეეწყოთ კინემატოგრაფისტებისათვის გადაღებებში, კერძოდ კი, ანტიოქიის მიდამოებში. იმ დროს ეს რაიონი დაზურულად ითვლებოდა საბჭოელებისათვის, მაგრამ დაუშვეს გამონაკლისი, როგორ და რანაირად, სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებდა და არც მიკითხავს, რადგანაც წინ იყო 3 დღე ანტიოქიაში, ამ უგველეს და ისტორიულ აღვილას, რაზეც მე ვერც კი ვიოცნებებდი მაშინ და იმ წყობის დროს.

მხოლოდ ახლა, ამდენი წლის შემდეგ, შემიძლია ვივარაუდო, რომ მაშინდელმა „მემარცხენე“ მთავრობამ პატარა რევერანსი გააკეთა იმ წვლილისათვის, რაც საბჭოთა კავშირმა აღმოუჩინა თურქეთს მიმე მრეწველობის განვითარების საქმეში და დართო გადაღების ნებართვა.

ასეა თუ ისე, მალე ჩავედით ანტიოქიაში, კითხვა-კითხვით მივედით ვილაიეთის შინაგან საქმეთა სამმართველოში, სადაც უნდა შევხვედროდით სამმართველოს უფროსს, ჯევდეთ ბეის (თუ არ მეშლება). სამმართველოს უფროსი აღმოჩნდა ახალგაზრდა კაცი, ასე 6-8 წლით ჩემზე უფროსი, მისი მაგიდა გადატენილი იყო ტელეფონებით, სპეცკავშირით, რაციებით, რომლებიც წარა-მარა რეკავდნენ და არ გვაძლევდნენ საუბრის დაწყების საშუალებას. დამამასხსოვრდა ამ კაცის ძალიან დაღლილი, უძილობისგან ჩაწითლებული თვალები, მაგრამ მაინც იღიმებოდა და ცდილობდა, გაეგო, თუ რისთვის გამოცხადდა მის წინაშე ეს „სამეული“ შორეული ქვეყნიდან, რომლის შესახებ, არა მგონია, რომ მას ბევრი სცოდნოდა და არც დრო ჰქონდა ამისთვის, ვინაიდან 70-იანი წლების ბოლოს თურქეთში ისეთი შინაარეულობა იყო, რომ სხვა რამეზე ფიქრიც კი უჭირდა ბევრს. მან გვითხრა, რომ ჰქონდა ზეპირი ბრძანება მიღებული ანკარიდან გადაღების ნებართვის შესახებ, თქვა, რომ მისი ხელქვეითები გაფრთხილებული იყვნენ, დაგვხმარებოდნენ ყველა საკითხში, რაც მათ კომპეტენციაში შედიოდა. მერე ისიც დასძინა, რომ ჩვენთან შეხვედრა სურდა ვილაიეთის გუბერნატორს, ამ სიტყვებით დაგვემშვიდობა ჩვენ. მგონი, შვებით ამოისუნთქა და თავის უმძიმეს მოვალეობას მიუბრუნდა.

გუბერნატორი, მართლაც, განასახიერებდა ზე-ლისუფლებას, ამაში მაშინვე დარწმუნდებოდა კაცი იმის გათვალისწინებით, რომ იყლისი იდგა, ცხ-ელოდა, ვცდები, ძალიან ცხელოდა, ალბათ ასე 40 გრადუსი იქნებოდა ჩრდილში, იგი კი შემოგვება გუბერნიის შენობის მეორე სართულზე, სადაც მისი რეზიდენცია იყო. ეცვა მუქი ლურჯი ფერის კოხტა კოსტიუმი, ეკეთა პალსტუხი. იყო ასე ორმოციოდე წლის სიმპათიური შესახედაობის ადამიანი. ძალიან თავაზიანად მიიღო ჩვენი დელეგაცია, დაწვრილებით გამოჰკითხა ბატონ გურამს, თუ როგორ ვმიგზავრეთ, რამეს ხომ არ მივირთმევდით, რამდენიმე წუთში შემოიტანეს თურქული ჩაი, შემდეგ ორიოდე სიტყვით მოყვა ანტიოქიის ვილაიეთის ისტორია, წარსული და აწყო. გაგვაცნო ადგილობრივი ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორიც (რომლის სახელსაც, სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ), გვისურვა წარმატება და დაგვემზებოდა.

იქნებოდა უკვე საღამოს 6-7 საათი, როცა ჩვენ დაღლილ-დაქანცულებმა დირექტორის მიწვევით ვიკაზშეთ და დაგვეგმეთ სამოგზაურო მარშრუტი ხვალისათვის, ვახშამის შემდეგ გავეშურეთ სასტუმროში დასასვენებლად. ლაპარაკის თავი არავის ჰქონდა, მიგაშურეთ საწოლებისაკენ და მკვდარივით ჩაგვეძინა. მე, როგორც ყველაზე ახალგაზრდა, გამოუნისას პირველი წარმოშობის ისტორიული ძეგლები და ადგილები, კერძოდ კი, დასახლებული პუნქტები, ეკლესია და მონასტრები. უმეტესი მათგანი ე.წ. „შავი მთის“ მიდამოებში იყო დატანებული ამ რუკაზე. მისთვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ამ ადგილებიდან რომელიმეს მონასტრება და ფირზე აღბეჭვდა. მაგრამ ქართული სახელებით მათ ბენას აზრი არ ჰქონდა, ვინაიდან უკვე დიდი ხნის დავიწყებული იყო.

მე-20 საუკუნის 40-იან წლებში, ამ ვილაიეთის თურქეთთან მიერთების შემდეგ კი, ტოპონიმიკა თურქულით შეიცვალა და ამან უფრო გააძნელა ძებნა. მუზეუმში მხოლოდ მწირი ინფორმაცია მოვიპოვეთ და ისლა დაგვრჩა, ადგილობრივებთან საუბარში და კითხვა-კითხვით მიგვენო რამისათვის. პირველ რიგში, გადაწყდა წმ. პეტრეს ეკლესიის მონასტრება, რომელიც ქალაქის განაპიროს მდებარეობდა. ჩავსხედით მანქანაში და სულ მალე მივადექით ამ უმცველეს კლდეში ამოკვეთილ

ბატონი გურამი და ბატონი ირაკლიც ყურადღებით ათვალიერებდნენ, ერთ მომენტში კი სახტად დავრჩით, იმიტომ რომ მონეტების კოლექციის დათვალიერებისას ძველ ქართულ მონეტას მოჰკრეს თვალი, სამწუხაროდ, გადაღების უფლება არ მოგცეს, ისე ვიზუალურად ძნელი აღმოჩნდა იმის დადგენა, თუ რომელ ხანას ეკუთვნოდა ეს მონეტა. გული კი დაგვწყდა ყველას, მაგრამ პირველმა ქართულმა არტეფაქტმა იმედი მოგვცა, რომ მალე უფრო მეტსაც ვნახავდით.

ალბათ დადგა დრო იმისთვის, რომ უფრო დაწვრილებით მოგვცე, თუ რა იყო ამ მოგზაურობის საბაბი და საბოლოო მიზანი კინოგადაღებისათვის. ბატონი გურამის მონასტრიდან ვიხსენებ, რომ მას მოუპოვებია 1830 წლებში შექმნილი რუკის ასლი, სადაც აღნიშნული იყო ანტიოქიის მიდამოებში არსებული ქართული წარმოშობის ისტორიული ძეგლები და ადგილები, კერძოდ კი, დასახლებული პუნქტები, ეკლესია და მონასტრები. უმეტესი მათგანი ე.წ. „შავი მთის“ მიდამოებში იყო დატანებული ამ რუკაზე. მისთვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ამ ადგილებიდან რომელიმეს მონასტრება და ფირზე აღბეჭვდა. მაგრამ ქართული სახელებით მათ ბენას აზრი არ ჰქონდა, ვინაიდან უკვე დიდი ხნის დავიწყებული იყო.

მე-20 საუკუნის 40-იან წლებში, ამ ვილაიეთის თურქეთთან მიერთების შემდეგ კი, ტოპონიმიკა თურქულით შეიცვალა და ამან უფრო გააძნელა ძებნა. მუზეუმში მხოლოდ მწირი ინფორმაცია მოვიპოვეთ და ისლა დაგვრჩა, ადგილობრივებთან საუბარში და კითხვა-კითხვით მიგვენო რამისათვის. პირველ რიგში, გადაწყდა წმ. პეტრეს ეკლესიის მონასტრება, რომელიც ქალაქის განაპიროს მდებარეობდა. ჩავსხედით მანქანაში და სულ მალე მივადექით ამ უმცველეს კლდეში ამოკვეთილ



წმ. პეტრეს ეკლესიის ინტერიერი ქ. ანტიოქიაში

მალე პატარა ხმაურიც შემომესმა ოთახიდან, ჩვენ – სამივენი ერთ დიდ, სამსაწოლიან ნომერში გავრერდით, ასეთი „დისკომფორტისათვის“ მაშინ ყურადღებაც კი არავის მოუქცევია, ვინაიდან სასტუმრო გუბერნიას ეკუთვნოდა, მასპინძლებმა ასე გადაწყვიტეს, სხვა ვარიანტიც არ გვქონდა. ბატონ გურამსა და ბატონ ირაკლისაც გაეღვიძათ, მალევე მოვემზადეთ, ჩაგვედით სასაუზმოდ და დაველოდეთ მუზეუმის დირექტორს, დათქმულ დროს ისიც გამოჩნდა.

პირველი დღე, ასე ვთქვათ, ადგილმდებარეობის გაცნობას დავუთმეთ, რა თქმა უნდა, მუზეუმს ვეწვიეთ, დავათვალიერეთ. ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა იქ ნანახი ისტორიული რელიკვიები.

ეკლესიას, რომელიც ადრექრისტიანული ეპოქის მეორე თუ მესამე ეკლესიად არის აღიარებული. ეკლესია დაკეტილი აღმოჩნდა, დირექტორი რამდენიმე წუთით გაქრა, როცა გამოჩნდა, მის გვერდით ორი მღვდელი შეენიშნეთ. მოგვიახლოვდნენ, ერთმანეთი გავიცანით. გაგვიხსნეს ეკლესის კარი, შიგნით შეგვიძლვნენ. ბატონი გურამი გაესაუბრა ინგლისურად, შემდეგ გავიგე, რომ რაღაც-რაღაცები გაურკვევიათ ერთად რუკაზე, დიდხანს არ გავჩერდით და გზა გავაგრძელეთ სამხრეთი ერთერთი სოფლისაკენ, რომლის შესახებაც მღვდლებს მოყოლიათ. გავიარეთ ასე 25-30 კილომეტრი და შევედით პატარა სოფელში, რომელიც თურმე სომხებით ყოფილა დასახლებული. კითხვა-კითხვით მივადექით სოფლის ეკლესიას. იქ დაგვხვდა სომეხი მღვდელი, რომელიც გაოცებას ვერ მაღავდა, ვინაიდან ძალიან ძნელად წარმოსადგენი იყო, თუ რისთვის ვესტურეთ მის სოფელს ქართველები. ნელ-ნელა ხალხიც მოგროვდა. აქ ბატონი გურამის თბილისურობამ დიდი საქმე გააკთა, იმიტომ რომ მღვდელს სომხურად გაესაუბრა, ყველას თვალები „კვადრატული“ გაუხდა, მათ შორის მეც...

საღამო ხანიც დადგა და გამოგბრუნდით უკან, ანტიოქიისაკენ. ხვალ გველოდებოდა გადამწყვეტი დღე გადაღებისათვის და კარგად უნდა მოგვემზადებინა კინოტექნიკა და ჩვენი თავიც. ჩვენ დროს ძნელი წარმოსადგენია, თუ რას წარმოადგენდა მაშინდელი კინოკამერა, ფირები, კინოტექნიკა. ახლა ერთი ვიდეოკამერით შეიძლება ისეთივე ხარისხის მიღწევა, რასაც ათეულ კილოგრამიანი კინოტექნიკა ესაჭიროებოდა მაშინ.

დილაადრიან თავისი მანქანით მოგვადგა დირექტორი. ბატონმა ირაკლიმ პროფესიონალურად და სწრაფად განათავსა თავისი ავლადიდება მანქანის საბარგულში, ნაწილი მანქანის სალონშიც აღმოჩნდა და დავადექით წმ. ბარლაამის მონასტრისაკენ გზას იმიტომ, რომ ყველა ამ მონასტრაზე ლაპარაკობდა, მის ქართულ წარმოშობაზე და ისტორიაზე. ამ მონასტრის ადგილზე ჯერ კიდევ ძვ.წელთაღრიცხვით მე-3 საუკუნეში რომაელების მიერ დაარსდა დორიკის ტაძარი, რომელიც წმინდა ადგილად ითვლებოდა. ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, წმ. ბარლაამმა ახალი წელთაღრიცხვით მე-5 საუკუნეში აქ არსებული ზევსის ქანდაკება დაამშო და დაარსა ქრისტიანული მონასტერი, რომელიც შემდეგ ძლიერი მიწისძვრისას მოლიანად დანგრეულა. მე-9 საუკუნეში კი აქ დასახლებულ ქართველ მღვდლებს აუგიათ ქართული ეკლესია, რომელიც 1268 წლამდე მოქმედებდა, სანამ მამლუქებს არ დაუნგრევიათ მთლიანად. მას შემდეგ ქართველებს მიუტოვებიათ



წმ. ბარლაამის მონასტრის  
შემორჩენილი კედლის შიდა ხედი

იქაურობა. ამ ეკლესის ნანგრევების მონახულება და ფირზე აღბეჭდვა იყო ბატონი გურამის ამოცანა.

გზაში გავიგეთ, რომ ძალიან ძნელი იქნებოდა ბარლაამის მონასტრამდე მიღწევა, მთის მწვერვალი 1300 მეტრზე იყო ზღვის დონიდან, ხოლო მონასტერი მწვერვალის სამხრეთ კალთაზე მისგან შორის ძლის იმყოფებოდა. საავტომობილო გზა ცალკე იყოს, უბრალო გრუნტის გზაც არ ყოფილა თურმე, მონასტრამდე ასასვლელად საცალფეხო ბილიკი უნდა გამოგვეყნებინა, ეს ბილიკიც კი საპოვნელი იყო. გზაში შევჩერდით, დავიწყეთ ფიქრი, თუ რა გვეღონა. ბატონმა გურამმა დირექტორს უთხრა, რომ მაქსიმალურად ახლოს მივსულიყავით მანქანით რომელიმე დასახლებულ პუნქტამდე. ასეც მოვიქცით, მაღლე ერთ თურქულ სოფელს მივადექით. შემოგვევება ხალხი, ბატონმა გურამმა სთხოვა დირექტორს, დაექირავებინა ცხენები და ადგილობრივი გამყოლი, რომელსაც კარგად ეცოდინებოდა იქაურობა.

ატყდა ჩოჩქოლი, ყველას უნდოდა, თავისი ცხენი და გამყოლობა შემოეთავაზებინა. ბოლოს მოველაპარაკეთ, ადგილობრივი ფულით დაახლოებით 150 დოლარად (მაშინ ეს ძალიან დიდი თანხად ითვლებოდა), ავიყვანეთ 5 ცხენი. 4 ცხენზე აქმებდერდით ჩვენ, მეხუთეს ავკიდეთ ბატონი ირაკლის „მოძრავი კინოსტუდია“ და დავადექით გზას. დაახლოებით 8-9 კმ იყო გასავლელი. გამყოლი აპმედი ფეხით მიგვიძლოდა წინ. ასე ნელ-ნელა მივიწევდით მთის თავისაკენ, სადაც მონასტერი გვეგულებოდა. პაპანაქება სიცხე იდგა, შუადღინისას მზე ზენიტში იყო. ტემპერატურა კი ჩრდილში 40 გრადუსზე მეტი იქნებოდა.

ოფლში ვიწურებოდით. შესანიშნავი სანახავი ვიწებოდით, წინ აპმედი ფეხით, რომელსაც ზელი

ჰქონდა ჩავლებული დირექტორის ცხენის აღვირზე, შემდეგ მე ცხენზე, მე მომდევდა ბატონი ირაკლი, შემდეგ – ბატონი გურამი, ბოლოს „მოძრავი კინოსტუდია“ და მისი თურქი „მომსახურე პერსონალი“ ფეხით. შიგადაშიგ უკან ვიყურებოდი და თავი ამერიკულ ვესტერნში მეგონა, განსაკუთრებით ბატონი გურამი დამამახსოვრდა თავისი ცნობილი ჩალის სომბრეროთი. კოლტის რევოლვერები აკლდა მხოლოდ. ვეღარ ვიხსენებ, რამდენ ხანში მივადექით მონასტერს, ყველგან ნანგრევები ვიხილეთ, თლილი მთლიანი ან დახეთქილი ქვებით იყო სავსე იქაურობა, აქა-იქ კედლებიც შემორჩენოდა ტაძარს, პირველი, რაც კი თვალში ხვდებოდა ქართველ კაცს, ეს იყო ვაზის მტევნის გამოსახულება ბარელიეფზე, აქ ყველაფერი ქართულს წააგავდა, მრავლად იყო ქართული ჩუქურთმები, წარწერასაც წავაწყდით, რომელიც მოგვიანებით საქართველოში იქნა წაკითხული და გაშიფრული. ვერ აღიწერთ ემოციებს, რაც ჩვენ დაგვეუფლა, ცრემლს ძლივს ვიტვებდი, მაგრამ არ მინდოდა სისუსტის გამოჩენა თურქების წინაშე.

ბატონმა ირაკლიმ იქ აჩვენა მასტერკლასი, იმ სიცხეში დაქროდა ერთი ქვიდან მეორემდე, სხვადასხვა რაკურსით იღებდა ფოტოსურათებს, ბატონი გურამი ხან ერთ აღილზე მიანიშნებდა, გადაიღო, ხან – მეორეზე. მერე ირაკლიმ გაშალა შტატივი, დაამაგრა მასზე კინოკამერა და დაიწყო იქაურობის ფირზე აღბეჭდვა. ბატონი გურამი, როგორც ყოველთვის, მის გვერდით იდგა და რაღაც-რაღაცებს ეუბნებოდა. მეც აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს, არ ვიცოდი, რაზე შევჩერებულიყავი, ყველაფერი მომწონდა, მონასტრიდან იშლებოდა შესანიშნავი ხელი ანტიოქიის ვილაეთის ნაწილზე. ბატონმა ირაკლიმ 360-გრადუსიანი პანორამაც გადაუღო იქაურობას და გაჩერდა, აღბათ ჩათვალა, რომ მისი მისია შესრულებული იყო. ბოლოს ერთი საერთო სურათიც გადავიღოთო, თქვა, დირექტორს აუხსნა, სად უნდა დაეჭირა თითო ფოტო-კამერისათვის, დაუჩხაკუნა კამერამ და დამიტოვა სახსოვრად ფოტოსურათი, რომელიც აღბათ უკვე 23 წელია, რაც ჩემს ბინაში კედელზე ჰქილა, ყოველ დილას შევხედავ ხოლმე ამ სურათს, ბატონი გურამის და ბატონი ირაკლის მომღიმარ სახეებს, მეც გავუდიმებ ხოლმე და მივესალმები. ისინი ჩემს მეხსიერებაში ასეთი იყვნენ, არიან და დარჩებიან სიცოცხლის ბოლომდე.

დღის 2 საათი იქნებოდა, ჩვენ რუკას დავხედეთ და ამ ადგილიდან ასე 2 საათის ფეხით სავალზე კიდევ ერთი მონასტერი იყო დატანებული. დავიწყეთ ჩვენი თანმხლები პირების გამოკითხვა, მათაც

დაგვიმოწმეს, რომ უფრო დაბლობ ადგილას ზღვის მიმართულებით იყო ასევე ნანგრევები ტაძრისა, სხვა არა იცოდნენ რა.

ძალიან ცხელოდა, მაგრამ ბატონმა გურამმა თქვა, რომ ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა, გადავწყვიტეთ, ის ადგილიც გვენახა. „ავმშედრდით“ ჩვენს „მუსტანგებზე“ და დავადექით გზას. ადგილზე დაგვეკვდა უფრო მძიმე სურათი. მიწისძვრებს და დროს ძალიან დაეზიანებინათ ეს ნაგებობა. გაგვიჭირდა, მაგრამ, რუკის მიხედვით და ადგილზე აღმოჩენილი და ფირზე აღბეჭდილი მასალების თანახმად, მოგვიანებით დადგინდა, რომ ეს იყო სამხარის მონასტრის ნანგრევები, რომელსაც ძალიან მდიდარი ისტორია ჰქონდა, სადაც თავის დროს მოღვაწეობდნენ: გიორგი მთაწმინდელი, უფრეშ ციირე, ანტონ ტბელი და სხვ. მრავალი. აქ უფრო ციირე დრო დაგვრჩენოდა გადაღებებისათვის, ბატონმა ირაკლიმ ოპერატიულად იმუშავა და ერთ საათში მოათვა თავისი ამოცანა. საღამოვდებოდა, სხვა ადგილის მონასტელებისათვის დრო აღარ იყო, უკან უნდა დავბრუნებულიყავით. 3-4 საათი დაგვჭირდებოდა აღბათ, გარდა ამისა, ცხენები იყვნენ დაღლილი, ჩვენც აღბათ მათსავით, თუ მეტად არა.

ბატონი ირაკლისგან გავიგე, რომ ბატონ გურამს, შედარებით ახალგაზრდა ასაკში (50 წლის იყო), უკვე ორი თუ სამი ინფარქტი ჰქონდა გადატანილი და, ჯანმრთელობის ასეთი მდგომარეობის მოუხედავად, მან იმ დღეს, ისეთ სიცხეში, დაახლოებით 8-9 საათი დაჰყო ცხენზე, ვაჟკაცურად გადაიტანა ყველა სიძნელე და ცდილობდა, არავისოთვის ეჩვენებინა ეს. იმ მომენტში მისი ავტორიტეტი ჩემს თვალში ათვერ გაიზარდა.

გზის შემოკლების მიზნით გავწიეთ პატარა ქალაქ სამანდაღისკენ, სადაც შეიძლებოდა მანქანის დაქირავება და სოფელში დატოვებულ ჩვენს მანქანამდე მიღწევა. ჩვენი გამყოლები კი ცხენებთან ერთად სამანდაღში დარჩნენ შესასვენებლად და მოგვიანებით უკან დასაბრუნებლად. დაქირავებული მანქანით მივადექით იმ სოფელს, საიდანაც დაიწყო ჩვენი მოგზაურობა, დავეტშვიდობეთ იქაურებს, ჩავსხედით დირექტორის მანქანაში და დავადექით ანტიოქიის გზას. დირექტორმა დასაბრუნებლად უფრო მოკლე გრუნტის გზა აირჩია, რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთერთ მოსახვევში უანდარმებმა (საველე პოლიცია) გაგვარეს. დირექტორი მანქანიდან გადმოვიდა და დაიწყო მათთან ლაპარაკი, უესტიკულირებდა, შიგადაშივ ჩვენები იშვერდა ხელს. მისი გამომეტყველების მიხედვით დავასკვენი, რომ საქმე ჩვენ გვეხებოდა და რომ რაღაცაში იყო საქმე. მართალი აღმოვჩნდი.

უანდარმებმა თავაზიანად მანქანიდან გადმოგვსვეს და მალე იქვე მდებარე განყოფილებაში ამოვყავით თავი. დირექტორისაგან გავიგეთ, რომ ვინაიდან უანდარმერია არ ექვემდებარებოდა შინაგან საქმეთა მინისტრს, შესაბამისად, მათ არ იცოდნენ გადაღების ნებართვაზე და საერთოდ ჩვენ შესახებ. ამიტომაც დაგვაკავეს გასარკვევად. დღეს ასეთი საკითხი შეიძლება რამდენიმე წუთში გადაწყდეს, მაშინ კი, იმ კავშირგაბმულობის პირობებში, დაახლოებით ერთი საათი დავყავით განყოფილებაში. ზრდილობიანად გვეპრობოდნენ, ჩაი და წყალიც შემოგვთავაზეს. ბოლოს მოვიდა სასურველი სატელეფონო ზარიც და ჩვენ აღმოგჩნდით „თავისუფლებაზე“.

მალე ჩავედით ანტიოქიაში, ჩვენს სასტუმროში. ბატონმა გურამმა პირველი ამოცანა შესრულებულად ჩათვალა. მას კიდევ მრავალი გეგმა უტრიალებდა თავში, თურქეთში ქართულ ძეგლებთან დაკავშირებით, ქ. დიარბექირში და მარდიში აპირებდა ჩასვლას ქართული მონუსკრიპტის კვალის აღმოსაჩენად, ცალკე ტაო-კლარჯეთი აინტერესებდა, ამიტომაც სურდა, ისევ მალევე ჩასულიყო ანკარაში ამ ამოცანისათვის ახალი გზების მოსაძიებლად.

დავეტშვიდობეთ ჩვენს თურქ დირექტორს, რომელმაც მართლაც რომ ფასდაუდებელი დახმარება აღმოგვიჩინა, მას ბატონმა გურამმა პატარა ქართული სუვენირიც აჩუქა სახსოვრად. მეორე დილით ჩავსხედით ჩვენს „მერსედესში“ და დავადექით უკანა გზას. გავცდით ისკენდერუნს, მალე მე ჩამომსვეს ქარხნის შესასვლელთან. ბატონმა გურამმა მომცა თავისი ტელეფონის ნომერი, მისამართი და მითხრა, რომ თბილისში დაბრუნებისას აუცილებლად მენახა იგი, იცოდა, რომ თვენახევარში შვებულება მექუთვნოდა.

ასეც მოხდა, თვენახევარში თბილისში დავბრუნდი, ბატონ გურამს დავურეც და მოველაპარაკე შესვედრაზე. თავის ბინაში მიმიწვია დიდუბეში. მეორე დღეს მივედი დათქმულ დროს, ქალბატონმა გამიღო კარი, ბატონი გურამი თავის საყვარელ დივანზე იწვა, გაუხარდა ჩემი ნახვა. მე იქვე დავუჯექი, გამომგითხა ჩემი გეგმები, ვუთხარი, რომ კიდევ ერთ წელს ვრჩებოდი ისკენდერუნში. ძალიან კარგიო, მე ტაო-კლარჯეთის მოგზაურობის საკითხებზე ვმუშაობო, ალბათ ერთი წელი დამჭირდება საქმების მოსაგვარებლად და შენს დაბრუნებას დაველოდებით. ასე შევთანხმდით. მაგრამ დრომ შეცვალა ჩვენი გეგმები, იმიტომ, რომ მე ორი წლით

დამტოვეს ქარხანაში სამუშაოდ. მამის მეშვეობით, რომელიც ტელევიზიაში მუშაობდა, ბატონ ირაკლის გავაგებინე ეს ამბავი. მათ კი საბოლოოდ დადებითად გადაწყვიტეს ყველა საორგანიზაციო საკითხი, იმოგზაურეს ტაო-კლარჯეთში და გადაიღეს იმ დროისათვის შესანიშნავი დოკუმენტური ფილმი „ტაო-კლარჯეთი“, რომელსაც ახლაც კი არ დაუკარგავს აქტუალობა.

სამწუხაროდ, ბატონ გურამს მას შემდეგ არ შეეცვედრივარ, თბილისში საბოლოოდ დაბრუნებისას შევიტყვე, რომ მძიმედ იყო ავად და, თუ არ ვცდები, მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში მკურნალობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მისი გარდაცვალების ამბავიც შევიტყვე. ჩამივარდა თუ არა შესაძლებლობა, დიდუბის პანთეონში მივედი მის საფლავზე. პატივი მივაგე მის სსოფლას. ბატონ ირაკლის კი ხშირად გხვდებოდი, მისგან გავიგე, რომ მათ მიერ გადაღებული მასალების მცირე ნაწილი შესულა ფილმში: „მეშვიდე მოგზაურობა“.

შევიტყვე, რომ სამხარის მონასტრის ნანგრევებთან ერთად „შავ მთაზე“ ჩვენ გადაგვიღია მეათე-მეთერთმეტე საუკუნის ქართული ღვთისმშობლის ტაძრის ნანგრევები, რომელსაც „ძელი ცხოვრებისაი“ რქმევია, აღმშენებელი კი ყოფილა ვინმე ქართველი, სახელად ბასილი. ამ ამბავმა ძალიან გამახარა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ბატონი გურამის და ბატონი ირაკლის ღვაწლმა და თავდადებულმა მრომამ ასეთი მნიშვნელოვანი შედეგი რომ გამოიღო. მეამაყება, რომ მეც პატარა წვლილი შევიტანე ამ საქმეში.

ბატონ ირაკლის კიდევ ერთხელ შევხვდი 1994 წელს თურქეთში, სტამბოლში მუშაობისას, იქ გამართულ თავისუფალი ჭიდაობის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩამოვიდა, ჩვენს სახელგანთქმულ ვეტერან ფალავნებთან ერთად. დოკუმენტური ფილმის გადაღება ჰქონდა განზრახული, ქართველი და თურქი ფალავნების ისტორიული პაექრობის თაობაზე, მე მოხვა, თარჯიშმად დამეხმარეო, სიამოვნებით დავთანხმდი. იქც მრავალი საინტერესო ისტორია გვქონდა, მაგრამ მათზე სხვა დროს გიამბობთ.... დამშვიდობებისას თვალი ჩამიკრა და რაღაც დიდი კონკერტი გადმომცა, სახლში გახსენიო. ეგრევე სახლისკენ გავწიე და გავხსენი ეს კონკერტი... ალბათ, მკითხველი ადვილად მიხვდება, რა იდო მასში.

თბილისი, 2017 წლის 11 აგვისტო.

# ქორების ნათია სოცომიშვილი



\* \* \*

ნაკვერჩალივით  
ტკაცუნობს ზეცა,  
მიერეკება ღრუბლის ქარავანს,  
შენ, ღამით,  
ბებერ ჭაღრებთან ცეკვავ  
და შეწყვალება  
ჩემი არა გაქვს.  
მოდი და ერთხელ,  
მომკალი, ბარემ...  
ან, არასოდეს  
გათენდეს, ნეტა?!  
ბედნიერება –  
ვერ შევიყვარე,  
უბედურების  
ალაყაფს ვპეტავ.  
მომედოს ტანზე  
კმაყოფილება,  
შენს შორიახლოს  
განვმარტოვდები,  
მკერდზე  
აპრილი მეფოვინება  
და შიშველ მკლავზე  
ნუშის ტოტები.  
დავმდგარვარ  
შენ წინ  
სმენადახშული,

მაკრთობს ქუჩაში  
სიჩუმე ზეთა,  
დაფეობული  
ტალღის ტლაშუნი  
და გაწითლებულ  
კვირტების ზეთქვა...  
წუთი კი არა,  
წამები მყოფნის,  
რომ ათას კაცში  
გამოგარჩიო,  
შენ შემაჩვიე,  
უაზრო ლოდინს  
და შენვე უნდა  
გადამაჩვიო...

\* \* \*

ათასი რამის  
გავმხდარვარ მომსწრე  
(ხშირად მგონია  
მაფი გაწყდება),  
თუ გინდ ახლა და  
თუ გინდაც მერე...  
ათას რამეზე  
გული დამწყდება.  
კისთვის უკულმა  
ტრიალებს ბედი,  
სავსე დარბაზშიც  
ვრჩები უულად  
და ადრე უხვად  
მქონე იმედი,  
ჩვილი ბალდივით  
გაჭირვეულდა.  
თუ დედამიწა  
ვეღარ დამიტევს  
და დაგროვილი  
ჯავრი მაყაროს,  
.....  
ასე მგონია,  
მუჭაში ვიტევ,  
მამლის ყივილზე  
შემფრთხალ სამყაროს...

\* \* \*

მზე აფუებულ ღრუბლებზე იწვა  
და შოლტს უქნევდა მოვარდნილ ქარებს,  
მე ცოდო-მადლით მოხარშულ მიწას  
მძიმე ნაბიჯით გადავუარე...  
კერც ფიქრის ხროვა ვერ მოვიშორე,  
ეჭვით გამხედეს გზიდან ხეებმა,  
მე მოკლავს შენი გზების სიშორე,  
ან დარდი მომკლავს გულზე ვეება...  
ღრო შეისრუტავს დღეებს ნახურმალს,  
კვლავ ხელებშუა გამქრალ ცხოვრებას  
და ვიტყვი, სანამ წიგნად დახურავს –  
რა სიყმაწვილე შთანთქა მორეგმა!  
და ისიც ვიცი, სადამდის გავდლებ  
(თითქოს არ მქონდეს გადაწყვეტილი)  
ეს ლექსი ახლა საბაბსაც მაძლევს,  
რომ შეა გზაზე დავსვა წერტილი...  
შევეფეთები დილით ან მუხებს  
ლამის რომ ცამდის აუშვან ფრთხი,  
იმ გზების იქით, სადღაც გავუხვევ  
და ჩემ წინ ჩრდილად აღიმართები.  
ან საფლავამდე დამაწევ სიცილს,  
(აქამდე, რაც ვერ გამეტებული)  
„და მეც ავტირდე, ვით მეფე ლირი,  
ლირი, კველასგან მიტოვებული“ ...  
ხან ავბედითი გზებით წასულხარ  
და თავი ჩემიც უნდა გაწირო!  
გაირინდები, სადღაც, წარსულად,  
შენ, ჩემი ხსოვნის, დიდო ნაწილო...

\* \* \*

მზე, როცა კარავს მიწად გაიშლის  
და უნდა თავის სახე მაჩვენოს,  
მე ჩემს სოფელში, მაშინ გამიშვით,  
მაშინ ქალაქში არ გამაჩერით.  
შურითაც გიხმე, ხან გულაყრილმა  
(მე მარტო შენი სიმშვიდე მშურდა)  
იტორლიალა ტოტზე აპრილში  
და ჩემს სარგმლის წინ აშარიშურდა.  
რომ თვალი ჩემნი, ისევ ნატრობენ,  
ნეტა, იმ მიწებს, კვლავ დამახედა,  
როცა მდინარე მღვრიე გავტოპე  
და ორლობებში ძალლი აყეფდა.  
ის ეკლესია რომ ჩანს გორაზე,  
ჯერაც რომ სანთლის შუქი ნათურობს,  
რომ მამაჩემის დამჭკნარ ლოფაზე  
ხელები ისევ ავაფათურო.

ხან ხეებს, როცა ფოთოლს ვაცლიდი,  
მაშინ ფოთლებიც არ დამემდურნენ,  
ერთხელ წვიმაში, როცა გავცივდი  
და ხეტიალი მისაყვედურეს.  
მეტი ქალაქში არ ვარ დამრჩენი,  
თუ შენი ჩრდილი მხრებს მახურია,  
ახლაც მიწაზე რომ მოჩანს ჩემი  
შიშველი ტერფის ნაფეხურია...

\* \* \*

აწვიმს ბალებს,  
ხეებს ტანში შეაურუოლა,  
აპაჭუნებს, რომ უუჟუნა  
წვიმა თვალებს,  
მზე აგდია  
ღრუბლის თავზე,  
მუშტისტოლა,  
მეჩვენება, თითქოსა და  
მითვალთვალებს.  
დასასრულის აღარც პირი  
უჩანს წვიმებს,  
გზებზე მიცდის,  
რომ სახლამდე  
ფეხში მომყვეს,  
არ გამიწყრე, თუკი  
დიდხანს გალოდინე,  
ყაფაჩოებს ვუკოციდი  
წითელ ლოფებს...  
მე ყაფაჩოს ხალიანი  
ყელი მიყვარს,  
მინდა ცხელი  
კოცნით დამწვას,  
ნეტა, წვიმდეს!  
რას მიშველის შენი ერთი  
თბილი სიტყვა,  
ხან თვალიდან ცრემლი  
თუ არ ჩამომწმინდე...  
მიალერსებს  
მზე ღრუბლიდან  
შენკენ მზირალს,  
ხელს წამატანს,  
რომ თავისად დამიგულოს  
.....  
აფეთქებულ ალუბლების  
ბაღში ვზივარ  
და შენს გულში  
უსასრულოდ  
ვ გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ო ბ...

\* \* \*

ისე დაღამდა,  
შენი ლანდიც არა მწვევია,  
სად დამემალე,  
სად წახვედი,  
რატომ ვერ გაითხე?!  
ეს ორი დღეა,  
ვერაფერი დამიწერია,  
როგორც მელანი  
კალმის წვერზე ჩამოვეკიდე...  
ვწევარ გულაღმა,  
მზე სიცოცხლის ხალისს მიჩერებს,  
წამიღოს,  
ტალღებს მიმახეთქოს  
სევდის მორევმა,  
ესეც სიკვდილის ტოლფასია  
(თუ დამჯერებ),  
რომ კალმის წვერზე ჩამოვკიდე  
ჩემი ცხოვრება.  
გულზე სტრიქონად წამეპიდე,  
არ ჩაინაცრო,  
როგორ გაგიშვა,  
როცა შენი  
მოსვლა არ მკითხე  
და თუკი წასვლა დავაპირო,  
პირი ვინაცვლო,  
ყველასთვის საშიშ მისამართზეც  
ამომაკითხე....  
ამომაკითხე,  
ოღონდ მოსვლა  
მალე ეცადე,  
მე იქ, რა მინდა,  
შენს ცხელ მკერდზე  
უნდა გეწვინო...  
.....  
მოდი და, ლექსო,  
ისეთ ღამეს გამომეცხადე,  
რომ დაბადება  
ხელმეორედ განმაცდევინო.

\* \* \*

რად შემაწუხა დღეს სიმარტოვებ  
და გამიფანტა ეჭვი სრულიად,  
ეს მე ვიგონებ, რაღაცას თორემ?!  
ჩვეულებრივი გაზაფხულია...  
ჩვეულებრივე გულგრილად მიცქერ,  
რა გიდევს გულში, ან რას მიპირებ,  
მე უნდა ერთ დღეს ბალახად ვიქცე  
და შენს ეზოში ამოვბიბინდე.

რად მომენატრე ასე ძალიან,  
დღეს, იქნებ სულზეც მომისწრო, მოდი...  
მე გეტყვი, ისევ ჩემი ბრალია  
და უმიზეზოდ მოვიხდი ბოდიშს.  
მოდი, თვალიდან ცრემლი მადინე,  
ან მომატყუე, ბავშვი ვარ ჯერაც...  
ვერ შევეგუე ამ სინაძვილეს  
და გამოგონილ სიცრუის მჯერა.  
ისევ იმ ძველი ბილიკით გეძებ,  
შენ გარდა ამ გზას, სად არ მივყავარ...  
და მერე ვიტყვი ამ განვლილ გზებზე,  
მიყვარდა, მმულდა, უფრო მიყვარდა.  
მე ვიცი, ერთხელ კიდევ ინათებს,  
მაშ, მოდი, დარჩეს ეს დღე უცვლელად,  
კიდევ კაი, რომ წუთით გინატრე,  
თორემ დიდი ხნით რა გაუძლებდა...

\* \* \*

ხეებს აპრილი ისე შეაშრა,  
როგორც შენ მხრებზე თოვლი პირველი...  
როცა სურვილი ქრება ერთბაშად,  
მაშინ, მოსვლასაც ნუ დამბირდები.  
ჩახერგონ მთებმა გზები სავალი  
და მე ლოდინით, ვერ მოვიქანცო,  
რომ შენი გული, როგორც ნადავლი  
ორივე ხელით გამოვიტაცო.  
რომ სხეულს დარდი დღემდე მიღრღნიდა,  
(არ განმიცდია ტანჯვა ესოდენ...)  
დაწყევლილივარ, ალბათ იმ დღიდან,  
მე, ერთხელ მერცხალს ქვა რომ ვესროლე.  
და თავი ჩემი ჯერ არ მინახავს,  
გული მიცემდა, რა გამალებით.  
ცაზე ჯგრივით გამოისახა,  
გულგახეთქილი მერცხლის თვალები.  
ღმერთმა რამხელა ჯავრი მარგუნა,  
ჯავრი საკუთარ ცრემლში ნაზავი,  
რომ ჩემს ოთახში წვიმა დაგუბდა...  
და გასასვლელი არ მაქვს არსაით.  
რომ ის დღე ცოდვის სიმბიმედ ქმარა,  
თითქოს ხეებმა ენა გაგმინდეს,  
რად ვეტმასნები სიკვდილს კი არა,  
ცოცხალი რომ ვარ, მე ის მაკვირვებს.  
ან გულს მზის შუქი როგორ ვაკმარო,  
როცა ჩამქრალი მიცქერს აპრილი.

.....  
შენ მაინც მოსვლა არ დააჩქარო,  
შენ მაინც მოსვლას რატომ დამპირდი.

# ქართველი ილტინიშვილის მუზიკური



## ივანე აკოსიძე,

საქართველოს დამსახურებული უურნალისტი,  
საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე,  
დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის  
პრემიების ღაურეატი,  
გეოლოგის მეცნიერებათა დოქტორი

## უნდა დასრულდეს ხვამლის შესახებ სიცრუის გავრცელება!

საკითხი, რაზეც კიდევ ერთხელ გვსურს საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ, ესება ლეჩხუმში არსებული ხვამლის ქვებულის შესახებ აჟიოტაჟს, რასაც ბოლო არ უჩანს და თავიდანვე გაყალბებული, მოგონილი ისტორიების ტირაჟირება სხვადასხვა სანფორმაციო საშუალებებით დღემდე გრძელდება.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, რაზეა საუბარი, შემოგთავაზებთ ამონარიდს 2008 წლის 11-17 აგვისტოს გაზეთ „კვირის პალიტრის“ 32 (702) სტატიიდან „ექსპედიცია სიცრუისათვის“, სადაც წერილის ავტორი, 1986 წლის ხვამლის ექსპედიციის ხელმძღვანელი, რეჟისორი და უურნალისტი რევაზ შალიძეშვილი წერს: „ეს წერილი აღმატება არ დაიწერებოდა, რომ არაერთი ისტორიკოსის (არქეოლოგის), მთამსვლელის, რეჟისორისა და უურნალის პიარი ან უფრო სწორად ქმედება, რომელიც უფრო საზოგადოების იმ ნაწილის გამოწვევაა, ვისაც გარკვეული ცოდნა და გამოცდილება აქვს და სიცრუე არ ხიბლავს.“


ამბავი ხვამლის მთის „საიდუმლოს“ ეხება.

დღეს, საქართველოს ავთვისებიანი სიმსიცნესავით მოსდებია არაპროფესიონალიზმი, პირველობისა და სენსაციურობისაკენ ლტოლება, რაც სინამდვილეში ისტორიის გაყალბებას, სიცრუის ტირაჟირებასა და ვაჟაცური ტრადიციების დათრგუნვას ემსახურება მხოლოდ და საერთო არაფერი აქვს ჭეშმარიტებასთან.

თითქოს ის საქმე, რაზეც საუბარი გვექნება, არ უნდა გასცილებოდა ზნეობრივ კრიტერიუმებს, მაგრამ განდიდების მანია ისეთი რამა, რომ თავზე ხელს ააღებინებს და უკადრისაც აკადრებინებს...

ამბავი აჟიოტაჟის ამტებ ერთ ექსპედიციას ეხება, რომლისთვისაც მედიით, რადიოტელევიზიით ხოტბა არ დაუკლიათ, თუმცა, ექსპედიციის წევრთა და გამშუქებელთა პროფესიონალიზმის დეფიციტი მიზანმიმართულად ისტორიის გაყალბებასა და სიცრუეს ემსახურება...

ხვამლის განძთსაცავით დაინტერესდა ერთი ჯგუფი, რომელსაც არქეოლოგი გურამ გაბიძაშვილი ხელმძღვანელობდა და 2007 წელს შიგ შესვლაც მოახერხა, ვიდეოფილმიც მოამზადეს და მოჰყვა ამ ამბავს დიდი გაშუქებები ტელევიზიით, რადიოთი... სადღაც გაკვრით ახსენეს, რომ ხვამლის მთის განძთსაცავში ადრე, ცნობილი მთამსვლელის ალიოშა ჯაფარიძის 1945 წლის ექსპედიციის შემდეგ რეზო შალიძაშვილის ჯგუფიც ასულა. თუმცა ისტორიკოსს, არქეოლოგ გურამ გაბიძაშვილს რატომდაც დაავიწყდა, რომ სწორედ რეზო შალიძაშვილს სთხოვა ცნობები და მიიღო კიდეც ჩანახატები, ნახაზები, ფოტო, ვიდეო და სხვა მასალა. ასვლის ორგანიზებასაც სთხოვდა, ბოლო მომენტში კი საქმისადმი არაერთგვაროვნი დამოკიდებულების



გამო უარი მიიღო. ამ ექსპედიციამ განძთსაცავში წინამორბედი ექსპედიციის – მოგზაურ-მკვლევართა ჯაუფ „ხომლის“ წერილი ნახა და ჩამოიტანა, თუმცა გურამ გაბიძაშვილი არ დაბნეულარადიო „ივერიით“ (2008 წ. მაისი) გამოსვლისას და „დააფიქსირა“, რომ ალიოშა ჯაფარიძის წერილი ჩამოიტანა. „უნდა აღვინიშნო, რომ 1986 წელს ციხე-ქვაბულიდან წამოღებული ალიოშა ჯაფარიძის ორი წერილი „ხომლელებმა“ (რევაზ შალიძაშვილმა, რამაზ კორშიამ, ლერი გაბელიამ და გია ნადარეიშვილმა) გადავეცით მის მმისშვილს, ბატონ ივანე ჯაფარიძეს, ხოლო არქეოლოგ გიორგი ლომთათიძის ხელნაწერი მის ქვრივს, ქალბატონ ნინო ღოლობერიძეს. ქვაბულში კი გოგი ლომთათიძის ბარათის ასლი და ჩვენი წერილი დავტოვეთ ჩვენივე დამზადებულ ზარდახშაში; სამოყვარულო კინოკამერით გადავიღეთ ფილმი; წამოვიღეთ ნახატის ზუსტი ასლი, სამშენებლო ხისა და კერამიკის ნიშაუშები – რათა მშენებლობის თარიღი დაგვედგინა; ციხე-ქვაბულის ბაქანზე დავტოვეთ ჩვენ მიერ საგანგებოდ დამზადებული 6-მეტრიანი ალუმინის კიბე, რათა შემდეგ ამსვლელს უსაფრთხოდ შეეღწია მთავარ ქვაბულში.„... 1986 წლის „ხომლელთა“ ექსპედიციაზე ბევრი დაიწერა, მოეწყო კინოჩვენებები და ტელევიზიონაც რამდენჯერმე გადაიცა.

ალიოშა ჯაფარიძემ 1939 წელს, ორ ქუთაისელ მთამსვლელთან ერთად (და არა მუშებთან) ჩაატარა ხვამლის დაზვერვითი ექსპედიცია. 1945 წელს კი სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო. ამავე წელს, პატრიოტული გრძნობის გასაღვივებლად ქუთაისელი მოსწავლეები აიყვანა ქვაბულში.

რაც შეეხება 2007 წლის ექსპედიციის ფილმს „ხვამლი“, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა, თუმცა ზოგიერთი ფაქტის შეგნებული გაყალბებით საზოგადოება შეცდომაში შეჭყვს. არ შევეხები იმას, რომ ჩვენს გაკვალულ გზაზე გაიარეს და ვითომც არაფერი, მაგრამ ხვამლის ექსპედიციის შემდეგ ალიოშა ჯაფარიძის თითქოსდა გაურკვეველ ვითარებაში დაღუპვა ხვამლის განძთსაცავს უკავშირდება, მტკნარი სიცრუე და უცოდინარობაა. ჯერ ერთი, ალიოშა ჯაფარიძე ზვავმა იმსხვერპლა უშბაზე, მეორე – ალიოშას გარდა ციხე-ქვაბულში იყო მისი და ალექსანდრა, არქეოლოგი გოგი ლომთათიძე, მოგზაური და მწერალი ლევან გოთუა, გეოგრაფი ელენე აბაშიძე, პალეონტოლოგი ნიკოლოზ ბურჩაკაბრამოვიჩი და სხვები, სულ 11 მეცნიერი და 2 ადგილობრივი დამხმარე. მათ ნაშალისაგან გაწმინდეს მთავარი ქვაბული და მნიშვნელოვანი ვერაფერი ნახეს, არც საიდუმლო გასასვლელი აღმოჩენილა, რის არსებობასაც საზს უსვამენ 2007 წლის ექსპედიციის წევრები. ან სად ამოიკითხეს, რომ ალიოშას ხვამლის ექსპედიციისათვის ოქროს მედალი დაპკიდეს? კვლევა და ფანტაზია კარგია, მათ აღმოჩენებამდე მივყავართ, შეგნებული ცდომილება კი დალატი და მტრობაა. ფილმიდან ასევე ვიგებთ, რომ ხვამლის მთაზე წარმოებული ზედაპირული

არქეოლოგიური გათხრებით შესანიშნავი ნიმუშებია ამოღებული, სინამდვილეში ისინი ხვამლის მთაზე, ლეჩხუმში კი არა, ხვამლიდნ საკმაოდ მოშორებით, გონას მიდამოებში, რაჭაშია ნაპოვნი – ასეთი უზუსტობა ბევრია... მოკლედ რომ ვთქვათ, გააკეთეს ის, რისი საშუალება და უნარი ჰქონდათ.

ახლა ერთი პარადოქსის შესახებ. როგორც „რუსთავი 2“-ის (27.07.08) გადაცემა „P.S.“-დან გავიგეთ, 2008 წელს კვლავ მოეწყო ექსპედიცია ხვამლის ქვაბულში. მიზანი, როგორც ჩანდა, იყო: 1. „აეტანათ“ იქ „რუსთავი 2“-ის უურნალისტი, რომელიც იტყოდა – „მე პირველი უურნალისტი ვარ, ვინც აქ ფეხი დაადგა“; 2. გაეხსნათ ზარდატშა და წაეკითხათ 1945 წლის ექსპედიციის ბარათი, ანუ ასლი, რომელიც დავტოვეთ ჩვენ ბარათან ერთად... მაგრამ გაუგებარია, ეს ხომ გურამ გაბიძაშვილმა 2007-ში ჩამოიტანა? გურამი ამ ექსპედიციაშიც მონაწილეობდა! ამ ერთი სიუჟეტიდანვე გავიგეთ, რომ ხვამლის მთა ჯერ 50 მეტრით „გაზრდილა“, შემდეგ 200 მეტრით „ამაღლებულა“, ნუთუ მართლა? რა საოცარი მთა ყოფილა... ასე თუ გააგრძელა, წლის ბოლომდე ალბათ ევერუსტზე მაღალიც იქნება...

ისტორიკოსი (არქეოლოგი) ისტორიას აყალბებს, უურნალისტი – ფაქტებს, მთამსვლელი ვაჟაცურ ტრადიციას დალატობს... ნუთუ ეს არის თანამედროვების რეალური სახე?“...

რევაზ შალიძაშვილის ზემოთ მოყვანილ წერილთან ერთად, საინტერესოა თავად გურამ გაბიძაშვილის ინტერვიუ უურნალისტი ირმა ხარშილაძესთან, რომელიც ნაყოფია ხვამლზე და კარგად იცნობს იქაურობას. მათი საუბარი უურნალ „გზის“ 2008 წლის №27-ში დაიბეჭდა სათაურით: „ხვამლის მთის განძსაცავის საიდუმლო“. გურამ გაბიძაშვილის ეს ინტერვიუ აბსულულობის, სიყალბისა და უვიცობის კლასიკური ნიმუშია, რის დასტურადაც აქ მხოლოდ მცირე ამონარიდს მოვიტან:

**ირმა ხარშილაძე – რა დაგხვდათ გამოქვაბულში?**

**გურამ გაბიძაშვილი:** – იქ რვა ოთახია და აშერად არ ჰგავს ფეოდალური ხანისას, გაცილებით ადრინდელი უნდა იყოს. ოთახებში, კედლებზე ბევრი ნახატია, პიქტოგრამებს ჰგავს. ამ გამოქვაბულში პირველად 1939 წელს ალიოშა ჯაფარიძე მუშასთან ერთად ავიდა. მეორედ, 1945 წელს, კედევ შევიდა; დიდი წნის შემდეგ კი – რეზო შალიძაშვილიც იყო იქ. საინტერესოდ მეტვენება ის ფაქტი, რომ ალიოშა ჯაფარიძე იმ წელსვე – 1945-ში დაიღუპა, რომელ წელსაც მღვიმეში შევიდა.

**ი. ხ. – რამდენადაც ვიცი, 1945 წელს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ექსპედიცია იყო, ანუ ალიოშა ჯაფარიძესთან ერთად, იქ არქეოლოგი გოგი ლომთათიძე, მწერალი ლევან გოთუა, მთამსვლელი ალექსანდრა ჯაფარიძე და კიდევ სხვებიც იყვნენ...**

**გ. გ. – კი, სულ 11 კაცი იყო. ისინი 4 დღე გაჩერენენ მღვიმეში. ოთახების ნაწილი ზემოდან ჩამოყრილი ქვებითაა ავსებული და ჩახერგილი, ექს-**

პედიციის წევრებს მისი გაწმენდა გაუძნელდებოდათ. ჩანს, კიდევ სხვა შესასელელიც არსებობდა, ისე ვერ ივლიდნენ კლდეზე.

ი. ხ. – მგონი, მათი დანატოვარი კიბე დღესაც არსებობს.

გ. გ. – დას, ხის კიბე იყო. რეზო შალიბაშვილი რომ ავიდა, იმ გამოქვაბულში ექსპედიციის წევრების მიერ დატოვებული წერილი ნახა და ჩამორტანა. ჩვენ რომ ავედით, რეზოს წერილი დაგვხვდა. ალიოშა ჯაფარიძის წერილში წერია, რომ განძი არ არის, სავარაუდოდ, ადრე გაიტანესო. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ექსპედიცია განძის საპოვნელად დაიგეგმა, იმასაც ამბობენ, სტალინმა დავაცალა განძის მომებნა, რადგან სახელმწიფოს ძალიან უჭირდათ. მერე, იმავე წელს, შხარასა თუ უშბაზე იღუპება ალიოშა ჯაფარიძე და კვლავ ეჭვის საფუძველი ჩნდება. მგონი ბევრი რამ ემთხვევა ერთმანეთს...

დაკირვებული მკითხველი ამ მცირე ამონარიდიდანაც კი მიხვდება, რა მიღომებთან და რა დონის „მკაფიოდან-მეცნიერებთან“ გვაქვს საქმე.

ყველაზე მთავარი, რაც ამ ინტერვიუში თვალში გაცემათ, ისაა, რომ არცერთ დასმეულ კითხვაზე რესპონდენტი კონკრეტულ პასუხს არ სცემს და ცდილობს, საუბარი სხვა მიმართულებით წაიყვანოს. ამ „მეცნიერ-რეჟისორთა კვლების“ ყველაზე მყარი არგუმენტია, ვიღაცები „ამბობენ“.

მათ არ აინტერესებთ ალიოშა ჯაფარიძის, გოგი ლომთათიძის, ლევან გოთუას, ვერა ბელეცკაიას და ექსპედიციის სხვა წევრების ვინაობა, მათ მიერ გამოქვენებულ მასალებს არც იცნობენ და არც ახსნებენ, ხოლო ფანტასტი მწერლების მონაცემებს უხვად აფრქვევენ. ისინი საგანგებოდ აბიაბრუებენ და აენინებენ 1939 წელს ალიოშა ჯაფარიძის ხვამლში შესვლას, როცა ალიოშა მუშასთან კი არა, ორ ცნობილ მთამსვლელთან – ალექსანდრე ასშილთან და დიმიტრი ობოლაძესთან ერთად შევიდა ხვამლის ქვაბულში. სხვათა შორის, დიმიტრი ობოლაძე შემდგომ ცნობილი მთამსვლელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი და ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი იყო.

სასაცილოა გაბიძაშვილის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირში გამორჩეულ და უძლიერეს მთამსვლელებს: ალიოშა ჯაფარიძეს, ლევან გოთუას, ალექსანდრე ნემსიწვერიძეს, გოგი ჯაფარიძეს, სიმონ შეგაცაბაიას, ვერა ბელეცკაას, ალექსანდრა ჯაფარიძეს თურმე გაუკირდებოდათ ხვამლის კლდეზე სიარული და ქვებით სავსე ქვაბულის გაწმენდა. ამაზე დიდი უვიცობა და აბსურდი მნელად წარმოსადგენია.

განსაკუთრებული ხაზგასმითა და სენსაციურობის ტკბობის ნიშნითაა აღნიშნული ალიოშა ჯაფარიძის 1945 წელს დაღუპვის ამბავი, თითქოს ხვამლში შესვლასთან მას რაიმე კავშირი ჰქონდეს. მაგრამ მათ ხომ სინამდვილე არ აინტერესებთ და საერთოდაც, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ სად დაიღუპა. მთავარია, სენსაცია მოახდინონ, ეჭვი

გამოთქვან და სტალინთან დააკავშირონ მის მიერ რეპრესირებული ჭეშმარიტი მაბულიშვილები (ლევან გოთუამ თავისი ცხოვრების თითქმის მესამედი გულაგებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში გაატარა, დაჭრილი იყო გოგი ლომთათიძეც, როგორც პირველი დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილის ალექსანდრე ლომთათიძის შვილი, ალიოშა დაღუპული იყო, თორებ მასაც არ ასცდებოდა გადასახლება, როგორც 1921 წელს კოჯორ-ტაბახმელაში ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ პატრიოტს).

კიდევ ერთი ბრიფული მოსაზრება სტალინთან დაკავშირებით. თურმე სტალინს სპეციალურად იმიტომ შეუგზავნია ალიოშა ჯაფარიძე ხვამლში, რომ განძი გამოეტანა და გაჭირვებული სახელმწიფო (საბჭოთა კავშირი – დედამიწის 1/6) დაეპურებინა. ამაზე მეტი სიბეცე და აბსურდულობა რაღა შეიძლება იყოს ისტორიკოსისათვის?!

აյ იმ მთამსვლელების „განათლებასა და მაღალინტელექტურული“ უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა, რომლებიც აღნიშნულ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ. როგორ შეიძლება კაცს მთამსვლელად მიაჩნდეს თავი და არაფერი იცოდეს ქართული ალპინისტური სკოლის შემქმნელის, საბჭოთა კავშირში პირველი – „საქართველოს ალპური კლუბის“ დამაარსებლის, „პამირის გმირის“, საქართველოში პირველი სპორტის დამსახურებული ოსტატის ალიოშა ჯაფარიძის და დამსახურების, მისი დაღუპვისა და 12 წლის შემდეგ პოვნის შესახებ.

ამ ექსპედიციის „სიღრმისუეულ“ კვლევებსა და მოსაზრებებზე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მაშინდელ ერთ-ერთ ინტერვიუს 2008 წლის სატელევიზიო პროგრამაში „ახალი დღე“, რომელშიც წამყანამა ეკა ტოგონიძემ გვაუწყა, რომ „შარშან ზაფხულში, არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ხვამლის კლდოვანი მასივის შესწავლა დაიწყო“ და სტუდიაში „ექსპედიციის სრულფასოვანი წევრი“, „კინორეჟისორი“ დავით გოგუაძე მოიწვია, რომელმაც რესპონდენტობა არა როგორც რეჟისორმა, არამედ, როგორც „ისტორიკოს-არქეოლოგმა“ იკისრა და თავისი „სიღრმისუეული ცოდნით“ გაგვაცა.

დ. გოგუაძის „მეცნიერული მსჯელობის“ შეფასებას აქ არ შევუდგები, მაგრამ გასაოცარი იყო სიცრუეს, სიყალბისა და ხვამლის პირველმკვლევართა შეურაცხუფის ის კორიანტელი, რაც ბატონნა გოგუაძემ ამ გადაცემაში „დააყენა“. მკითხველმა რომ ტენდენციურობა არ დამწამოს, გადაცემის წამყანისა და დ. გოგუაძის საუბრის გაშიფრული ტექსტის ფრაგმენტს შემოგთავაზებოთ, რათა უკეთ წარმოვაჩინოთ აღნიშნული ექსპედიციის საქმიანობის „მეცნიერული“ თუ ზნეობრივ-მორალური არსი.

ეკა ტოგონიძე: ...მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945 წელს, სტალინს საქართველოში, კერძოდ კი ლეჩხუმში მდებარე მთის მიმართ ინტერესი გამოუჩინდა და მთამსვლელ ალიოშა ჯაფარიძისათვის ხვამლზე ასვლა დაუკალებია, ეს ჩვენს სიუჟეტშიც

აღინიშნა, ამ ექსპედიციის თანამდევი მოვლენები და მთამსვლელის სწრაფი გარდაცვალება დღემდე საიდუმლოებითაა მოცული, ფაქტი კი ის არის, რომ ხვამლის მთა ახლაც ინტერესის მიერჩისა და მეცნიერები იქ დიდალი განძის პოვნას იმყდოვნებენ. თქვენ, ჩვენი სიუკეტი იზილეთ, დარჩა რაიმე უთქმელი?

დავით გოგუაძე: კი, რა თქმა უნდა დარჩა.

ე. ტ.: მე მანტერესებს, თუკი ეს მთა ასეთი საინტერესოა და ისტორიულ წყაროებში არის ამის შესახებ, აქამდე რატომ იყო ამწელა პაუზა ექსპედიციდან ექსპედიციამდე, რადგან ალიოშა ჯაფარიძემ ბოლოს 45 წელს მოინახულა, ამის შესახებაც თქვენ პირად საუბარში საინტერესო რამები მითხარით...

დ. გ.: პო, საერთოდ, ალიოშა ჯაფარიძე მანამდე 1939 წელს იყო ასული. როგორც ჩანს, მაშინ იყო სტალინის დავალებით. 45 წელს მეორე ექსპედიცია გააკეთეს და იქ უკვე ბევრი ადამიანი მონაწილეობდა, 11 ადამიანი მონაწილეობდა, არქეოლოგებიც იყვნენ, თუმცა ამ ექსპედიციის შედეგი საერთოდ ისეთი იყო რა, ვითომც არაფერი არ მოშედარა... როცა ავიდა ალიოშა ჯაფარიძე, მისათვის მას ოქროს მედალი მიანიჭეს, ხო და, აი, მერე უკვე გაურკვეველი ვითარებაა, საერთოდ მსახულები არ არსებოს ამზე, ვერსად ვერ ვნახეთ, ფაქტობრივად, ექსპედიციის მასალები არ არსებოს.

ე. ტ.: თუმცა ალიოშა ჯაფარიძის გარდა იქ კიდევ 10 ადამიანი იყო და თავისთავად მათაც ექნებოდათ ინფორმაცია.

დ. გ.: თავისთავად, მაგრამ როგორც ჩანს, მეორე ექსპედიცია უფრო რაღაცის დასაფარად იყო მოწყობილი, იმიტომ რომ მერე პიონერებიც კი აიყვანეს იქ, ხვამლის მთაზე...

ციტირებული ფრაგმენტიდან, მკითხველის ფურადება მსურს იმ მოძრაობებზე გავამახვილო, თუ როგორ აყალბებს ისტორიას „ხვამლის შესწავლელი ექსპედიციის სრულფასოვანი წევრი“. პრინციპულად არაუგრს გამბობ ექსპედიციის „ახალ მეცნიერულ აღმოჩენებზე“, რომელებიც, ძირითადად, ფანტასტიკის სფეროს მიეკუთვნება. აკი იმიწმებენ კიდევ ფანტასტ მწერალს – უიულ ვერნს. მაგრამ აქ მთავარი, ექსპედიციის წევრთა მორალურ-ზნეობრივი სახეა.

ისინი სათავეს უდებენ და ამკიდრებენ ამაზრზე სიცრუეს, სიყალბეს, რაზეც 2008 წლის 6-30 ოქტომბრის №14 (168) „მწერლის გაზეთში“ დავბეჭდე წერილი სათაურით „დილეტანტიზმი, უკიცობა, მიზანმიმართული სიცრუე თუ... ყველაფერი ერთად“, სადაც აღვნიშნავდი, რომ ხვამლის გამოქვაბულში შეღწევის ინტერესი აღიანისტურ წრებში დაიბადა ჯერ კიდევ 1935 წელს, მაგრამ განხორციელდა მხოლოდ 1939 წელს. სტალინის ეპოქაზე ელ-

ემენტარული წარმოდგენა და ოდნავი ანალიზის უნარი რომ ჰქონოდათ „ხვამლის შემსწავლელი ისტორიკოს-არქეოლოგ-კინორეჟისორებს“, მიხვდებოდნენ, „სტალინის დავალების“ შესასრულებლად ალიოშა ჯაფარიძეს ათი წელიწადი კი არ დასჭირდებოდა, არამედ, ფრთხებს გმოიასხამდნენ და ისე შეაფრენდნენ ნებისმიერ გამოქვაბულში.

აქვე კვლავ ვეტყვი „ხვამლის ისტორიის ახალ მკვლევარებს“ და „ამ საკითხზე მომუშავე“ უურნალისტებს, რომ არავითარ საიდუმლოებას არ წარმოადგენს და ხვამლობა არანაირი კავშირი არ აქვს ალიოშა ჯაფარიძის გარდაცვალებას, რომელიც თავის ჯგუფთან ერთად უშებიდან დაბრუნებისას არნახული სიძლიერის ზვაგმა იმსხვერპლა.

„ახალი მეხვამლებები“ სენსაციურობისთვის აყალბებენ ამ ისტორიას, თორებ მთელმა მსოფლიომ გაიგო ალიოშას დაღუპვის, 12 წლის შემდეგ მისი უშებაზე პოვნის, თბილისში ჩამოსვენებისა და ვერის ბაღში დაკრძალვის ამბავი. პოეტები, მწერლები და კინორეჟისორები ნაწარმოებებს უძღვნიდნენ, ფილმებს იღებდნენ იმ მოვლენაზე, რომელზეც ქართული მწერლობის კლასიკოსი ლევან გოთუა ბრძანებდა – „უშბამ პირველად დაბრუნა თავისი მსხვერპლი“.

თუ დაღუპვის ან გარდაცვალების საიდუმლოებით მოცულ ვითარებებსა და პირობებზე ვისაუბრებთ, მაშინ ხვამლის 2008 წლის ექსპედიციის ხელმძღვანელის, „საქართველოს მხედრიონის“ რიგებში გამობრძმედილი მებრძოლის, საღ-საღამათი, 50 წლის ჯანმრთელი კაცის სუფთა ჰაერზე, თავის სოფელში, საკუთარ სახლში მოულოდნელად გარდაცვალება უფრო საეჭვოდ არ უნდა მოგვეჩვენოს, ვიდრე ზვაგმი მოყოლილი მთამსვლელებისა?

ხვამლის შესახებ სიცრუის ტირაჟირებიდან 10 წელიწადი გავიდა, მაგრამ მიზანმიმართულად ნათქვამ ტყეოლზე დაფუძნებული სიყალბის ნიადგარი დღემდე არ წყდება. დროა, დასრულდეს ხვამლის შესახებ სიცრუის გავრცელება, ხვამლის პირველმაკლევართა ნაღვაწის იგნორირება და გაბიაბრუება, რადგან წმინდა ილია მართლისა არ იყოს: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყვალება იქიდამ დაიწყება, როცა იგი თავისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა, დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა“.

ხვამლის გაყალბებული ისტორიის გამავრცელებელნო! შეჩერდით! მართალია, სიმართლე თქვენ არ გაინტერესებთ, გამოგონილი ისტორიების ტირაჟირებას თავდაუზოგავად ცდილობთ, არავისი არ გესმით, მაგრამ გარწმუნებთ, ცოდვა აუცილებლად გიწევთ, თუ წმინდა ილია მართლის შეგონებას არ შეისმინეთ.

# ჭიქოთ ნისარები...

## ნინო ჩხილავიძი



### მამაშვილობის მადლი...

ციკლიდან: „წერილები ჩემს ემიგრანტ ვაუს“

გამარჯობა, შვილო!

ამ ბოლო დროს აღარ მომიწერია წერილი, იცი რატომაც: არ მიყვარს წერა, როცა არაფერი ხდება, როცა ყოფითობა თავის ჰქუაზე დამატარებს. ახლა კი დაირღვა ჩემი ცხოვრების სადაცი დღეების მოწყენილობა: იმ დღეს ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ბეჭედი ნომრები გადავალაგე (2013 წლის) და გურამ პეტრიაშვილის შესანიშნავ ჩანაწერებს გადავწყდი. მართალია, მაშინაც ვათხეულობდი, მაგრამ ახლა ისევ თავიდან წავიკითხე და მინდა შეც გაგიზირო ჩემი შთაბეჭდილებები. ამტომ გიგზავნი ჟურნალის ამ რამდენიმე ნომერს, გთხოვ, ყურადღებით წაიკითხო.


იმედია გახსოვს, გურამ პეტრიაშვილის ზღაპრებს რომ გიკითხავდი. იცნობ მის სამყაროს. ისიც კარგად მოგეხსენება, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო სივრცეში არ სებობენ მწერლები, რომლებიც ქმნიან საქმაწვილო ტექსტებს. არიან, ასევე, უდავოდ საინტერესო საბავშვო მწერლებიც, მაგრამ ამავე სივრცეში ცხოვრობს განსაკუთრებული, გამორჩეული საყმაწვილო მწერალი – გურამ პეტრიაშვილი.

გურამ პეტრიაშვილმა (ახლა ერთობ მოდური გამოთქმა რომ მოვიშველიო), ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა და დააძვიდრა, უვროპული მწერლობისთვის დამახასიათებელი სტილი. ამიტომაც მისი შემოქმედების გაცნობისას აუცილებლად მომაგონდება ცნობილი საბავშვო მწერლები: ანდერსენი, ჯანი როდარი, ასტრიდ ლინდგრენი.

ასე 12 წლისა ვიქებოდი, პირველად რომ წავიკითხე მისი ზღაპარი „პიანინო და პეპლები“. გახსოვს, ეს ზღაპარი? უცნაური მუსიკოსის ცხოვრების ამბავია. მწერალი ცდილობს, ბავშვი ისეთ ფაქტზე საკითხზე ჩაფიქროს, როგორიცაა შშობლიური ფესვები, გარემო. ამ შემთხვევაში, შშობლიურად იგულისხმება ის პიანინო, რომელზედაც ამ პიანისტის დედა უკრავდა და ამ დროს კლავიშებზე დაფრინდებოდნენ პეპლები. მერე ეს ბიგუნაც დიდი მუსიკოსი გახდა, მაგრამ გამოხდა ხანი და მუსიკოსმა საკუთარი პიანინო, თავისი პატარა მყუდრო საკონცერტო გარემო, პომპეზურ ატმოსფეროსა და ძვირფას ინსტრუმენტზე გაცვალა, ამიტომ დაისჯა: დაკარგა ინდივიდუალურობა, უფრო მეტიც, მან, როგორც გამორჩეულმა და ცნობილმა პიანისტმა კარიერა დაასრულა, თუმცა კი ამ ფიასკოთი მის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი – დაბრუნება საკუთარ ფესვებთან.

მაშინ, როცა ეს ზღაპარი წავიკითხე, ავტორის სათმელი ბოლომდე ვერც კი გაგცნობიერე, მაგრამ უცნაური განცდა დამეუფლა: მოვწყდი რეალობას. თითქოს გარშემო ყველაზერი გაქრა. ულამაზეს პეპლებს შორის აღმოვჩნდი. ბეჭედი – პეპლები, თავს მეხვეოდნენ. ჩამჩურჩულებდნენ: იცოდე, შენთან ვართ, ერთად მივფრინავთ ჯადოსწურ სამყაროშიო!

მერე და მერე როცა წამოვიზარდე, მივხვდი – ეს ჯადოსწური სამყარო, ჩემი სამშობლო – საქართველო იყო და თუ მას მოვმორდებოდი, ვერასდროს მეტირსე-ბოდა ნამდვილი ბეჭნიერება.



გურამ  
პეტრიაშვილი

...

ეს შენც კარგად იცი და იმედია, ჩემს დაუინებულ ხელწა-მუდარას ბოლოსდაბოლოს ყურად იღებ – დაუბრუნდები საკუთარ ფუძეს.

...

ეს ზღაპარი შემთხვევით არ მისხენებია. ეს შესავალი, ერთგვარ უვერტურად მინდა მიიღო. გადაჭარბებად ნუ ჩამითვლი, თუ ვიზყვი, გურამ პატრიაშვილის ზღაპრებზე მთელი თაობები გაიზრდა და გაიზრდება კიდევ, რადგან ის სამყარო, რომელსაც მწერალი ქმნის, ზღაპრულიცაა და, ამავე დროს, ნამდვილიც. ამითაცაა გამორჩეული გურამ პეტრიაშვილი, – ნოვატორია თავისი ცხოვრების წესითა და რწმენით. ეს ჩანაწერებიც სრულიად ორიგი-ნალურია. ერთადერთი, რაც ამ დღიურებმა მომავონა, – გიორგი ლევონიძის დახვრეტილი მმის – ლევან ლე-ონიძის ჩანაწერებია – „პატარა ქალის ამბავი“, სადაც მისი ქალიშვილის – პატარა ლილის დაბადებისა და ბალდობის დღეებია აღწერილი.

დარწმუნებული ვარ, გურამ პეტრიაშვილს, თავის დღოზე, ლევონიძის ჩანაწერები რომ წაეკითხა, აუცილებლად სადღაც გაკრთხოდა კიდეც ამ დღიურების აჩრდილი. ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის მომავლისა და მისი საქართველოდან იძულებით ემიგრაციაზე საუ-ბრისას მაინც... – პო, ეს პარალელი ისე, უნგბურად ამიმიტივტივდა მეხსიერებაში და არ შემძლო, არ მეხსენებინა.

უცაურია, კითხულობ ამ ყოფით ამბებს და ხვდები, ასე მხოლოდ მწერალს და ისიც საყმაწვილო მწერალს, მეზღაპრეს, შეუძლია წეროს. ჩანაწერები მწერლის ქა-ლიშვილების (მეტად, უმცროსი ქალიშვილის – ირინეს) ცხოვრების დღიურებია. ის სამყაროა, რომელიც განუ-მეორებელია და რომლის მოხელთებაც თითქოსდა, ერთი შესედვით, იოლია, მაგრამ, ამავე დროს, როტულიცაა.

ერთ-ერთ ჩანაწერში, გურამ პეტრიაშვილი საკუთარ ლექსის ახსენებს:

„დღეს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა ჩემი უსათაურო ლექსი.

აი, ისიც:

„საღამოს, როცა ვარდისფერი ხდება ღრუბლები, პატარა შვილი სასეირნოდ მე გარეთ გამყავს... აქ გორაკია, ნელა-ნელა გორაკზე ამყავს, ცისა და მიწის ნამდვილ ამბებს ჩუმად ვუყვები...“

კარგი ლექსია. ახლა აქ ციტირებას აღარ გავაგრძე-ლებ, მხოლოდ ავტორის მინაწერს გავიმეორებ. ამბობს: ამ ლექსში შევძლი გადმომეცა ის ნაზი სიყვარული, ურომლისოდაც მამაშვილობა უბრალო ბიოლოგიური ფაქტია და მეტი არაფერიო.

მართლაც რომ, ასეთი უცნაური განცდითაა ეს ჩანაწერები გაჯერებული. იმ განცდით, რომელიც ყოველი ტიპის მკითხველში გულის სიმებს შეარჩევს, რადგან დაუჯერებულია, ადამიანს საკუთარი პირმშო არ უყვარდეს.

კიდევ ერთი რამაა საგულიხმო: მთელი ეს ტექსტი,

თეთრი ლექსივით იკითხება და ერთ მოტივზეა აგებული: ავტორი თავის პატარა გოგონას ხშირად უმღერის აკა-კის ლექსზე შექმნილ სიმღერას: ჩემო ციცინათელა, რად მიჰორენ ნელა-ნელა... და ეს არაა მხოლოდ საყვარელი, ანდა ამოჩემბული მელოდია. აქ ეს სიმღერა აღიმება, როგორც ამ თხრობისთვის მახასიათებელი: რადგან – ხან თვითონაა ეს პატარა გოგონა ციცინათელა!

ხანაც ბედინიერი, ლამაზი დღეებია, ასე რომ გაკროთება დროდადრო და მერე ეს ნათელი, ლამაზი დღეები უცირად სადღაც ქრება... ეს ის ნათებაა, სულს რომ გითბობს, უნგბურად გახსენებს, თუ როგორ ჰგავს ჩვენი ყოველდღიურობა ამ პატარა მწერს.

აენთება და ქვრება... აენთება და ქვრება...

„წუხელის ირინე და მე ვუცქერდით, თუ როგორ დაფრინავიზნენ ციცინათელები.

მერე, როცა ირინემ და ოლიკომ დაიძინეს, უცებ ერთმა ციცინათელამ ოთახში დაიწყო ფრენა (თითქოს ოთახი სინამდვილე კი არა, არამედ სიზმარი იყო ირინესი). – წერს ავტორი და... შენი არ ვიცი, იქნებ გაგიკვირდეს, მაგრამ მე ეს ციცინათელა ჩვენი სამშობლოს ბედის-წერა მგონია.

დიდი აკაკი ვის მიმართავდა – ჩემო ციცინათელაო?!  
– საჭრეოს?

– სამშობლოს?

– იქნებ საკუთარ ბედიწერას?...

კრებითი სახეა ციცინათელა და... იქნებ მშობლიური ენის სიმბოლოცაა ავტორისთვის!

...

რაკი დედა ენა ვახსენე, არ შემიძლია, არ გავიხსენო ჩემი კოლეგის მონაყოლი: ერთი ხანობა უკრაინაში მომიწია სამსახური, ჩავედი თუ არა, იქაურმა ქა-რთველებმა მითხრეს, აქ ერთი უცნაური ქართველი ჩამოვიდაო, მთავარ პროსპექტზე ყოველდღე გამოდის, ხელში ერთი შავი საქართველო უჭირავს, ზედ მწვანედაა ამოქარგული – აი ია!

მეო, მითხრა მიხედლ დანიშაშვილმა, რატომდაც გავიფიქრე, ეს „უცაური“ კაცი – გურამ პეტრიაშ-ვილი იქნებაო და... მართალიც აღმოვჩნდი.

მალე დავინახე ხალხში მომავალი მწერალი – შავი, ლევდერინისგან შეკერილი საქაღალდით, მწვანედ დამშვენებული დიდი წარწერით – აი ია!

...

მომიყვა თუ არა, ეს ამბავი, მაშინვე წარმოვიდგინე, არა, კი არ წარმოვიდგინე, დავინახე, როგორ დადიოდა, მილეთის ხალხში, სამშობლოდან დევნილი მწერალი, დინჯი, მოზომილი ხაბიჯებით... დადიოდა, თან დაპქონდა თავისი წილი საქართველო. დაპქონდა მშობლიური – ქართული ენის გენიალურობის გასაღები.

ახლა რამ მომავალი ეს სურათი? ამ წიგნმა მო-მავალი. ნახე, რას წერს ერთგან:

„ვკხოვრობდით მთლად უცხო გარემოში ორი ემიგრანტი – ირინე და მე. და გვყავდა ერთადერთი მფარველი და გადამრჩენი – ქართული ენა.

იგი გვეკვდა სანაცვლოდ სამშობლოსი, მშობლიური გარემოსი, ახლობლებისა და ყველაფრისა, რაც ქართულია.“

...

პო, რაზე გიყვებოდი, სიმღერაზე არა?

თითქმის ყოველთვის უმდერის ქალიშვილს. უპირატესობას ქართულ მელოდიას ანიჭებს (ისე, ხანდახან, „ბითლზებსაც“ უსტენენ, მთლად ისეც არაა საქმე, შენ რომ გვინია), რადგან უნდა შვილში (შვილებში) ყველაფრი ქართული გადაარჩინის... და რაკი ბავშვები ყველაზე, ყველაზე ფაქტები და სუფთები არიან, მათ სულსა და გრძნობებზე ზუსტად აისახება ის, რაც მათ გარშემო ხდება, აბა, სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როცა მწერლის ქალიშვილი ირინე, ეს თითოსტოლა გოგონა 1989 წლის 27 ივნისს მამას საიდუმლოსავით გაუშენდა:

„ვსაუბრობთ.

უცყვებ ახლოს მოიწია, ყურთან მომადო პირი და მიჩურჩულა: — მამიკო, ზღვაზე ვიყავით მე და დედა. და იქ დამოუკიდებელი საქართველოს დროშა იყო. იცი, როგორ ფრილებდა?!”

მოგვიანებით კი, იმ ავადსახსნებელი პუტჩის შემდეგ, 1992 წლის 4 თებერვალს, ილიას გენიალურ ლექსს პატარა ირინე მისებურ გაგრძელებას გამოუტანის: „ჩემო კარგო ქვეყნავ, რაზედ მოგიწყვნა? ახლა თუ არ დაგხვრიტეს, მომაგალი შენია“.

ასეთი და მსგავსი ჩანაწერები 1992 წლის შემდეგ უფრო და უფრო ხშირია. ფინალში, კი ნამდვილ კულმინაციას აღწევს:

„14 თებერვალი, 1995 წ.

„აკვრელის საღებავებით დაუხატავს დამოუკიდებელი საქართველოს სამფუროვანი დროშა.

მეორე გვერდზე კი წერია:

„დავწერე 1995 წ. 14 თებერვალს. დაკატე.“.

განსაკუთრებით შთაბეჭდავია ამ ნახატის სახელი, რომელიც იქვე წერია: „საწოლში ჩასადები ლეიბისქვემა დროშა“.

ესე იგი, თავისთვის დახატა, რათა საიდუმლოდ ცეკრა ხოლმე.

საინტერესოა, თუ როგორ ვნახე ეს ნახატი;

ჩერნიგოვოში ვცხოვრობდით ალას ბებიასთან.

2000 წელს ირინემ დაამთავრა სკოლა და ჩაბარა მისაღები გამოცდები კივეს შევჩერკოს უნივერსიტეტში.

ორი თუ სამი წლის შემდეგ ალამ გაყიდა ბებიას სახლი...

სახლს რომ ვცლიდით, სწორედ მაშინ ვიპოვე ირინეს საწოლში ეს „ლეიბისქვემა დროშა“.

რას იტყვი, ხომაა შესანიშნავი ფინალი, კარგ რომან-

საც დააამშვენებდა. ამან უნებურად მომაგონა ედვარდ ჰეილის „უსამშობლო კაცი“, ასე შესანიშნავად რომ თარგმნა წლების წინათ თამაზ ნატროშვილმა.

მიმიწვდი, აღბათ, რატომაც გწერ ამდენს სამშობლოზე: მეშინაია, ჩემი შვილიშვილები არ მოსწყვიტო მშობლიურ ფესტივალს, და თუ ოდესებ მელირსა კიდეც მათი ნახვა, ისე არ მოხდეს, მათ ჩემთან საერთო ენა ვეღარ გამონახონ, იმ მიზეზითაც რომ... მშობლიური ენისა არა გაეგბოდეთ რა. იცი, ეს რა ტაივლია??? ამ ტკივილის აღქმაში, ეს ჩანაწერებიც დაგეხმარება. და კიდევ: მთავრი ემოციური ლერძი მამაშვილობაა.

ეს სხვა ნიჭია... სხვ!

დაფიქრებულხარ ამაზე?

ვიცი, ვიცი... ახლა რაც გაიფიქრე: მამაშვილობის მაღლი არასოდეს გიგრძებია, მაგრამ ერთი რამ უნდა კარგად გააცნობიერო, ახლა, როცა შენ თვითონ ზარ მამა, ეცადე, საბედისწერო შეცდომები არ დაუშვა!

ამაშიც ეს ჩანაწერებიც დაგეხმარება. მინდა, მის ყოველ წიუანს ჩაწვდე. იქნება, მოახერხო, შენც ჩაინიშნო შენი პატარების ყოველდღიურობა. გავა წლები, შვილები დაიზრდებიან და ასეთი ჩანაწერები სიბერეში პირველყოფილური განცდით აღადგენს შენი ცხოვრების განუმეორებელ ხანას (რომ იცოდე, როგორ ვნანობ, თავის დროზე, მე ვერ მოვახერხე ასეთი რამ), ეს იქნება არა მხილოდ შენი შვილებისადმი მიძღვნილი, არამედ შენი, როგორც მშობლის, როგორც პიროვნების პორტრეტი, ისევე როგორც ეს წიგნია, გურამ პეტრიაშვილის განუმეორებელი პორტრეტი. პორტრეტი მწერლისა იჯახურ ინტერიერში.

...

როცა ამ დღიურების კითხვა დავასრულე, თვალწინწარმომიდგა იმპრესიონისტილი ტილო — მამა, დედა და ორი გოგონა. თან, ეს ტილო სადაა, სამყაროსეულ იდილიასთან მიახლოებულია, ამ გენიალურ იდილიას მხოლოდ უფალი ქმნის, ფერებსაც თვითონვე გვთავაზობს. მთავარია, ეს უხილავი მოიხელოთ! გურამ პეტრიაშვილმა შეძლო ამისი მოხელთება, რაც ასეთი ახლობელია და მაინც... ხშირად, სამუდამოდ მოუხელობელი.

P. S.

უერნალის ეს ნომრები მინდა მაქაურ ქართველებაც დაურიგო. როცა წაიკითხავთ, დარწმუნებული ვარ, ყველას მოგენატრებათ სამშობლო და ისევ მოგინდებათ ქართველობა.

აბა, შენ იცი...

გპოცნი.

...

იმედია, ამ გაზაფხულზე მაინც ჩამოხვალ სამშობლოში...

შენი მოსიყვარულე დედა.

2017 წლის 17 მარტი.

## ანა ბერიშვილი



### დედაშვილობა

მართაო, — მეზობელმა კაცმა დამიძახა, — დღეს რეისი მაქვს შენი სოფლისკენ, მშობლებს ხომ არაფერს გაუგზავნიო?

მოქმერიდა უარის თქმა და კი-მეთქი, გავძახ!

დედამ ხუმრობით მითხრა, მშივრები ვართ მე და მამაშენი, ერთმანეთს ვჭამთო... არა უშავს, მწვადს და ხინკალს თუ არ შეჭამთ, სუპი მაინც გააკეთეთ-მეთქი, — ვუთხარი. არც სუპის „პრიპასები“ გვაქვსო, — ესეც ხუმრობით მითხრა.

მეზობელმა ისევ შემახსენა, საღამოს, — დილით 9 საათზე ჩანთა გამზადებული გქონდეს, აღარ მალოდინოო.. არც მე არაფერი მქონდა გასატანებელი...

სუპისთვის, 4 ცალი კარტოფილი, ნალევი ტომატი, გაყვითლებული მწვანილი, ერთი მუჭა ვერმიშელი, ერთნახევარი ხახვა (ნახევარი წუხელ შეჭამა ჩემმა ქმარმა, საჭმელი უგემურია ისეო...) ...

მეზობელმა თხილი მომიკითხა წინა დღეს, ბავშვებს აჭამეო, ისიც ჩავდე... დედამთილ-მამამთილის ჩუმად ეზოში რამდენიმე ნაქარი მსხალი ავკრიფე და ისიც სასოებით ჩავაწყე. პარკი რამდენჯერმე გადავკონე, ნაცნობი მძღოლი ათვერ მაინც გა-ვაფრთხილე, ჩანთა არსად დაგეკარგოს, დედაჩემი დაგხვდება და მიეცი-მეთქი...

„შენ გენაცვალოს დედა, შენ რომ რაღაცები გამოგვიგზავნე, გემრიელი სუპი გაგაკეთეთ, მე და მამაშენი ვჭამთ ახლაო... რახანია მსხა-ლი არ მიჰამია, მამაშენს თუ გადაურჩა, პირს გავისველებ... შენ გენაცვალოს შენი დედა ჩვენი გახარებისთვისო“, — საღამოს მითხრა დედამ.

მთელი დღე უსაბუთო გიუთით ვიკრიჭებოდი და რატომდაც მეზობლებს უკვირდათ...

### სანთლის ცრემლი

მოხუცმა ხელიდან ხელში გადაიტნა დაჭმუ-ჭნული ხელსახოცი, დავიღალეო, — თქვა და რამ-დენიმე წუთი მოუნდა წამოწოლას. ცუდათ ვარო — ამოთქვა...

— ნუ გეშინია, ექიმს მოვიყვანო!

— ექიმი რას მიშველის, არ მინდა ექიმი, — უმ-წეოდ გაიქნია ხელი და მე და კარებთან ჩაცუცქული შვილიშვილი საწოლთან გვიხმო:

— 60 წლის წინ, დედაშენზე რომ ვიყავი, ბიჭო, ფეხმძიმედ... — წამოიწია გაჭირვებით, შვილიშვილი რომ დაენახა და განაგრძო... — ის ამბავი გამახსენდა ახლა. შშობიარობა რომ დამეწყო, მთელი სამშო-ბიარო ყვირილით ავიკელი, არ მინდა შვილი-მეთქი! მართალია, მაშინ ეს სიტყვები ტკივილმა მათქმევინა, მაგრამ ახლა რატომ გამახსენდა არ ვიცი, შვილი თუ მომენატრა... მუშაობს, ვერ მოიცალა ჩამოსასვლელად, თორემ ახლა რომ დედა მანახა... — თვალები დაბზა-რულ ჭერს აღაპყრო და პირგამშრალმა წაიბუტბუტა: — სანთელი არ დამინთია, რა ხანია!

— მე მოგიტან, თუ არ გაქვს და დაანთე... — ვუთხარი მე და საწოლთან დამდგარი სკამიდან ერთი ნაჭერი ხაჭაპური შევთავაზე.

— მაგ სიკეთეს თუ იზამ...

— მიდი, ლევან, დედაჩემს გასძახე და მოგაწო-დებს, — გადავაბარე ლევანს, რადგან მართა ბებია ხაჭაპურს დახმარების გარეშე ვერ შეჭამდა.

ის არ გაინძრა...

— არ გესმის, ბიჭო?

— შენ წადი! — ცივად მომიგო.

გავიქცი, უკან წამში დავბრუნდი, მაგრამ ლევანის მოგუდულმა ღმუილმა მიმახვედრა, რომ დავიგვანე...

მე და ლევანმა სანთელი ავანთეთ და დაკ-რუნჩეულ ხელში ჩავუდეთ... ხელიც ისე მოეკუმა, თითქოს სანთლის დასაჭერად ჰქონდა გამზადებული.

მეზობლები რომ მოვიდნენ და სახლის დალაგება დაიწყეს, ლევანმა ბებიას ნახევრად დამწვარი სანთე-ლი ხელიდან გამოაცალა და იქვე, ხატებთან დადო... მოხუცს სანთლის წვეთები ცრემლად დაღვ-როდა დანაოჭებულ, გაქვავებულ ხელზე.

— ბებიაჩემს, ეს სანთლის წვეთები არ მოაშოროთო,

— მეზობლებს უთხრა ლევანმა და წავიდა...

# ვინ გიურ და ვინ ჭკვიანი

ოთახის ჭერიდან ნახევარი სანტიმეტრის ქვე-  
მოთ, თამბაქოს კვამლით გამოხატული ფიგურები  
ზანტად დანარჩენებრ... ერთმანეთში ირევიან, შორ-  
დებიან და წამდაუწუმ იცვლიან ფორმებს. ფანჯარა  
გაიღო, შემოვარდა ქარი, მათი დაუძინებელი მტერი,  
„ქრისტიანი“, — დაუბერა და თვალდაზელშუა გაი-  
წმინდა თამბაქოს კვამლში გახევული ოთახი.

— ფუ, შენი, — შეიკურთხა მასპინძელმა მამაკ-  
აცმა, ფანჯარა ხმაურით დაკეტა, მოუთმენლად  
მოკალათდა სტუმარი მამაკაცების გვერდით და  
ტელევიზორს მიაჩერდა... პოლიტიკურ თემაზე  
სიტყვით გამომსვლელებს, უხვად ახვედრებდნენ  
ლანძღვა-გინებას.

კარზე ზარია. გაორმაგებული სიბრაზითა და  
გინებით წამოვარდა მასპინძელი და „გლაზოკში“  
გაიხედა.

— ფუ, შენი, — ისევ შეიკურთხა. ჩემი გიურ ნათე-  
სავია, ალბათ ისევ საგიურთიდან გამოიპარა.

— მერე და, ნუ გაუდებ, — გამოეხმაურა ერთ-  
ერთი, ისე, რომ ტელევიზორისთვის თვალი არ  
მოუცილება.

— აზრი არ აქვს, არ მომეშვება...

გიუმა, ჯერ თავი შემოყო, თვალებით მთელ  
ოთახს მოედო, მერე თავს ტანიც შემოაყოლა,  
ცხვირშეჭმუხნული, მოკლე ნაბიჯებით მივიდა  
მაგიდასთან, იღლიაში ამოჩრიდი „საკაცცელარიო  
წიგნი“ ნაზად დადო, ფანჯარა გამოაღო, ხელები  
დაიბანა და ხმამოუღებლივ დაჯდა დაშვდური  
მამაკაცების გვერდით, ტელევიზორთან ახლოს....  
ფეხი ფეხზე გადაიდო, რვეული მუხლებზე დაიდო,  
კალამი საჩვენებელ თითსა და შეა თითს შორის  
მოიქცია და ღონივრად ათამაშა...

მამაკაცებს თავშეკავებული ღიმილი აუთამაშდათ  
სახეზე.

გიურ არ ჩარეულა პოლიტიკურ დებატებში,  
წარბშეუხრელად იჯდა და გაფაციცებით წერდა.  
მალიმალ კალამს შებლზე მიკაუნებდა და ორ  
თითს შორის აათამაშებდა. მერე ადგა, სკამი საწყის  
ადგილს დაუბრუნა, რვეულიდან ფურცელი ამოხია,  
მაგიდაზე დადო, გადახედა, უბის ჯიბიდან კალამი  
ამოიღო, ჩაასწორა და მოკლე ნაბიჯებით წავიდა,  
ასევე ფრთხილად, უხმაუროდ გაიხურა კარები.

— გიურა, ჩემიით, — თავაშვებულად გადაიხარხ-  
არეს მამაკაცებმა და მაგიდაზე გიუის მიერ დატო-  
ვებულ წერილს ირონიით დააცქერდნენ:

„მთავრობის მსგავსად, ჩვენც რომ ლაპარაკის  
ნაცვლად საქმეს ვაკეთებდეთ, საწუწუნო მიზეზები  
ნაკლები გვექნებოდა!“

პატივისცემით საქართველოს პრეზიდენტი — ი.  
გრიგალაშვილი!“

# ორი უსამართლობა

ცხრა თვე მუცელში... სამი თვე გულზე, ორი  
თვე „ჭოჭიალაში“, მერე, შეიძლება დილაობით მა-  
მამაც წაიყვანოს სახიორნოდ...

სამომავლო გეგმა შედეგინილია! მაგრამ შვილმა  
ვადაზე ადრე ისურვა დაბადება. დაიბადა, დაიბადა,  
მაგრამ თანდაყოლილი უბედობით, — გულის მანკით.  
მერე, როცა მშობლებს უქიმმა აცნობა, რომ შვილი  
ალარ ჰყავდათ, ჯერ გარშემომყოფებს შესჩიოდნენ,  
მერე როცა აღარავინ უსმენდათ, იშვიათად — ერთ-  
მანეთს, ხშირად კი გულში იყლავდნენ დარღს...

რამდენიმე ხნის შემდეგ, მეზობელი შეხვდა  
შვილგვდარ მამას...

— ბიჭო, ნატო ხომ იცი?

— ვინ ნატო?

— გივის საყვარელი რომაა...

— ჰო, მერე?

— თურმე 6 თვის ორსული ყოფილა, ვერ გაუგია,  
გუშინ მოშლია მუცელი.

— აუუ, საწყალი.

— რა საწყალი, ასე უთქვაშს, კიდევ კარგი მომ-  
შორდა.

ბიჭს უნებურად გაახსენდა, წუხელ, ცოლი ძილში  
მკვდარ შვილს რომ ახსენებდა და მეზობლის ნათქ-  
ვაში ბოლომდე ვერ დაიჯერა...

## მებადურა

ამ სახლში ერთი კაცი ცხოვრობს, თევზაობა  
უყვარს და მებადურას ეძახიან. ცოლი არ ჰყავს,  
არც — შვილები. უპატრონო არ გეგონოთ... ანკესები  
აქვს... დღეა თუ ღამე, სათითაოდ წმენდს, დამტევრ-  
ილსაც და სუფთასაც... ამაზე ბევრი ამბობს — გულს  
აყოლებსო, ზოგმაც — გულის სიღრმეში მოსწყინდა  
კიდევო. გაკვირვებით კი, ერთნაირად გაიკვირვეს,  
დანაცრულ ფურცლებსა და ტოტებს შორის იმედის  
ფერგადასული ანკესებით...

მეორე დღეს ლუკა-პურის მისაკითხად მის-  
ულმა ქალმა ამბავი გამოიტანა: ძილში გაარულა  
მებადურა...

უპატრონო იყო, უქონელი, მაგრამ მიწის ზევით  
არც ის დარჩენილა... თავის შხრივ, უბის ბავშ-  
ვებმაც პატივი მიაგეს... ანკესები ფერად-ფერადი  
ფრჩხილის ლაქით შეღებეს და იქვე, საფლავის  
ქვასთან ააყუდეს...

ერთი თვითონ მებადურა იყო, მეორე მებადურას  
ცოლი, მესამე მებადურას უფროისი შვილი... უმ-  
ცროსმა დაბადება ვერ მოასწრო...

# საშინაო დავალება

მოსწავლის „შტუკა“

ნინო მას, დღევანდელი საშინაო დავალების თემა რომ პატიება არ ყოფილიყო, ვინ იცის, რამდენი ხანი დამრჩენოდა ზინჯად ყოველივე ეს... ახლა კი, თქვენი ნებართვით, ბოლომი მინდა მოგიზადოთ, გუშინ რომ არ ვაღიარე, მე რომ ვიყავი „შატალოს“ წამომწყები და როგორც თქვენ მიწოდეთ, „უგუნური ბუნტისთავი“.

მე შევთავაზე ბავშვებს, ჩანთები ფანჯრიდან გადაგვეყარა და სკოლის უკანა ეზოდან გავპარულიყავთ. წინა დღესაც მე დავჭარე ღუმელზე „პერიცის“ მარცვლები, ის ჭიკარტებიც მე დავდე თქვენს სკამზე და დაფაზეც მე დავწერე, თქვენ ლექსიკონიდან „სასკოლო მარგალიტები“, ის უვიცი მოსწავლეც მე ვარ, თქვენ მაგივრად რომ წერს უურნალში ნიშნებს. რა ამის პასუხია და ის წერილი გუშინ რომ დედაქემთან გამატანეთ, სკოლის ბუფეტის ნაგვის ურნაში ჩაგვადე... განა, სულ იმსა არ გვასწავლით, უმცროსებმა უფროსებისგან უნდა აიღოთ მაგალითო? ჰოდა, ეს ერთხელაც მაპატიეთ და მეორედ აღარ ვიზამ, მას!

## ზეონა

9 გოგო ჰყავდა ნაილის... ამათგან ერთი, არავის უნახავს, არც სკოლაში, არც ტოლ-ამხანაგებთან სათამაშოდ, არც ტებილეულობის რიგში და არც სტადიოზე, – ბიჭების „საბალეშჩიკოდ.“..

არსად იყო მზეონა და ამიტომ არსად არავის ასხლევდა...

– აბა, სად იყო მზეონა?!

გაღმა, გამოღმა, ტყეში, – ფიჩის შესაგროვებლად,

ნახირში, – ძროხების სამწყებსავად,

ყანაში, – ბაღის გასამარგლად, პურის რიგში, ბოსტნეულის დახლთან, წარმოიდგინეთ, – სოფელში, ყველაზე საზარელ კაცთან, – ფულის სასესხებლად...

– კი, მაგრამ, რა უნდოდა იქ პატარა მზეონას?

– დედის ნაფეხურებს დაჰყვებოდა და შლიდა..

## ბიოჩიბი სხვისახის



## დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

უკვე მეღვიძა, როცა კუპეში ჩემს გასაღვიძებლად გამცილებელი შემოვიდა და მამცნო, საღვურს ვუახლოვდებითო. გარემოს თვალის შესავლებად ფარდა გადავწიე, მატარებელი ზლაზენით მიადგა ბაქანს. არე-მარე ნისლისფრად იყო მოცული. ისის იყო მალე გათენდებოდა. ბაქანზე ფეხი ჩავდგი თუ არა, ხელში გასაღებების ტრიალით ტაქსის მძლოლები შემომხვდნენ, ყველანი სარფიან ფასად მპირდებოლნენ მგ ზავრობას. წამით დავუქრდი, მერე კი მტკიცე უარით გავისტუმრე, რადგან სოფლამდე სამი კილომეტრი თუ იქნებოდა და ამ გზის ფეხით გავლა ვარჩიე. მომცრო ზომის ზურგჩანთა მხარზე მოვიგდე, სიგარეტს მოვუკიდე და შარაგზას დავადექი...

ათასი ფიქრი ამეცვიატა. თვალით ნანახმა და მონატრებულმა ადგილ-გარემომ ჩემში ერთი იმდენი ფიქრი და მოგონებები გააღვივა.

აგერ, მიქაძეების ეზოს რომ მივუახლოვდი, ახლად მოხნული მიწის სუნი ვიგრძენი, სწორედ ისეთი იყო, ხშირად ქალაქის მტკერსა და ხმაურში რომ მენატრებოდა და სიზმარშიც რომ ვერძნობდი ხოლმე.

მაშინვე ბავშვობა გამახსენდა: მამა წინ მიუძღვებოდა გუთანში ოფლით გაღვიოქულ ცხენს, მე კიდევ, დაგვალეულ მიწაზე სიმწრით მოკიდებულ გუთანს სიხარულით და მონდომებით მოგვიდებოდი, მკლავებში ძალაგამოლეული ძლივსლა ვიმორჩილებდი. მამა შემომხედავდა და მეტყოდა:

– შვილო, მოდი გუთანს მე მოვეკიდები, შენ ცხენს გაუძეხიო, მაგრამ მაშინვე ავყვირდებოდი, – ზემონად გადავიქცეოდი, ერთი-ორი კვალი მეც

მომახნევინე-მეთქი და სანამ გუთანზე მოკიდება შემძლო, წვალებით მივუყვებოდი ხნულებს. ბოლოს, ძალაგამოცლილი თავს ვანებებდი, რაზეც მამას ეღიმებოდა.

— ეპ, ეს ახლა, შვილო!.. თორემ, რომ გაიზრდები, მერე აღარ მოგინდებაო, — ამბობდა.

მიკვირდა, ამას რომ მეუბნებოდა. ვფიქრობდი, განა ამაზე უკეთესი და სასიამოვნო რა უნდა მომინდეს-მეთქი. ასეთ საუბარს დედაც ხშირად უერთდებოდა და დანანებით იტყოდა:

— რად უნდა, შენი ჭირიმე. ჩენ რომ მიწას ვექა-ჩებით, შიგ სისხლსა და ოფლს ვლვრით, დაკოურილ ზელებში ჩარჩენილი მიწის მტკერში რომ ლამის ბალახი ამოვიდეს, ვინ გვიფასებს, ან რა ხეირი გვაქს, ისწავლოს და აქაურობას გაეცალოს.

მოკლედ, ასე მოხდა თუ ისე, დღემდე რომ ვერ გამიგია, ნახევრად ნაკარნახევ ბედისწერას ვერ გავექეცი, თუ მე თვითონ მივირბინე მასთან, რაღაც ახლის მოლოდინით. დავტოვე სოფელი, პაპისეული მიწა, წინაპართა საძალე, ჩემგან გასაკვალი ხნული, გასამარგლი ყანა და რაღაც სხვა ვთომ და უკეთესის ძიებაში გადავიხვეწე. მაგრამ ღმერთს ყველაფერი კარგად აქვს დაკანონებული. მშობლიური მიწა-წყლის მონატრებასა და სინანულს ვერსად გაექცევა კაცი. მეც, სხვების მსგავსად, ამ მონატრებას სულ დავატარებ, მძიმე ზურგზე აკიდებული ზოდივით, რომელიც თითქოს მინდა, რომ ჩამოვიხსნა და თან ვერც ველევი და მომწონს კიდეც მისი სინანულით ტარება.

სიგარეტი ისე ჩაიწვა, რომ ფიქრში გართულმა მხოლოდ რამდენიმე ნაფაზის დარტყმა მოვასწარი, შემდეგ უკვე დაფერფლილი გადავაგდე კოლოფიდან, ახალი დერი ამოვიდე და ხელმეორედ გავუკიდე.

თერდებოდა... მზე ძალას იკრეფდა, შორს და-თოვლილი მთები მოჩანდა. ბავშვობისდროინდელი

ფიქრები გამახსენდა, როცა მეგონა, რომ ამ დიდ და ვეებერთელა მთებში ვაჟა-ფშაველას გმირები ცხოვრობდნენ და ჩემთვის ჩამეცინა.

ცოტა კიდევ გავიარე, წყაროს მივუახლოვდი, წყალი დავლიე და ამდენი ხნის მერე თითქოს აქ შევიგრძენი წყლის გემო და წყურვილიც მოვიკალი.

გზა განვაგრძე, ყოველი არე და მიდამო რაღაც ტკბილ-მწარე მოგონებას აღმიძრავდა... გული აღტაცებული ბავშვივით მიცემდა მკერდქეშ. აი, სახლთან შესახვევი შუკაც გამოჩნდა. სიარულს ვუმატე, კიდევ რამდენიმე ასეული ნაბიჯის შემდეგ ჩემი ოდა, ჩემი ყველაზე ძვირფასი და, ამავდროულად, ყველაზე ღარიბულ ზეებში ჩაფლული სახლი გამოჩნდა, რომელსაც კვამლის ნისლები ერტყა, — როგორც ყოველთვის, სისხამ დილისთვის დამახასიათებლად. გული სითბოთი ამესო და კიდევ უფრო მეტად ამიბრავუნდა დოლაბივით.

ამ ბოლო დროს რაღაც ბავშვური შიში დამჩემდა. მახსოვს, მსგავსი რამ ბავშვობაშიც რომ მაწუხებდა. ღამე მეღვიძებოდა და მძინარე მშობლების გულისფანცქალით მიყურადებას ვიწყებდი, საშინად მეშინოდა, ვფიქრობდი, ვაი და, იქნებ აღარ სუნთქავნ-მეთქი... ის წამები კი საუკუნეებივით იწელებოდა, სანამ მათი სუნთქვის ხმა ჩემს დაბინდულ გონებამდე მოაღწევდა. ახლა კი, ამ ბოლოს, რამდენიმე ჩამოსვლისას, ჩემს სახლს დაგინახავ თუ არა, პირველი საკვამურისკენ ვიხედები. ვიცი, რომ კვამლი უნდა დამსვდეს, სხვაგვარად არ შეიძლება!.. კვამლი ფეთქვაა გულის, კვამლი სუნთქვაა, კვამლი ძალაა მამის დაკოურილი მქლავებისა და დედის ჩაუხრელი მუხლის, რადგან დედა არასდროს აციებს კერიას და, ყოველ დილით, სანთელთან ერთად მასაც ანთებს.

ღმერთო, ნუ მომიშლი ჩემი სახლის საკვამურიდან ამოსული კვამლის დანახვით განცდილ სიხარულს.

თბილისი

ალ. პუშკინი

შენ და ოქვენ

აღარ მომმართა მან მე თქვენობით,  
აღმოხდა სიტყვა „შენ გულის სიღრმეს  
და ყველა ნატერამ, რასაც ველტვოდი,  
სულმი გაიდგა ფესვები მყისვე.“

მის წინაშე ვარ, მზერით ვეკლები,  
მსგავსი მშვენება არსად მინახავს,  
ხმით ვეფერები: „რა ფაქიზი ხართ!“  
გონი მკარნახობს: „რარიგ მიყვარხარ!“

Пушкин А.С.

Ты и Вы

Пустое „вы“ сердечным „ты“  
Она, обмоляясь, заменила,  
И все счастливые мечты  
В душе влюбленной возбудила.

Пред ней задумчиво стою;  
Свести очей с нее нет силы;  
И говорю ей: „как вы милы!“  
И мыслю: „как тебя люблю!“

სერგეი ესენინი

\* \* \*

შეხვედრამდე, მეგობარო, ჩემო,  
შენი ხმა ხომ გულში ჩემსას ერთვის,  
გარდუვალი განშორება გვერგო,  
თუმც გვპირდება კვლავაც შეყრას მერმისს.

ხელს არ გართმევ, გთხოვები უხმოდ,  
ნუ ისერავ შუბლს ნაღველის სენით, --  
სიკვდილი ხომ ჩვენთვის არ არს უცხო  
და სიახლეც, ამ სიცოცხლის ძღვენი.

Сергей Есенин

\* \* \*

До свиданья, друг мой, до свиданья.  
Милый мой, ты у меня в груди.  
Предназначенное расставанье  
Обещает встречу впереди.

До свиданья, друг мой, без руки, без слова,  
Не грусти и не печаль бровей, —  
В этой жизни умирать не ново,  
Но и жить, конечно, не новей.

მაბი მოსოები



მარინა ცვეტაევა

მე ვცან სიმართლე!

მე ვცან სიმართლე!  
სხვა სიმართლეთ არაფრად ვაგდებ!  
ერთურთთან ბრძოლით  
რად ამბიმებთ დედასამყაროს?  
რა ფიქრით ხვდებით  
ამ დაისზე თქვენ ღამეს, ღამდეგს,  
რას იქმო, მიჯნურნო,  
პოეტებო, მხედართმთავარნო?

ქარი მარცხდება, ინამება მიწის სამოსი,  
ზეცაზე მალე ვარსკვლავთ ქოროც  
იწვნევს სუფევას,  
ჩვენც მივიძინებთ სამუდამოდ,  
უკან არმოსკლით,  
ვინც კი ერთმანეთს არ მივეცით  
დილის უფლება.

Марина Цветаева

„Я знаю правду!  
Все прежние правды — прочь!“

Я знаю правду!

Все прежние правды — прочь!  
Не надо людям с людьми на земле бороться.  
Смотрите: вечер, смотрите: уж скоро ночь.  
О чем — поэты, любовники, полководцы?  
Уж ветер стелется, уже земля в росе,  
Уж скоро звездная в небе застынет выюга,  
И под землею скоро уснем мы все,  
Кто на земле не давали уснуть друг другу.

\* \* \*

მავანი რასაც მოისვრის, ნაგავს,  
მე მომიტანეთ, ჩემს კოცონს მივცე!  
ჩემს სიცოცხლეს და სიკვდილსაც, რადგან  
ვაცლუნებ, მისთვის საჩუქრად იქცეს.

ალი ხომ ყოველს, იზიდავს, მსუბუქს,  
გამხმარ ყვავილებს, ბალახს და - სიტყვებს,  
ამგვარი კვებით მას ვნება უხურს,  
წმინდა ფერფლიდან აღსდგებით მყისვე!

მამღერებს მხოლოდ ცეცხლი, ვით ფენიქსს,  
გამიდიადეთ სიცოცხლე ჩემი!  
იმდენად მაღლა ვიწვი და ვქრები,  
დაე, განათდეს უკუნი, თქვენი!

ხანძართ ტალღები, ყინულის ლავა,  
ჩემი სიმაღლით მე დავშანთულვარ.  
ლირსება, ჩემი, მატარებს მაღლა -  
თანაზიარო შთამომავლობავ.

\* \* \*

ჩემს უზარმაზარ ქალაქში დამით  
სახლს ვტოვებ, მძინარს, მივდივარ მაღვით,  
ცოლია, შვილია... რომ ფიქრობს ხალხი,  
მე მარტო მახსოვს არსობა დამის.

ზურგის ქარს მაწვდის ივლისის ქარი,  
და ოდნავ ისმის სარკმლიდან ჰანგი,  
დილამდე ირბენს, ო, ქარი, მძლავრი,  
მკერდს მკერდი ეკვრის კედლების გაღმით.

შავი ალვაა და შუქი ფანჯრის,  
სამრეკლო რეკას, ხელი გრძნობს ყვავილს,  
ეს ნაბიჯი კი არ მისდევს არვის,  
ეს მე კი არ ვარ, აქ ჩრდილი დადის.

ოქროს მძივია, ჩირალდის, ნათლის,  
პირს დამის ფოთლის სურნელი ასდის,  
საზრუნავისგან მომწყვიტეთ, რაც გვლის,  
გაიგეთ, გსტუმრობთ — სიზმრებზე გავლით.

\* \* \*

Что другим не нужно — несите мне:  
Всё должно сгореть на моём огне!  
Я и жизнь маню, я и смерть маню  
В лёгкий дар моему огню.

Пламень любит лёгкие вещества:  
Прошлогодний хворост — венки — слова...  
Пламень пишет с подобной пищи!  
Вы ж восстанете — пепла чище!

Птица-Феникс я, только в огне пою!  
Поддержите высокую жизнь мою!  
Высоко горю и горю до тла,  
И да будет вам ночь светла.

Ледяной костёр, огневой фонтан!  
Высоко несу свой высокий стан,  
Высоко несу свой высокий сан —  
Собеседницы и Наследницы.

\* \* \*

В огромном городе моем - ночь.  
Из дома сонного иду - прочь  
И люди думают: жена, дочь,-  
А я запомнила одно: ночь.

Июльский ветер мне метет - путь,  
И где-то музыка в окне - чуть.  
Ах, нынче ветру до зари - дуть  
Сквозь стенки тонкие груди - в грудь.

Есть черный тополь, и в окне - свет,  
И звон на башне, и в руке - цвет,  
И шаг вот этот - никому - вслед,  
И тень вот эта, а меня - нет.

Огни - как нити золотых бус,  
Ночного листика во рту - вкус.  
Освободите от дневных уз,  
Друзья, поймите, что я вам - снюсь.

## ბელა ახმადულინა

\* \* \*

შემოდგომას ვგრძნობთ საათის ხმაში,  
დროის სრბოლაში მით უფრო მძაფრად,  
მიწას ეცემა იძღნჯერ ვაშლი,  
რამდენიც წითლად ამშვენებს ბაღნარს.

და ამ მკაფიო ჰანგზე, ვინ იტყვის,  
რომ არ ჩერდება უამი სრულიად,  
გმირულად იხდენს წარმავლობის ტვირთს,  
თუმც ბაღი, თითქოს, გარინდულია.

სიკეთით გვამცნობს ბუნების ძალა,  
ვით სიყვარულის მწე – საწყაული,  
რომ შენ თავად ხარ, მოწმე კი არა,  
მიზეზი მისი დღესასწაულის.

## ანა ახმატოვა (გორენკო)

\* \* \*

ყოფილა წოლმე: მოვყევ დუმილით,  
რაც უმღერია სიზმარს,  
ერთი გვაქვს ვარდსაც და რომ უღიმის,  
ხვედრი, მეც და იმ სხივსაც...  
მოცოცავს ოვლი მთებით, დამრეცით,  
მე კი ვარ თოვლზე თეთრი,  
თუმც მდინარენი ტკბილად მსიზმრობენ  
მღვრიე ქაფების ფრთხით.  
ფიქრზე მშვიდია უფრო ნაძვნარი,  
როცა განთიადს ხვდები...

განაჩენი

და დამეცა, როგორც ლოდი, სიტყვა,  
ჯერაც ცოცხალ, მგრძნობიარე გულზე,  
თუმც ამისთვის მზად ყოველთვის ვიყავ  
და როგორმე დავძლევ კიდეც უძლევს.

დღეს საქმეებს, დაგროვებულს, ვიწყებ:  
მე ბოლომდე ხსოვნა უნდა ჩავკლა,  
სული უნდა გავყინო და იქნებ,  
ვცადო ისევ ამ ცხოვრების სწავლა.

სარკმელთან კი შარიშური, ცხელი,  
ვით ზეიმი, ზაფხულის ფერს ახლავს,  
დიდი ხნიდან წინასწარვე ვჭვრეტდი  
ამ ნათელ დღეს და ცარიელ სახლსაც...

რუსულიდან თარგმნა მეგი მოლოდინმა

## Белла Ахмадулина

\* \* \*

Бывают часы, возвестившие осень:  
тяжелее, чем в прошлом году,  
ударяется яблоко о землю -  
столько раз, сколько яблок в саду.

Этой музыкой, внятной и важной,  
кто твердит, что часы не стоят?  
Совершает поступок отважный,  
но как будто бездействует сад.

Все заметней в природе печальной  
выраженье любви и родства,  
словно ты - не свидетель случайный,  
а виновник ее торжества.

## Анна Ахматова (Горенко)

\* \* \*

Бывало, я с утра молчу  
О том, что сон мне пел.  
Румянной розе и лучу  
И мне - один удел,  
С покатых гор ползут снега,  
А я белей, чем снег,  
Но сладко снятся берега  
Разливных мутных рек.  
Еловой рощи свежий шум  
Покойнее рассветных дум.

Приговор

И упало каменное слово  
На мою еще живую грудь.  
Ничего, ведь я была готова,  
Справлюсь с этим как-нибудь.

У меня сегодня много дела:  
Надо память до конца убить,  
Надо, чтоб душа окаменела,  
Надо снова научиться жить.

А не то... Горячий шелест лета,  
Словно праздник за моим окном.  
Я давно предчувствовала этот  
Светлый день и опустелый дом

ქართული

## როგორ დახატა ეკატერინე ტუხაშვილმა „ვედრება“ და იასამნის სურნელი გამოფენაზე



უყვარს თეთრი ფერი და გაზაფხულის ფერები. პირველ გამოფენასაც „გაზაფხული“ უწოდა. პორტრეტების და პეიზაჟების ხატვა განსაკუთრებით უყვარს... თეთრი, იასამნისფერი, ღურჯი, მწვანე ფერთა ორიგინალურ პარმონიას ქმნის და გაზაფხულის განწყობას უქმნის ადამიანს...

ამბობს, რომ, კლიმტის მსგავსად, ოქროსფერის გამოყენება უყვარს. მომავალში გიორგი ღურნიძის „ნატვრის ხის“ პერსონაჟებზე მუშაობას გააგრძელებს და სიღნაღის პეიზაჟების შექმნასაც აპირებს – ეკატერინე ტუხაშვილის პერსონა.

– მშობლები: ნაირა ტუხაშვილი – პედაგოგია, მამა – ოურისტი იყო.

– 6 წლის ასაკში ჩავაბარე სამხატვრო ათწლებში. რატომდაც ბავშვობაში საკუთარ ფეხებზე მიყვარდა ხატვა. დედა მიშლიდა, მაგრამ ჩუმად, რომ არ დაენახა, კაბის ქვეშ შიშველ ფეხებზე მაინც მიყვარდა ყვავილების, პეტლების, მზის, ცისარტყელის დახატვა...

– და მაშინ გადაწყვიტეთ, რომ მხატვარი გამოსულიყოვთ?

– არა, უფრო მაშინ, სკოლაში რომ შემიყვანეს. სამხატვრო სკოლაში, გამოცდაზე, თავისუფალი თემა მოგვცეს – დავხატე ზღვა და მზის ჩასვლა ზღვაში. ნახატს რომ ვამთავრებდი, საღებავი შემთხვევით გამიგარდა ხელიდან და სურათს დაუშეცვა. დავლონდი, მაგრამ ვამოსავალი უცებ მოვიფიქრე.

ეს თეთრი საღებავი დაშეხევებული იყო ზღვის პეიზაჟზე, ამ შეხევებში ჩავსვი ბავშვი. შთაბეჭდილებას რჩებოდა, თითქოს ბავშვი ზღვაში ჩახტა და ორგვლივ წყლის შხეფები გაჩნდა.

ამ ნახატში მივიღე უმაღლესი შეფასება. მიყვარდა ბალერინების ხატვაც.

– სამხატვრო აკადემიაში წარჩინებით სწავლობდით...

– აკადემიაში ტანსაცმლის დიზაინის განხრით კწავლობდი. წითელ დიპლომზე და ოქროს მედალზე დაგამთავრე, შემდეგ ასპირანტურაც დავასრულე.

– ახლახან პირველი პერსონალური გამოფენა გქონდათ, საღაც ყვავილები, პეიზაჟები და მეგობრების პორტრეტები ჭარბობს...

– მიყვარს მთა, ბუნება, პორტრეტების ხატვა.

– ფერები...

– ჩემი საყვარელი ფერებია თეთრი, იასამნის-ფერი, ღურჯი, მწვანე, ბუნებრივი ფერები... განსაკუთრებით თეთრი ფერი მიყვარს...

– როგორ დახატა „ვედრება“?

– როდესაც „ვედრებას“ ვხატავდი, იმ პერიოდში სულიერად მიჰირდა, სიცარიელეს ვგრძნობდი. ასე დაიბადა ეს თემა – გოგონა, რომელიც უფალ ეველება და მას ანგელოზები ამშვიდებენ...

– სანტერესოა „ნატვრის ხის“ ციკლი, თავად ნახატები: „ნატვრის ხე“ და „ფუფალა“ ხომ არ აპირებთ ამ ციკლის გაგრძელებას?

– შესაძლოა, ეს ციკლი – „ნატვრის ხე“ გავაგრძელო...

– სახასიათო ნიუანსებით გამოირჩევა „ავტოპორტრეტი“. თქვენი ხასიათის რომელი თვისებისთვის გინდოლათ ხაზის გასმა?

– ჩემი „ავტოპორტრეტი“ მორიდებულობას უსვამს ხაზს. ბუნებით მორცხვი ვარ. ამიტომაც თვალები მაქვს დახრილო...

– ოჯახი...

– მყავს ვაჟი – 17 წლის ნიკოლოზ სამადალაშვილი, ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში სწავლობს. ადრე ხატავდა, მაგრამ მერე აღარ გააგრძელა. უფრო ტექნიკური საგნები უყვარს.

– რომელ მხატვართან გრძნობთ სულიერ სიახლოეს?

– ჩემი საყვარელი მხატვარია გუსტავ კლიმტი. კლიმტის მსგავსად ოქროს ფერის გამოყენება მიყვარს. ჩემს სულთან ახლოს არის მისი სუფთა, ბუნებრივი ფერები...

- ჰობი...
- სპორტი. ძალიან მიყვარს ვარჯიში...
- ყვავილები გიყვართ... გამოფენილ იასამნებს ისეთი სურნელი აქვს, ნამდვილს პგავს...
- მინდვრის ყვავილები, განსაკუთრებით იასამანი მიყვარს.
- შშობლები სიღნაღის რაიონიდან არიან...
- სიღნაღის პეიზაჟები ხომ არ დაგიხატავთ?
- მას შემდეგ, რაც მამა ავტოვარიაში დაიღუპა,


იშვიათად ჩავდივართ სიღნაღში... ძალიან მიწვობდა ხელს, სახელოსნო მომიწვო... უძვირფასესი მამა მყავდა. სიღნაღის პეიზაჟები გეგმაში მაქვს.

#### — მეორე გამოფენაზე უკვე ფიქრობთ?

— შემოდგომაზე მეორე გამოფენას ვგეგმავ... ამჟამად ვემზადები ამ გამოფენისთვის, მყავს აბიტურიენტები და მოსწავლეები, მაქვს ჩემი სახელოსნო..

**ესაუბრა თამარ შაიშმელაშვილი.**

## თბლიუპანი



### შანთი მაჩიტჩინი

ქედს ვუხრი საიათნოვას

ღამდამობით დავეხეტები, სადა ხარ, ჩემო საყვარელო, თვალები მეწვის, ბინდში ვიძირები უნაპიროდ... შენ შემოსულხარ ცხელ ღამეში, მე ვცნობ ამ სურნელს, სურნელს ბინდბუნდისას... და მშვენიერ ბურუსში, სანაპიროებთან, შენი სინათლე მიირწევა...

რამდენი წელია, მდუმარი და მიტოვებული საპყრობილე ვარ... ვინ არ დაბრუნდა, ვერ დაითვლი, ეჭვიანობის ცეცხლი და ალიც... ჩემმა მტრებმა აქ მომაგნეს, დავნებდი, რომ წასულიყვნენ! და ახლა შენ რომ გნახონ აქ, იტყვიან, შანთის სატრფოაო...

მოწყენილი ვარ, რომ იცოდე, სევდის ხმით ვუბნობ, მაწვიმს, თავსხმაა, ნათელი მაწვიმს!

დაგხეტიალობ, დონ ჯონის სტრიქონს ვუხმობ მეგზურად, ზარები კი რეკენ!

აჲ, არ ვიცი, ვის სიყვარულს იგლოვენ... მთელი თბილისი ზეიმობს შენი სახით ვარდების დღესასწაულს, საიათნოვა...

შრიალებს ნიავი ვარდების...

ქალაქი — ერთ გულად ქცეული და ღვინის ზღვა...

ვის გულშიაც სიყვარულის სიკვდილია, იღვიძებს მარადი ძილიდან... ადამიანები ქვეყნის ფანჯრებია თითქოს... ასაკი არა აქვთ, არა... გულზე სიმღერა მეფონება, რომ ჩემი ტანჯვა განკურნოს...

ვისაც ვუმზერ, მხნედ იღიმება, და ფეხი უდგას დარდის წახნაგზე... გეგონება ფრინველი ვარ, ვინმე მზეთუნახავი მომხიბვლელი, გეგონება შევარდენის ნახტომი ვარ, ვინც ღამეები გამოიარა, გამოვლო სულისა და სისხლის გამო... მისი ბაგებიდან მოწყვეტილი სიყვარულის შადრევანი ზენიტს უნდა მისწვდეს...

**თარგმნეს: მაყვალა გეურჯივა-საკიანმა და თამარ შაიშმელაშვილმა**

## ԵՐԵՎԱՆԻ ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ



ნომინუობის

მშიშარა არასდროს ცყოფილგარ. სხვა გოგონები-  
კით სიბნელის და ღამის არასდროს მშინებია. არც  
ძაღლების შემშინებია როდესმე. ბიჭებთანაც თამამად  
დაგსეირნობდი, ვიცოდი, უბატონოდ ხმას ვერავინ  
გამცემდა. ვინმე რამეს მაწყენინებდა და საკადრის  
პასუხსაც მიიღებდა...

მოკლედ, ისე გავიზარდე, შიში არაფრის მქონდა. ჩემს მშობლებს უხაროდათ, მამაცი გოგო გვეზრდებაო. მეამაყებოდა, ასეთი რომ ვიყავი და გადიდებულებული ვტრაპახობდი კიდეც.

ერთხელ მეგობრებმა გამოცდა მომიწყეს, მოიფიქრეს ყველაზე საშიში რამ, რასაც, მათი აზრით, ვერ გავაკეთებდი. არ არის ძნელი მისახვედრი, 12 წლის ბავშვისთვის რა იქნებოდა ყველაზე ძნელად გადასალაპი შიში. ღამით სასაფლაოზე უნდა წავსულიყავი და იქიდან რამე წამომეღო. სანამ შებინდდებოდა, ხუთი ბავშვი ერთად შევედიოთ სასაფლაოზე და ერთ-ერთი მიცვალებულის სურათთან დავდეთ ოჯახინა, რომელიც ღამით მისულს უნდა წამომეღო.

გამოვედით სასაფლაოდან და დაღამებას დავ-  
ელოდეთ. კარგად რომ ჩამობნელდა, ჩემი მეგობრები  
ახლოსაც არ მისულან სასაფლაოს ჭიშკართან. გზის  
მოპირდაპირე მხარეს, ლამპიონის ქვეშ დაღვნენ და  
გამომეტვილობნენ დიდი ამბით, თითქოს უკანასკნე-  
ლად მხედავდნენ. ამ ასაკში ასეთი საშიში გას-  
ართობები ხშირია. მოგვიანებით რომ ვიზენებდით  
იმ ღამის ამბებს, თავადაც არ მოგვწონდა ჩვენი  
საქართველო...

მოკლედ, მე სასაფლაოზე შევედი, მოვძებნე ის საფლავი, საღაც თოჯორნა დავმალეთ და ასაღებად დაგიხსარე. ამ დროს, რაღაც ჩურჩულითით გაიგიანო. ამ

გაეჩერდი და მივაყურადე. აღარ განმეორებულა. ჩავთვალე, ქარის შრიალი იყო და წამოვედი. გზად, რომ მოვდიოდი, რაღაცას ფეხი წამოვკარი და დავეცი. ის იყო ჩემში შიში გაღვიძებას აპირებდა, თითქოს სადღაც შიგნიდან ამოძრომას ლამობდა. ალბათ შიში იყო ის დაკლაკნილი „რაღაც“, ნატ-კენი მუხლიდან წვასთან ერთად რომ მოღილა გულისკენ. სრული სიბძეელე იყო და ხელის ფა-თურით დავიწყე დავარდნილი თოჯინის ძებნა. მოძრაობამ, შემოპარული შიშის გრძნობასავით მცოცავი სიცივისა და წვის შეგრძება გამიყეჩა. თოჯინა რომ ვიპოვე, სწრაფად წამოვარდი ფეხზე და სირბილით მივირბინე ლამპიონის შუქით გა-ნათებული ჭიშკრისკენ. ჩემი მეგობრები შიშისგან დაზაფრულები დამხვდენენ. დედაჩემთან გაქცევას აპირებდნენ, ტირილს ძლივს იკავებდნენ. მე კი ისე გავდიდგულდი, ერთი ციდა ბავშვი ლამის ორი მე-ტრი გავზღი სიმაღლეში. ქედმაღლურად გადავხედე ბიჭებს. ისეთი მაგარი გოგო ვიყავი, სიტყვებიც რომ არ იყო საჭირო.

მას შემდეგ ალარავის უცდია ჩემი გამოცდა, ან ჩემი რაიმე შიშის ძებნა. იმასაც ამბობდნენ, რომ გული არ მქონდა, არც ნერვები მქონდა. მე ის გოგო ვიყავი, რომელსაც არაფრის ეშინოდა და ასეთად გავიზარდე კიდეც.

სკოლა რომ დავამთავრე, ტელეფონი მიყიდეს. მაშინ ყველაზე „მაგარი“ ტელეფონი იყო „მო-ტოროლა V3“. სკოლა ხუთებზე დავანთავრე და ნამდვილად ვიმსახურებდი ასეთ ტელეფონს. შავი იყო და ისე მომწონდა. ჭეუას ვკარგავდი მასზე. მაშინ „ოდნოკლასნიკი“ იყო მადაში და მეც ჩემს ტელეფონში შემძლო გამეხსნა ჩემი პროფაილი. ფოტოებსაც ვიღებდი, მუსიკასაც ვუსმენდი. მასში ყველაფერი ეტეოდა, რაც მინდოდა. 4 წელი მქონდა ეგ ტელეფონი, ისეთი მოვლილი და შენახული იყო, ახალი გეგონებით. მერე დრო რომ გავიდა, მოძევლდა, ახალი მიღწევების მქონე ტელეფონები გამოვიდა და იძულებული გავხდი, მეც სიახლისთვის ამერწყო ფეხი. ვიყიდე მესამე თაობის ტელეფონი და მას შეძლებ დამერწყო ტელეფონომანია. ეს ჩემი გამოგონილი სიტყვაა. მე ვეძახი ჩემს მანიაკალურ, ტელეფონების ცვლის და ყიდვა-გაყიდვის ჩვევას. საქმარისი იყო, რამე ახალი გამოსულიყო, რომ მაშინვე ძველს ვყიდდი და ახალს ვყიდულობდი. ფულიც რომ არ მქონდა, ვისესხებდი და ისე ვიყიდდი. საბოლოოდ, „აიფონის“ ბოლო მოდელზე შეგჩერდი და სრულად მოვერგე.

თუ რამე მქონდა, ყველაფერი ამ ტელეფონში იყო  
და თუ რამდეს ვაკონტაბდი, აჯღლაფერს ჭილაფონით

ვაკეთებდი. ის იყო ჩემი კავშირი გარესამყაროსთან. თითქოს ჩემი ერთი ნახევარი იყო. სულ ერთად ვიყავით, სულ თან დამქონდა და სულ ვაკონტროლებდი, არაფერი მოსვლოდა. მარტოს მაშინაც არ ვტოვებდი, როცა დასატენად ვაერთებდი. მივდიოდი და დავხედავდი, ხომ არავერი იყო ისეთი, რომ გამომპარვოდა. ჩემი ყოველდღიურობის, აწმყოს, წარსულის და მომავლის ამსახველი ნივთი იყო. ყველა მოვრნება მასთან იყო კავშირში და მასში იყო. ხანდახან მეგონა, ჩემი ენა იყო, უძისოდ დამუჯრებული ვიქნებოდი და ხალხს ხმას ვერ მივაწვდენდი. ხშირად ერთ ოთახში მყოფ ჩემს დას ტელეფონზე მიმოწერით ვესახუბრებოდი.

ჩემი სამსახურიც მასში იყო. ყველა კომპიუტერული პროგრამა იქ ქმნდა და თუ რამეს ვაკეთებდი, ყველაფერს ტელეფონში ვაკეთებდი და მერე ვადამქონდა კომპიუტერში.

სოციალური ქსელები, ფოსტა, სხვადასხვა საიტი, მუდმივ კონტროლს საჭიროებდა, მუდამ „ხაზზე“ უნდა ვყოფილიყავი, რომ არაფერი გამომპარვოდა. მეორეს მხრივ, ჩემი ამბების გაზიარება და სხვადასხვა ტერიტორიაზე „დაჩქენება“ რომ არ დამეგვიანა. მოკლედ, ყველანაირად ჩართული და აქტიური ვიყავი.

უამრავი ფოტო და ვიდეომაღასა ინახებოდა ჩემი ტელეფონის მეხსიერებაში. გარდა ამისა, სხვა სახის ინფორმაცია, საკონტაქტო მონაცემები თუ „ხარა-ხურა“ მასალები, ყველაფერი მასში იყო. ის ჩემი გონების ნახევარს წარმოადგენდა. რაც საჭირო იყო, ყველაფერს მასსენებდა, ჩემი ტვინის მაგივრადაც კი მუშაობდა. ასე რომ, ყველაზე ძვირფასი რაც გამაჩნდა, ეს ტელეფონი იყო. არა მიტომ, რომ ფასი ჰქონდა დღიდი, არა! მნიშველობა ჰქონდა უდიდესი...

ბებიაჩემი განიცდიდა, სულ ტელეფონი გიკავია ხელში. მე კი სანაცვლოდ ვეუბნებოდი, რომ თავად იყო უაზროდ წინააღმდეგი ტელეფონის. გაგონებაც კი არ უნდოდა მობილური ტელეფონის არსებობის და ლამის ისევ დეპეშებს აგზავნიდა როცა ვინმესთან დაკავშირება უნდოდა. თუმცა, მართალი იყო ბებია, ტელეფონი სულ ხელში მეკავა. საპირფარეშოში და სააბაზანოშიც კი შემქონდა. ძილის წინ კი აუცილებლად გადავალებდი თვალს ყველა სოციალურ თუ საკონტაქტო სფეროს და მხოლოდ ამის შემდეგ ვიძინებდი. ტელეფონს კი თავთან ვიდებდი და დამტენზე ვაერთებდი.

ასე ვიყავი წლები.

სიყვარულიც კი ტელეფონით ვიპოვე. ქორწილიც დავგეგმე. გავთხოვდი კიდეც. ორსულობაც ტელეფონით ხელში და სოციალურ ქსელში გავატარე. ახლა რომ ვაკირდები, ჩემი ცხოვრება რეალითი შოუს ჰგავდა. ყველა ცხოვრებისეულ მოვლენას საჯაროდ ვაზიარებდი. სამშობიაროდანაც კი ლამის

პირდაპირი ჩართვა მქონდა. პატარასაც ტელეფონით ხელში ვზრდიდი, ძუძუს რომ ვაწოვებდი, თან ფეის-ბუქს „გიქროლავდი“ და შვილის ფოტოებს საჯარო პოსტებად ვდებდი.

რას ვმუშაობდი, სად ვისვენებდი, რას ვჭამდი, თუ ვსვამდი, სად ვიყავი, საიდან სად მივემგზავრებოდი, რას ვყიდულობდი, ყველაფერს ფოტოებს ვუღებდი და სოციალურ ქსელებში ვათავსებდი. ნელ-ნელა განუყოფელი გახდით მე და ტელეფონი, სოციალური ქსელი კი ჩემი ცხოვრება გახდა. გაფიქრებაც კი არ მინდოდა, რა ვიქნებოდი, უტელეფონოდ და თუნდაც უფეისბუქოდ, სხვებზე რომ არაფერი ვთქვა.

ერთ დღეს, სახლში უცაბედად დაიკარგა ჩემი ტელეფონი. არ ყოფილა შემთხვევა, სადმე დამრჩენოდა, ან ბავშვისთვის მისაწვდომ ადგილზე დამედო... მაგრამ, ასე, თვალსა და ხელს შუა გაქრა ჩემი ტელეფონი. ყველა სახლში ვიყავით და დამნახავი არავინ იყო. სასწრავოდ დავრეკე ჩემი ქრის ტელეფონიდან, გამორთულიაო ავტომოპასუხებ მიპასუხა. თუ არ გავგიუდებოდი, არ მეგონა. ოფლმა დამასხა, წარმოვიდგინე, რამდენი რამე დავკარგე იმ ტელეფონთან ერთად და ლამის ჭკუიდან შევიშალე. ჯერ ბებიას მივვარდი, დამიბრუნე ტელეფონი-მეთქი ვეჩწუბე. იფიცა, მე არ ამიღიაო. მერე ბაგშვთან მივედი, დაგუშვავე.

— დედიკო, მომეცი ტელეფონი და კამფეტს გიყიდი.

— არ მაქვს.

— სიხარულო დამიბრუნე ტელეფონი და სათამოშოს გიყიდი.

— მე არ ამიღია.

— დედას სიცოცხლეო, მითხარი, სად დადე ჩემი ტელეფონი და ორ სათამაშოს გიყიდი.

— არ ვიცი, სადაა. — მითხრა ბავშვმა. მე თანდათან მდგომარეობიდან გამოვდიოდი და სმას ვუწევდი. ბოლოს ყვირილი დაგიწყე. სადაა ჩემი ტელეფონი-მეთქი.

ყველგან მისი ძებნა დავიწყ. გავჩხრიკე მთელი სახლი და ტელეფონი ვერსად ვიპოვე. დავდიოდი ოთახიდან-ოთახში და დავეძებდი გამწარებული, თან ჩემთვის ვლაპარაკობდი, ხან ყვიროდი და ოჯახის წევრებს ვლანძლავდი. სცადეს ჩემი დამშვიდება, მაგრამ რომ არ გამოუვიდათ, იღვნენ და მიყურებდნენ. მე კი უფრო და უფრო ვეიდებოდი. თავში ხელებს ვიშნები და თმას ვიწიწენიდი განერვაულებული. მერე მკლავების ქავილი დამტენი და გაუთავებლად ვიქექებოდი. იმდენი ვიუხანე, ნაკაწრები გამიჩნდა და სისხლი წამომივიდა. თან დავდიოდი ოთახიდან — ოთახში და ვყვიროდი. თვალებს შეშინებული ვაცეცებდი და ყველგან ჩემს ტელეფონს დავეძებდი. ოჯახის წევრები მიხვდნენ, რომ ჭკუიდან ვიშლებოდი. დედაჩემმა დამამშვიდებელი

დამალევინა. ქმარი კი მომეხვია, ხელები დამიკავა, რომ არ მომექავა კისერი და მოფერება დამიწყო. მაშვიდებდა: მე კიდევ გამუდმებით ვიმეორებდი:

— ახლა რომ ვინმე ცუდად გახდეს, როგორ დავრეკო?! ბავშვი რომ ცუდად გახდეს, რა მეშველება.

— ჩვენ აქ ვართ ნუ გეშინია, არაფერი მოხდება. — მეუბნებოდა ქმარი.

— ხანძარი რომ გაჩნდეს, სახანძრო როგორ გამოვიძახო?!

— არ გაჩნდება, ნუ გეშინია.

— მიწისძვრა რომ მოხდეს და სახლი დაინგრეს, როგორ შევატყობინებთ, რომ აქ ვართ.

— არ დაინგრება, ნუ გეშინია. — და ამ ყველაფერს, გამუდმებით ვიმეორებდი. მერე დამამშვიდებელმა იმოქმედა და ცოტა ხნით ჩამეძინა. თითქოს უკეთ ვიყავი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ გავნახევრდი. დავ-ცარიელდი. რა უნდა გამეკეთებინა, არ ვიცოდი. საპირფარეშოსაც კი ვერ მივაგწი. ისევ ტელეფონს ვეძებდი. იმ დამეს ვერ დავიძინე.

დროსა და სიკრცეში დავიკარგე. მეგონა, მოვწყდი სამყაროს, ბევრი რამ გამოვტოვე, დროს ჩამოვრჩი. დავცარიელდი. დავცოტავდი და გავქრი.

დილას რომ ავდექი, თვალებდასიებულს ყავის კი დალევაც კი არ მინდოდა. კუთხეში იატაკზე დავჯექი, მუხლებს ხელები შემოვხვიე და წინ და უკან მოძრაობა დავიწყე. აღარც ბავშვისთვის მიმიწერავს, აღარც ვინმეს დავლაპარაკებივარ... თითქოს სხვაგან ვიყავი. ამ დროს მომესმა:

— ვიპოვე! — სამზარეულოში თქვა ჩემმა მეუღლებ. მაგ სიტყვას ალბათ სხვა კვარტალშიც გავიგონებდი. მკვდარიც რომ ვყოფილიყავი, მაშინაც გავიგონებდი. ფეხზე წამოვვარდი და სამზარეულოში შევირბინე.

— სადაა?

— მაცივარში შევიგდია. — გამოვგლიჯე ჩემი ტელეფონი ხელიდან და გულში ჩავიკარი. ცივი იყო. საძინებელში შევირბინე და სატენზე შევაერთე, რომ გამეთბო. ვიდექი იქვე და ვდარაჯობდი, „გონს“ როდის მოვიდოდა...

ჩემი ქმარი ექიმია. ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ ექიმის კაბინეტთან ვიცდიდით, რომლის კარზეც

ეწერა: „ფსიქიატრი“. იმ ერთი დღის გამო, ერთბა-შად გადავახტი ნევროპათოლოგის და ფსიქოლოგის კონსულტაციას. ასევე ერთბაშად დაიმსხვრა მითი იმის შესახებ, რომ უშიშარი ვიყავი. თურმე ტელე-ფონის დაკარგვის მშინებია კატასტროფულად.

ექიმმა ფსიქიატრმა, რომელიც საკმაოდ სიმპა-თიურად გამოიყურებოდა და სულაც არ ჰგავდა ჩემი წარმოსახვის პროტოტიპს. არც დაქაჩული თვალები ჰქონდა, არც ნერვიული საუბარი და არც შაქრის აბებს მიტენიდა პირში, მივხვდი, ბროწეულის ოქნას არ დამინიშნავდა, თბილად და იუმორით გამომკითხა საერთო მდგომარეობა. გულდასმით მომისმინა. აშკარა იყო, ჩემს მეუღლეს უკვე გავლილი ჰქონდა მასთან კონსულტაცია.

ექიმმა მოკრძალებულად ამიხსნა, რომ ის, რაც მე დამემართა, არის „ნომოფობია“, რომელიც არანორმალური მდგომარეობაა და 2014 წლიდან აღიარებული ფსიქიკური დაავადებაა. ეს დაავადება თავს იჩენს მაშინ, როცა ტელეფონით კავშირის დამყარება შეუძლებალია. პირველად სიმპტომებად ითვლება: ნერვიული აღგზება, შვოთი და ხელის გულების გაოფლიანება. ამის გაგონებაზე გამახსენდა, როცა თათბირზე შევდიოდი და ტელეფონს ჩემს მაგიდაზე ვტოვებდი, ყოველთვის აღელვებული და აფორიაქებული გამოვდიოდი სათათბირო თახიდან და ხელის გულები სველი მქონდა. მაშინ მეგონა, ბავშვის გმო ვლელავდი ასე. სინამდვილეში კი ეს ჩემი შიში ყოფილა, რომლის მართვა არც ისე იოლი ჩანდა.

— არ ინერვიულოთ. — მითხრა ექიმმა, — ნომო-ფობია, მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა ფობიადაა მიჩნეული. სტატისტიკურად ტელეფონის მქონე ქა-ლების 70% და მამაკაცების 61% განიცდის ამ შიშს. თუმცა მოვარებადია. ეგ კი თქვენზეა დამოკიდე-ბული, რამდენად მოინდომებთ. — მერე ფურცელზე რაღაც დაწერა, ქაღალდი ოთხად დაკეცა და გამომიწოდა. — თუ განკურნებას გადაწყვეტი, ეს ერთადერთი წამალია. — გამოვართვი რეცეპტი და გამოვდიოთ კაბინეტიდან.

დერეფანს დაფიქრებული მოვუყვებოდი...

გავშალე ფურცელი — იქ ეწერა: „ტელეფონი“ და ჯვარი ჰქონდა გადასმული...

# ქორები

## მაია მახარაშვილი



გმადლობთ, უფალო!

გმადლობთ, უფალო! – მოველ ამ ქვეყნად  
და შენგან შექმნილ სამყაროს ვუმზერ,  
ვებლაუჭები მთის მწვერვალიდან  
ზვავად ჩამოშლილ ხელთუქმნელ ღუზებს.

გმადლობთ, უფალო! – საქართველოში  
ქრისტეს ღვთიურ ჰანგს დღემდე მღერიან,  
აქ ხომ ალისფრად ნაქარგ ღრუბელზე  
ცისკრის სხივებიც მხნე და მჟღერია...

გმადლობთ, უფალო! – ჩემი სამშობლო  
მზის სავანეა, ედემად ჰყვავის.  
ერს ულევი აქვს პური და ღვინო,  
მომავალს მიაქვს წინაპართ ხმალი.

გმადლობთ, უფალო! – ჩემს საახლობლოს  
სიკეთეს აფრქვევ, მშვიდობას სჩუქნი.  
გთხოვ, ბზით მოპკაზმო მათი გზები  
და აარიდო ღლები მუქი.

გმადლობთ, უფალო, – წარმატებისთვის!  
გამარჯვებებიც ბევრი მითვლია...  
თავს მევლებოდნენ თეთრი მტრედები,  
ზღვა ბილიკებით გადამივლია.

გმადლობთ, უფალო, – განსაცდელისთვის!  
ჩემს სულს აგემე სიცოცხლის მადლი...  
ჩემი ცხოვრება – შრომის გრდემლია,  
სიხარულით და მდუმარე დარღით.

გმადლობთ, უფალო! – მომმადლე ნიჭი  
სიტყვათ კაზმვის და ბერათ ბზრიალის,  
მესმის მუზათა ტკბილი გალობა  
და ანგელოსთა ფრთათა შრიალი...

გმადლობთ, უფალო! – გამხადე ღირსი  
კალმოსნობის და გონებით ხედვის...  
ყველაფრისათვის მორჩილად გმადლობ  
და უხევალთან მომავალს გვედრი!

მაია მახარაშვილი,  
ქართულის პარალე-  
ლურად, მუშაობს ს  
რუსულენოვანი ღუ-  
ქსების კრებულზეც.  
გთავაზობთ მის  
როვორც ქართულად,  
ასევე რუსულად  
დაწერილ ღუქსებს.

## მთიელ ქართველს

შენს სალოცავებს თაფლის სუნი აქვს,  
ფრესკებს – წარსულის ხმა და სურნელი.  
იქნებ, გაბედო, ურჩი სიტყვა სოქვა,  
მადლმოსილი და კლდისებრ ურყევი.

იქნებ, იტვირთო მძიმე საპალნე  
ერისკაცთა და მამულიშვილთა, –  
სწორედ მთა შეგვჩა ერის სავანედ,  
სწორედ მთიელნი ფლობთ იმ თილისმას,

რაც ქართლის სხეულს ესალბუნება,  
რაც ქართულ სულსაც მოპგვრის სიმშვიდეს,  
იგი მზის სხივით ელამუნება  
ჩვენს გონს და სისხლსაც, ზნეს და სიწმინდეს...

თილისმა იგი თქვენი გულია,  
საქართველოსთვის ტკივილ-ნაძგერი,  
თილისმას ამას შემოუვლია  
უდაბნოს ქვიშა, თოვლის ნამქერი,

მაგრამ კვლავ ტაძარს დავანებულა,  
მშობლიურ მხარეს ვერ შელევია...  
ქართველნო, ჯერ არ დაღამებულა!  
ჯერ ძალუმ ჰანგებს ვერ შერევიან

გადამთიელთა შეძახილები,  
ვერ დაუჩრდილავთ სიტყვა მჭექარე.  
ჯერ ვცდილობთ შევკრათ ქარტეხილები,  
გადავარჩინოთ აზრი მჩქეფარე,

მაგრამ თუ გაპქრა ჩვენი თილისმა –  
მგელმკლავ მთიელთა გული მგზნებარე, –  
მაშინ იგლოვონ მცხეთა-თბილისმა  
არაგვის ცა და მტკვარი მღელვარე...

## პესიმისტ, ოპტიმისტ და რეალისტ ქართველთა გაბასება

პესიმისტი:

რა კავშირი აქვს აწმუნსთან წარსულს –  
დღოც და სივრცეც ხომ მათი მტერია...  
რა ასაზრდოებს მომავალს, კარგო?  
წუთისოფელი – მხოლოდ მტვერია!

მტვერი კი ქრება დამის წყვდიადში,  
ცისკრის ვარსკვლავი მას ვერ დაიჭირს,  
მომავლისაკენ სივრცით სრბოლისას  
ფიანდაზად ხომ დროს ვერ დაიფენ?

ოდეს გიხილავთ სპეტაკი კაცი  
დაფასებული სამართლიანად?  
დაფარულია სიცრუის ხავსით  
ჟამთა სიავის მწარე ფიალა.

მხოლოდ უფალი გვწყალობს და განგვსჯის, –  
სხვა ძალისხმევას არა აქვს აზრი...  
ბედის საჩუქარს ნუდარ მოელი,  
წარმავალია რადგან ყოველი.

ოპტიმისტი:

წარსული აწმუნდ იქცევა დროში,  
სივრცე ვერ შეცვლის ჟამთა დინებას,  
წუთისოფელთან დღევანდელ ომში  
ხსნად მომავალი მოგვევლინება.

მომავალს მოაქვს აღორძინება,  
მშვიდობა, ნიჭის გამობრწყინება.  
ბროწეულის და ატმის ტევრებში  
გაგვახალისებს ტკბილი ზედაშე.

სამართლიანი იქნება სიტყვა,  
თავისუფლები მივაღწევთ მიზანს,  
უფლის წყალობას პვლავაც მოველი, –  
საჩუქარია რადგან ყოველი.

რეალისტი:

წარსულიც, აწმუნც და მომავალიც  
ერის თვისებებს აკლენს და განსჯის.  
და თვით ეპოქა განაპირობებს  
არჩევანს ჟამთა: ლხენის თუ ტანჯვის.

უფლის წყალობას თუკი მოველით,  
დავიმსახუროთ უნდა ყოველი!

სად წახველ, ლექსო?!

ფუნჯს და საჭრეთელს, კალამს და მნათობს,  
მხატვარს და პოეტს, სივრცეს და სიტყვას  
მირქმა-ღიმილით ქალღმერთი ათბობს  
და ძალისხმევას არ ლამობს რითმა...

მოვედი თქვენთან – ლექსი მწყურია,  
ალალი, როგორც წინაპართ მზერა,  
მე სალექსეთის ურჩი მდგმური ვარ,  
თვალს ვერ ვუსწორებ პარნასის მწვერვალს!

მსურს შეგაგებოთ ლექსი მჩქეფარე,  
ნატერწკლის დარად, ციმციმ-მზისფერი,  
ლომგულ ზვირთივით მხნედ და მღელვარედ  
შეგეხმიანოთ ჰანგით ძირძველით...

მაგრამ სად წახველ, ლექსო, მფრინავო?  
ნატერწალს შენსას დავეძებ ცაზე!  
მითხრეს: „ლაუკვარდში ქრის და ხმიანობს“, –  
პეშვს ვუშვერ მზეს და სტროფებით ვავსებ.

ზოგჯერ თვალთაგან გმალავს ცისკარი,  
ხან ცისარტყელა დაგიგებს მახეს,  
ზოგჯერ ლანდი ხარ, – ჩემი სიზმარი,  
ხან ისრიმი ხარ, კუშტი და მკვაწე!

შენ ფუტკარი ხარ, ნექტარ ნაგემი, –  
მგოსანთ სინდისი, სისხლმომდინარე!  
ზოგჯერ ეგ სული გტკივა ნაგვემი,  
გული ხან მხნე გაქვს, ხანაც მგმინვარე...

თუ გამიბრაზდი, დამემალები –  
მთების კალთებზე გეძებო უნდა,  
თუ დაგნისლა სევდით თვალები,  
არად ჩააგდებ ჩემს ცდას და ზრუნვას!

ნეტავ სად დაპქრის, სიტყვათ ფანტელი,  
ლექსი ხალასი – მუზათა გზნება?!  
ალბათ ცის თაღის უხმობს ნათელი  
და ელვარება ვარსკვლავთ და მზეთა!

Убереги меня, Листопад!

Вдруг на заре заблещет грусть  
Синевою под глазами,  
Ей неймётся... Ну и пусть! –  
Я успокою скорбь слезами.

Коль Солнце Осень одарит  
Безмолвным чудом возрожденья,  
И лазуритом озарит  
Сердитых туч нагроможденье,

Я, как жар-птица, ввысь взлечу,  
Обняв Вселенную стихами...  
Полёт поэтам по плечу, –  
Средь звёзд творенья их блистали!

Ты так сверкаешь, Листопад,  
Подобно блеску самоцветов,  
Пурпурно-жёлтый твой наряд  
Сияет кратким совершенством.

Так, сотвори мне снегопад,  
И пусть цветёт он, словно вишня!  
Эх! Знаю: просьба невпопад,  
Мечта моя дерзка уж слишком.

Ведь на пороге склона лет  
Стою я, вслух считая годы...  
Так, ниспошли мне щедрый свет,  
Убереги от непогоды!

\* \* \*

Там, за горами, пик Земли,  
Свод поднебесья и просторы.  
Дождь и утёсы заплели  
Косички ветерку проворно.  
И скачет, пляшет ветерок,  
Гарцуя с волнами прибоя.  
Строптивым вихрям предан рок,  
Шальным страстям и бездне моря...  
  
Я, как пылинка с деревца,  
Лелея рок в янтарном зное,  
Скользжу по гребням из свинца,  
Пока судьба от боли взвоет.

\* \* \*

Мне б со Светилом день воспеть  
Многоголосьем жизни древним,  
Да освятить молитвой песнь,  
Благословляя путь заветный...  
  
Мне б посмотреть мельком, как встарь:  
Цвели фиалки под окошком,  
Как в свете свеч сверкал алтарь,  
Извозчик погонял на дрожках,  
Как молодой лозы побег  
Винарь прижал к груди под вечер...  
Мне б удержать времён разбег,  
Когда с судьбой грядущей встречусь...

Письмо грузинки к истинным  
братьям с Кавказа  
(сердцем надеясь,  
что таковые все еще здравствуют)

С печальным бременем времён,  
С поблекшим бисером седин,  
Пишу грузинка вам письмо, –  
Бог милостив и он един...  
Братья кавказцы, вам пишу,  
Как к древним родичам своим,  
И внемля слушать попрошу,  
Как давних кунаков моих.  
Пишу, надеждой вдохновясь, –  
Взвывая к звону наших душ,  
Сердцам безмолвным поклоняясь,  
Признав права друг друга вслух, –  
Принять ваш дружеский ответ,  
Всмотреться в чистые глаза,  
Добром унять вражду и желчь,  
Труды разумные познав.  
Мы все Отечеству верны,  
Лелеем веру, мощи предков,  
Мы все прикованы к земле  
Проросшими корнями крепко.  
Мы все страдаем, позабыв  
Законы гор о долге, чести,  
Мы все неправы, обхватив  
Кинжал войны в нелепой смерти...  
Простим друг другу боль и зло, –  
В вражде нет чести, нет и правды.  
Несправедливости позор  
Не превращается в награды.  
Не пожалею жизнь отдать  
Святым стенам древнейшей Мцхеты,  
Но признаюсь: близки вовек  
Душе Сухумские рассветы.  
Нежнейшей прелестью цветет  
Тбилиси, словно ветвь миндали...  
Но сознаю: седой Кавказ  
Прекрасен у ворот Цхинвали.  
Верьте, Кавказ мой тёплый дом,  
Судьбой принадлежу всецело  
Земле, народу, предкам и  
Златому солнцу Сакартвело!

27.05.2010

ერთი წელთი ჰომინი...

## ლოცა ბოზაციშვილი

„მე თეთრ ღამეებს ავეტუზე უფსკრულის კართან“...



ტკივილნარევი პოეზია... 90-იანი წლების თაობების გამოძახილი... „მე თეთრ ღამეებს ავეტუზე უფსკრულის კართან,“ – წერს ახალგაზრდა, საზოგადოებისათვის უცნობი პოეტი ნინო ბოქოლიშვილი და თუ მის ლექსებს გადავითხმავთ, გვიკვირს, როგორ ინარჩუნებს წონას-წორობას ამდენ ტკივილ და გაჭირვებაგამოვლილი ახალგაზრდა, დაუცველი ქალიშვილი „უფსკრულის კართან“... უფსკრულისა, რომელიც განვითარება საქართველოში გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან, ძვირად დაგვიჯდა თავისუფლება... ფიზიკურად გადარჩენის საკითხი კიდევ ერთხელ დაგვიდგა! ლუქმა-პურისათვის ყველაფერი გავიტანეთ და გავყიდეთ, მერე... ილაჯგაწყვეტილებმა, გასაყიდი რომ აღარაფერი დაგვრჩა, თანდათან სულსაც დაგუწყეთ გაყიდვა:

„ვყიდით გათოშილ სულის ყვავილებს,  
დავდივართ ცის ქვეშ,  
ყველა ჩრდილში ვყიდით ბუნებას,  
საკუთარ გულში აყვავებულ ლამაზ ადგილებს,  
ხმას აყოლილი, ბერი უმალ ყვება ცდუნებას,  
დღეს ისე გვიჭირს, არც რა გვაკვირვებს,  
ვყიდით იაფად, არ ვუუკუბთ მსურველს გუნებას,  
და დახლზე თავად მზეც კი გავკიდეთ.  
არაფრად ვაგდებთ თავის სულ მთლად გაღარიბებას,  
შეღამებულზე ღმერთი ვადიდეთ...  
ასე გულდაგულ ვაკოწიწებთ ჩვენს ფუფუნებას...  
ვყიდით საკუთარ სულის კუნჭულებს  
და ერთმანეთი გაგვეჩხირა ყელში ბურთებად,  
მერე სანთლებთან ჩუმად ვჩურჩულებთ...  
დრო ულმობელი დაიშალა სასტიკ წუთებად...  
გულდაგულ ვკვებავთ ჩვენში ურჩეულებს,  
წარმოვიდგინეთ ჩვენი თავი მიწის ღმერთებად.“  
(„ბაზარი“)

მხოლოდ დაკოურილი პაპის ხელები ისევ ცდილობენ ცხოვრებასთან გამკლავებას:

„პაპას დღენი დასდგომია საომარი,  
ასაღები ზვარები და დარიალი,  
უკვე მარწყვებს დაჰუუსეუსებს,  
თოხის ცემით დადის კვალზე...  
ბიჭი ლხენას აჰყოლია,  
დასდებია ვალი ვალზე,  
რძალი ქარებს გაჰყოლია,  
სულ უჭირავს თვალი გზაზე,  
ვენახია შაჰაბასის ნაოხარი,  
სარეველა მოდებული, სათიბარი,  
გული ეწვის მოხუცს კლანჭას  
გადატოტვილ ყველა ბრწეალზე,  
უნდა ისევ დააყენოს მწკრივი ფხაზე,  
ბიჭი გზაზე,  
წამოიჭრას პირველივე მაძლის ხმაზე,  
დილის თვალზე,  
ფაჩუჩზე აქვს გამობმული მოხუცს ცხვარი,  
მაგრამ ჭაპანს კვლავ ეწევა, როგორც წარი“...

მაგრამ მარტო პაპის შრომა ვეღარ შველის სოფელს, ქალაქად გაკრეფილა ხალხი, ზოგიც უფრო შორს, საზღვარგარეთ... საშოგარზე... და დარდობს პაპა:

„ყველად ყველა სახლზე ადიოდა კვამლი  
და გელოდა ღიად ყველა ეზოს კარი,  
გადაშენდა ყველა სოფლად,  
აღარ დარჩა კაცი ქუდზე,  
მოხუცები კი ეღიან  
სიკვდილის ცელს წუთი წუთზე...  
აღარ ერჩიო ჯანი კუნთში,  
ვერ აწყობენ საქმეს ხუთზე,  
აპა, დაღვა გაზაფხულიც, მოზის დარი,  
რითი გინდა გაახარო გულის თვალი,  
აიყარა, გაიყიდა კარ-მიდამო ჭიქა ლუდზე,  
და მერცხლებიც გაგვიფრინდნენ,  
მოიშალეს ყველა ბუდე,  
ბრაზი მოხდის, ლამის გასკდეს  
ეს საწყალი გული გულზე“...

გული სკდება იმიტომ, რომ იღუპებიან თაობები, თავზე ჩამოგვექცა ყველაფერი, დაინგრა ქვეყანა, არა, თავად ჩვენ დაგვანგრევინეს და გაგრათავისუფლეს ყველაფრისაგან: პირველ რიგში, სინდისისაგან და მერე ყველა დანარჩენისაგან: აღარც სამსახური, აღარც სამუშაო, აღარც წწავლა-განათლება, აღარც კულტურა და ხელოვნება, არც იდეა, არც მიზანი... აღარც აზრი, მხოლოდ თავის გადარჩენა:

„მიტომ გავტყდით და გადავსკდით  
ერთმანეთის შურით შურზე,  
გავიყიდეთ, გავიცვალეთ,  
დავხურდავდით ყველა ფულზე,  
გადაშენდა, გადაგვარდა,  
სული მისდის ყველას მრუშზე...  
აღარ ვიცით ნაოფლარი შრომის ყადრი,  
თქვენ, დედებო, მოიხურეთ თავზე ჩადრი,  
რადგან შეილებს ვერ ასწავლეთ  
გაღვიძება ალიონზე,  
კარში ხელის წაშველება,  
კარგი სიტყვა, მაღლი, შნო, ზნე,  
საფიქრალი ერთი არის,  
ვინ რას მოსწევს ყალიონზე“!

...და სული, ვისაც შერჩა, ტკივილამდე მისული კივის:

„მინდოდა მეთქვა, რასაც განვიცდი,  
ან იქნებ არც ღირს სულის ფერება,  
გავწყვიტე ფიქრის წვრილი საკინძე  
და დაიშალა ფერმკრთალ ფერებად.  
ქარმა წაშალა ყველა ნაბიჯი,  
მაგრამ სიზმარში დამრჩა ჩვენება,  
უსიერ ტყეში გაზაფხულს ვუცდი.“..

(„სიზმარი“)

...დაკარგა სიტყვამ თავისი ფასი.  
ზღვიდან მოველით ახლა გრიგალებს,  
ავიფრიალეთ ქარებში ქვართი,  
სხვის სადღეგრძელოს გულით ვინ დალევს,  
გალია მიწამ თავისი არსი.  
დღემ შემთახმო დაფნა ტიარებს,  
ქუჩებში დაძრწის შიშველი ღანდი,  
შემოეხიათ კაბა ჩინარებს,  
ვეღარ გვხიბლავენ სიტურფის ფანდით  
და ყველა ქოხში სევდა ტრიალებს,  
შეხიზნულია ოთახში დარდი,  
აღარც ბებია აცხობს ხმიადებს,  
აღარ იშლება ეზოში ვარდი“...

„...ნეტავ ჩააგდოს ვინძებ მანდილი,  
სიცარიელე ავსებს ფიალებს,  
ფეთქავს უღონოდ დაცლილი არსი,

ეს დედამიწა ბრუნავს უგონოდ  
და ყველაფერმა დაკარგა ფასი“!  
დაგიღალეთ, დაგცარიელდით, ყველაფერმა ფასი  
დაკარგა და მოგვანატრა ჩვენ მიერ უარყოფილი და  
ჩვენივე ხელით დანგრეული წარსული:

„როცა სისხლი ძარღვში უფრო სწრაფად ჩქევდა,  
რუის პირზე შრიალებდნენ ნეკერჩხლები,  
ჯელ პაპას არ უჩანდა შიშვლად კეფა,  
და მის მზერას ირიდებდნენ აჭარხლებით,  
ბებო კურძნის აკიდოებს მარდად კრეფდა,  
როცა ვაზებს მიებლანდა ნაწნავები,  
დალალები დაულაგა ფრთხილად ხელმა,  
სატრომი გული აუგერა გამხლებით...  
იქნებ მართლაც სუფთა იყო ადრე ვრძნობა,  
იქნებ ვნებებს ვერ თოკავდნენ თავშალებში,  
კოკის ტუჩზე იღვრებოდა წყაროს კოცნა  
და ქალები ფეხს მალავდნენ გრძელ კაბებში...  
შავ ფოტოებს მოსდებია თეთრი ფონად,  
სითეთრეში გაყურსულან ვენახები,  
გადაიღოს, აღარ უნდა ბებოს თოვა,  
ჩაეფიფქა გულთან ერთად ჭაღარები...  
სიძეველეში არის ალბათ რაღაც წმინდა,  
ძველ ბუხარში იწვებიან ნეკერჩხლები,  
და გვიცქერის პაპის გვერდით, თეთრი ქვიდან,  
მომღიმარი ბებო, შავი ნაწნავებით“!

გავიდა დრო... არც ისე ბევრი, 2-3 ათწლეული,  
ბაგშვები დაიზარდნენ, ტკივილი თითქოს გაყუჩდა...  
ან ფერი იცვალა, თუ საკუთარი თავის ძიებად იქცა:

„ბეწვზეგავლილი შეისვენებ უფსკრულის პირად,  
და ყვავილებით ამოივსებ მიწის ნაპრალებს,  
ასე ნელ-ნელა გათენდება სიმშვიდის დიღაც  
და გვირილები აიხდენენ თავის საწადელს“...

და ცხოვრების აზრიც ჩნდება:

„...ეძებ მიწიდან ამოხეთქილ  
სიცოცხლის სიტყვას  
და დათოვლილი მწვერვალების  
ფიქრის გასაღებს...“

„...ყაყაჩო ეპვრის მიწას და ნათესს,  
ეძებს გულს მტკიცეს, მაღამოდ ნაფენს,  
ჩაჭენება, წვიმა სხვა თესლოს დაბადებს,  
ყვავილი ტოვებს შავ ხნულში სათქმელს.  
წარსული დღემდე ვაღებად გვადევს  
და მომავალი კისერზე გვაწევს.“

(„ყაყაჩო“)

იმედჩასახულ სულში ნათელი სურვილებიც  
ჩნდება:

„მინდა მზეები შევაპარო პირქუშ ღამეებს  
და ტყის პირებზე გამიღიმოს ყველა ენდელამ,  
ნაკადულები შეუერთდნენ დამმრალ წყაროებს  
და საყლოზე მივიჩიო ჭრელი პეპელა.  
და კიდევ მინდა, შემიყვარდეს მოვარის გუშაგი,  
ან განთიადის მოდარაჯე ერთგული მწირი,  
გადარეული გამოვვარდე სავსე ქუჩაში  
და გავარღვიო რუტინული უწყვეტი მწკრივი,  
გადავიჩეხო მწვერვალიდან გულის კანკალით  
და მომეხვინენ ნეკარჩხლების მკვრივი ტოტები,  
შემოვიბურო ვარსკვლავების მქრქალი თავშალი  
და დავიტირო შემოღომის მკვდარი ფოთლები...  
მინდა, დავხატო გაზაფხულის მზიანი დიღა  
და ტყის პირიდან მოვიტყუო ყველა ყვავილი,  
ჩემი სულიდან მოვიცილო უდაბნოს სიღა  
და ისლის ქოხში გამოვკეტო ყველა ტკივილი,  
მე მსურს და მინდა, შემიძლია, შევცვლი გულისთქმებს  
და გამოვიწვევ გულისძერის ახალ მიზეზებს,  
ახალი ფიქრით, გვირილებით მოვქარგავ სიტყვებს,  
ავედევნები ნაწიმარზე სულ სხვა დინებებს...”

(„მინდა“)

ნათელი სურვილები ღიმილებად იქცევიან და  
სიცოცხლის ხალისს გვიბრუნებენ:

„ბროწეულებში იძალებიან ღიმილები,  
მოვრალი ცხოვრება დაფრიალობს ხეთა ჩრდილებში,  
ტუჩალანძული და დამსკდარი ძოწეულები  
მოწეულები, სიმწიფისგან უკვე ფრთხილები,  
მთათა ფერდობებს მიბნეული, ვით თილისმები,  
დილის მზეებით დახუნძლული კაბების კალთა,  
და იფანტება ბაღებიდან თან სიცილებით,  
გულს რომ დაგიტქბობს,  
ისე ტკბილი მოწეურვა თვალთა...“

(„ბროწეულები“)

გვეძალება ცხოვრების სიყვარულიც:

„როცა მიწიდან გეძალება სიცოცხლის მუხტი  
და ქარიშხლების ღრაიანცელში აღებ დარაბებს,  
წვიმის თქეშიდან ჩამოყოლილ გაზაფხულს უცდი,  
ან ყვითელ ფოთლებს გაყოლებ ყველა სადარდელს...“

„როცა მიწიდან გეძალება სიცოცხლის მუხტი“,  
მაშინ მზითა და სიყვარულით გადარევაც შეიძლება:

„წავალ, გავეხვევი მზეში,  
ღრუბელს ამოვიდებ თავქვეშ,  
თორებ ქვიგულიან ხევში  
ქარი მიძაქროლებს თავქვე.  
წავალ, დაგიკრევაგო იებს,  
ქარებს შევაფეთებ ღიძილს,  
ხრამში გადავჩეხავ დარდებს,  
ქოხში გამოვგეტავ კივილს,  
ღამე მომაჩეჩებს ხელში  
წვრილი ვარსკვლავების კონას,  
მე კი უდარდელად გესვრით  
ციურ ყვავილების გროვას,  
მოდი, დაგიკარგოთ მზეში,  
გზები გადავფეროთ ყვითლად,  
მერე ამოვიდეთ მოებში  
თეთრი მწვერვალების ნისლად,  
ერთად გაგანელებთ ღამეს,  
თბილად გავითენებთ დილას...“

(„თქვენთან ერთად“)

„...დამახვია ტარაბუა გაზაფხულმა,  
შესევია ჭია-ღუა ვარდის ყლორტებს...“

„...ავყვავდებით, თუ ინება გულის გულმა,  
სიმწვანეში შეყუჟულა წმინდა ნიშაც...“

(„სოფლის გაზაფხული“)

აი, ეს „წმინდა ნიშა“ დაიბრუნა „გულის გულ-  
მა“. ეს პოეზიაც არა მარტო ნინო ბოქოლიშვილის  
რეალური ცხოვრებისა თუ სულიერი ბიოგრაფიის  
ნაწილია, არამედ ე.წ. 90-ანელების ცხოვრების  
ისტორიაცაა, ამიტომ კიდევ უფრო ღირებულია და  
გულში ჩამწვდომიც!

# ქართველის სტატუსის დღე

## სიყვარულის და თანადგომის საღამო



მეგობრობის საერთა-შორისო დღე დაწესდა გაეროს გენერალური ასამბლეის 2011 წლის 65-ე სესიაზე, სადაც გან-საკუთრებულად არის ხა-ზგასმული მეგობრობის განმტკიცების აუცილე-ბლობა სხვადასხვა ერს შორის. ამ დღის დაწ-ყებამდეც, საქართველოს

ქალთა საბჭო დაარსებიდან აღნიშნავდა ამ ერთობას სხვადასხვა სახით, და ყოველთვის ახსოვდა, რომ მეგობრობა ხალხებს, ქვეყნებს და ცალკეულ პირთა შორის შთამაგონებელ ძალად შეიძლება იქცეს მშ-ვიდობის დაცვის საქმეში.

მეგობრობა ხიდების გადების საშუალებას იძლ-ება საზოგადოებასთან, რომლებიც პატივს მიაგებენ კულტურათა მრავალფეროვნებას. ქალთა საბჭო ხომ არის დაარსებიდან მრავალეროვანი, მრავალ-ფეროვანი სახალხო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც სხვადასხვა ეროვნების ორგანიზაციებმა „დედა ორგანიზაცია“ შეარქვეს და სახალხო დამცველთან არსებულმა სხვადასხვა ეროვნებათა საბჭომ „ტოლერანტობის ქრმაგის წოდება“ მიანიჭა, რისთვისაც მადლობას ვუხდით ჩვენს თანამემამუ-ლეებს და ვცდილობთ, ვიყოთ ერთმანეთის ერთ-გული.

ეს დღე განსხვავებულად აღვნიშნეთ, შევი-კრიბეთ რესტორანში, რომლის მფლობელი სომეხი ეროვნების გახლავთ, აქ იმყოფებოდნენ აზერბაიჯან-ელები, რუსები, ასირიელები, ოსები, უკრაინელები, სომხები.

ამ დღის შესახებ ისაუბრა და მიულოცა ქა-ლებს, ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ქალბატონმა მზექალა შანიძემ... ასევე დამსწრეთ მიმართეს: აკადემიკოსმა თინათინ სადუნიშვილმა, საკრებულოს დეპუტატმა და ქალთა საბჭოს აქ-ტიურმა ქველმოქმედმა წევრმა, გულიკო ზუმბაძემ. თბილისის საკრებულოსთან არსებული ეროვნე-ბათა უმცირესობის საბჭოს თავმჯდომარემ რიტა ხიდირბეგაშვილმა. პოეტებმა: მზაი ხეთაგურმა, ნანა ცინცაძემ, ქალთა საბჭოს ჰიმნის ავტორმა და ქალთა საბჭოს თანამდგომმა, ლია ნაროუშვილმა. ასევე ქა-ლთა საბჭოსთან არსებული სხვადასხვა ეროვნების კომიტეტთა ხელმძღვანელებმა, აღა ბეჭენცევამ – აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ლილი საფაროვამ – აღმასრულებელი საბჭოს წევრმა. სუსანა ხაჩატუ-რიანმა, ეკა ბიტკაშმა, ლეილა სულეიმანოვამ. ებრაელ

ქართველ ქალთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ქა-ლბატონმა ზაირა დავარაშვილმა, რომელიც ასევე ნდობით აღჭურვილი პირია ისრაელში ქალთა საბჭოს წარმომადგენლობისა. მადლობა თითოეულ მათგანს თანადგომისა და თანამშრომლობისთვის.

ასევე საზოგადოებას მიესალმენ და მეგობრობის დღე მიულოცეს: ქალთა საბჭოს აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა, პროფესორებმა: ია დავითაძემ, თინათინ ქიტუაშვილმა, მარინა ხარატიშვილმა, ირმა ლარიბაშვილმა.

დამსწრე საზოგადოებას სიმღერით მიესალმა ქალთა საბჭოს აქტიური ქველმოქმედი წევრი, საქართველოში ერთადერთი აშ-ული ქალი, ნარგილა (თინათინ) მეითოვი.

საღამოს უძღვებოდა თქვენი მონა-მორჩილი ქეთევან გაბრუაშვილი.

მადლობა გვინდა ვუთხრათ რესტორან „მაი-სის“ ხელმძღვანელს, ახალგაზრდა სომეხ ყმაწვილს ხაჩიკ პა-პახიანს, რომელმაც გამოთქვა სურვილი, რომ ემასპაინდლა ამ საღამოსათვის, მისი დანიშნულების გათ-ვალისწინებით. ასევე მადლობა თურქ ომერ ბენლის კაფე-ბარ „საპორეს“ ხელმძღ-ვანელს, რომელმაც გაიგო რა ამ დღის მნიშვნელობა, თავისი



საწარმოს ტკილეულით უზრუნველყო საღამო, რომელიც ამ დღის კიდევ ერთი მეგობრობის გამოხატულების დადასტურება იყო.

საქართველოს ქალთა საბჭო იყო, არის და იქნება შემაკავშირებელი ხალხთა ერთობის, სიყვარულის, თანადგომისა და ურთიერთდახმარების. მხოლოდ სიყვარული და არა სიძლვილი – ეს დაგვიცავს ყველანაირი საფრთხისაგან, მიიღეთ ეს მოწოდებათ ღვაწლოსილ ქალებისაგან, რომლებსაც დიდი გზა გაუვლიათ და ცხოვრებამ ასე აჩვენა.

ენდეთ ჩვენს ჭაღარას, გვიყვარდეს ერთმანეთი და დავძლიოთ ყველა სირულე ერთად.

**ქეთევან გაბრუაშვილი,**  
საქართველოს ქალთა საბჭოს  
აღმასრულებელი დირექტორი

ქართული ფოლკლორისა და მწერლობის ქომაგი

ბრძენკაცს უთქვამს, სჯობს გვიან, ვიდრე არას-დროს... ამით მინდა გავამართლო ჩემი დაგვი-ანებული გამოხმაურება სოფიო ჯაფარიძის წიგნზე „სულის პური“, თუმცა, მქონდა პატივი წიგნის წარდგენასა და რადიოგანხილვაში მონაწილეობისა.


სოფიო ჯაფარიძე ფილოლოგის მეცნიერებათა  
დოქტორი, ფოლკლორისტი, 30-მდე სამეცნიერო  
და ფოლკლორულ-ლიტერატურული პუბლიკაციის  
ავტორი, ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“  
პასუხისმგებელი რედაქტორია. ეს ჩამონათვალი  
იმის აღსანიშნად დამჭირდა, რომ ამგვარი ლიტერ-  
ატურული აქტივობის მიუხედავად, მისი ლიტერ-  
ატურულ-ფოლკლორული წერილების კრებულად  
შეკვრა უაღრესად სასიამოვნო სიახლე იყო. წიგნის  
პირველივე გვერდზე სოფიო ჯაფარიძე მეოთხევლს  
მიმართავს: „ეს მცირე წიგნი წლებით მოგვრილი  
განცდებისა და განსჯის კრებულია. მასში გაერ-  
თიანებული წერილები ჩემი სულის სახიზრად  
იქცა, ამიტომაც გავგედე მათი მანიფესტაცია, თუკი  
თქვენც მოგიფონებთ, მათ გამოქვეყნებას გამართლე-  
ბულად ჩათვლი“.

გამართლებულიც არის და სასიხარულოც, რადგან წიგნად აკინძული წერილები განსხვავებულად აღიქმება და გაცილებით მძაფრადაც ზემოქმედებს. კრებულის გაცნობის შემდეგ მიეხვდი, რომ ქართულ ფოლკლორსა და მწერლობას, სოფიო ჯაფარიძის სახით, კარგი პატირონი და ქომაგი მოეკლინა.

ბენიერება მქონდა, ეს წერილები გამოქვეყნებამდეც წამეკითხა და აღფრთოვანებული ყოველთვის ვეუძნებოდი – სოფიო, შენ აუცილებლად ბევრი უნდა წერო... მაგრამ, შემდეგ აღმოვაჩინე, რომ სოფიო ბევრს ვერ დაწერს. ის წერს მხოლოდ იმაზე, რაც ერთობნად შეძრავს, სრულად მოიცავს და დაუუფლება... ასე კი პოეზია იქმნება... წიგნის რედაქტორმა, ბ-მა როსტომ ჩხეიძემ, სოფიოს მეცნიერული ნარკევების, სილუეტებისა და პუბლიცისტური სტატიების ნაკრებს, ალბათ ამიტომაც მეტად სამართლიანად, პოეტური კრებული უწოდა.

მაინც, ვინ არიან სოფიო ჯაფარიძის კალამს გულსა და გონებას დაუფლებულნი?! აი, ისინიც ოტია იოსელიანი, გოდერძი ჩოხელი, გურაბ პეტრი-აშვილი, ლევან გოთუა, პეტრე ხვედელიძე, მურლვა არდოტელი, მარიამ წიკლაური, ზურაბ ჯაფარიძე და სხვანი.

წიგნის კითხვისას, უპირველესად, ყურადღებას იქცევს წერილების საოცარი ენა – საჭიროების-ამებრ, ის კუთხურიც არის, არქაულიცა და თანადროულიც. ამ წერილებში უზუსტესია აქცენტებია ასე რომ სჭირდება ჩვენს ზენობაშერყელუ სინამდ-



ვილეს. დღეს ხომ სხვაგვარად ვცხოვრობთ, სხვაგვარი მოთხოვნილებითა და სხვაგვარ „გმირთა“ უკუტიშით.

უაღრესად მნიშვნელოვანია ჩემთვის ისცი, რომ  
ამა თუ იმ ავტორის შემოქმედების განხილვისას,  
ჭირს გარჩევა, სოფიო ლიტერატორია თუ თვით  
მწერალი! მას ავტორისეული სიღრმეების წვდომის  
საოცარი უნარი აქვს, შეუძლია შემოქმედთან ერ-  
თად თვალშეუდგამი სიმაღლეებიც მოიხილოს და  
გონების თვალი ქვესკნელსაც ჩააწვდინოს, ეს კი  
მრავალთათვების მოუღწეველი ოსტაზობაა...

სოფიო ჯავარიძეს კიდევ ერთი ძალიან გარეგი  
თვისება აქვს – ამა თუ იმ ოპერის ავტორი, სა-  
კუთარი ნაღვაწით, ხშირად თავის წარმოჩენას ეს-  
წრაფვის, სოფიო კი ყოველთვის მწერლისა და მისი  
სამყაროს სადარაჯოზეა. ეს თვისება ამჟღავნებს  
სწორედ მის უდიდეს სიყვარულს, რუდენბას ქა-  
რთული მწერლობისა თუ ხალხური სიტყვიერები-  
სადმი, და არა საკუთარი თავისადმი ამ საგანმუშავი.

მეტად საყურადღებოა სოფიო ჯაფარიძის წერ-ილების სტილი. მართალია, ყოველი ოპუსი გან-სხვავდულია, მაგრამ არის საერთო უჩინარი ძაფი, რომელიც, სოფიოს ერთი წერილიც თუ წაგიკითხავს, მისთვის ჩვეულ განსაკუთრებულ ხედვას, ინტელე-ქტსა და ლიტერატურულ წიაღსვლას უსათუოდ ამოა. ასწობინებს...

„სულის პური“ არის დროულიც და ძალზე  
აქტუალურიც. ის თანამედროვე ახალგაზრდობის  
ზენობრივი ფორმირებისთვისაც საშური და მნიშ-  
ვნელოვანია, ამიტომ ჩემს პედაგოგიურ საქმიანობაში  
პერიოდულად კიყრიბ კიდევ ამ წიგნს.

სოფიოს დავულოცავ იმ გონისა და მარჯვენას, უდიდესი სიზუსტით რომ მიუმართავს საღლეისო საჭიროობობრივო საკითხებისაკენ. დაუ, წეროს ისე,

როგორც წერს, არასოდეს ულალატოს მის მრწამსს და არასდროს უტიოს არჩეულ გეზს, მაშინ მისი წერილები ყოველთვის აქტუალური და ურუანტელიანი საკითხავი იქნება...

დაბოლოს, დაბეჯითებით მინდა აღვნიშნო უაღრესად გემოვნებით შესრულებული წიგნის დიზაინი, რომელიც მხატვარ მიხეილ აბრამიშვილს ეკუთვნის. სამი ფერის საოცარი გრადაცია წარსულის, აწმყოსა

და მომავლის უკიდეგანობას მაფიქრებინებს, წერილების პერსონაჟებიც ხომ ამ სამი დროის ლაბირინთებში გამოკვეთილი უკვდავი გმირები არიან! გმირები, რომელიც დღევანდელობით გზააბნულოთ, მომავლის სწორ ბიკლიკებზე თამამად მიგვიძლვებიან...

სოფიო ჯერგალიძე

## თამა მაშაურასი

### „ვაშაურას“ მინდორი

შენდობას ვითხოვ ამ წერილისთვის, რადგან მე არა ვარ ისტორიკოსი, მაგრამ იმდენად ამაღლვა ამ ამბავმა, რომელიც სოფლის უზუცესმა მიამბო, თქვენც მინდა მოვითხროთ...

სოფელ ნიქოზის ტერიტორიაზე, სადაც ახლა მზისვან დაბრაწული ხეხილის ბაღებია გაშენებული და კალთადამძიმებულები იღიმებიან, სადაც ბარაქიანი საძოვრებია და სადაც ლამაზი ორსართულიანი სახლები თავს იწონებენ, ოდესლაც ამ არგმარეზე პურის ყანები ყოფილა და ოქროსფერი თავთავები ბიბინებდნენ...

ამ გზაზე ბევრჯერ ჩაუკლია ერეკლე მეფეს თავისი ჯარით, ხშირად აულაგმავს თავგასული ლეკების თარეში სამაჩაბლოში, ამის მოწმეა კეხვისა და აჩაბეთის ციხეებთან დაკავშირებული უამრავი ისტორია, რომელიც ერეკლე მეფისა და იმდროინდელი ქართლის ცხოვრებას მოვითხრობს.

ამას მოწმობს ის ცნობილი ამბავიც, „ერეკლე მეფისა და ნიქოზელი დედაბერისა“, „მაგრამ დღეს მე მინდა თქვენი ყურადღება „ვაშაურას მინდვრებზე“ შევაჩრო…“

რუსეთ -საქართველოს ტრაქტატის გაფორმების შემდეგ, საქართველოში მოჩვენებითმა მშვიდობამ დაისადგურა, გლეხობამ იმედიანი თვალები ზეცად აღაპყორ და ლოცვა აღავლინა „დიდებაი ღმერთსა და ჩვენ მშვიდობაი“, მაგრამ მუხანათ მტერს არასოდეს დაუსვენია და არც არასოდეს გამძლარა მათი ზარბი გულები.

თათრების ურიცხვი ურდო, სხვადასხვა ეროვნების ურჯულოებით დაქირავებული და გაძლიერებული, ქართლის მიდამოებს მოადგა.

საზღვარზე მდგომა გუშაგებმა აცნობეს მეფეს, რომ მტრის ურიცხვი ჯარი ნელ-ნელა, ქვეწარმავალივით მოიკლაქნებოდა და უახლოვდებოდა საქართველოს საზღვარს.

მეფე ერეკლემ რუსეთის მეფესათან კაცი გაგზავნა და დაპირებული დახმარება ითხოვა სამშობლოსათვის.

რუსეთმა უარი შემოუთვალა დახმარებაზე და მიზეზად მოუცლელობა დაასახელა...

ბევრჯერ ნაღალატევმა პატარა კახმა ხერხი იხმარა და ახალი ტაქტიკა შეიმუშავა, რომელიც საიდუმლოდ გაანდო ჯარის ერთ ნაწილს. ისინი მაშინ ჩაებმებოდნენ ბრძოლაში, როცა ამის ნიშანს მიიღებდნენ.

დაიწყო ბრძოლა... ვერაგი მტერი დაუნდობლად გადადიოდა პურის ყანებზე და ქელავდა დოვლათს ქართლისას. რიცხობრივად ბევრი იყვნენ ქართველებზე, მაგრამ ლომბულა ვაჟაპატარი თავგამეტებით იცავდნენ სამშობლოს. ბრძოლა „ვაშას“ შეძახილით დაიწყეს ქართველებმა და შეტევაზე გადასვლის დროსაც „ვაშას“ შეძახილი არ შეწყვეტილა.

დათქმულ დროს, დასვენებული, შერჩეული ვაჟაპატა „ურას“ ძახილით შეესივნენ მტერს და ჩეხვა დაუწყეს.

„ურას“ გაგონებაზე თათრებს ეგონათ, რუსის ჯარი შემოეშველათო და აირივნენ, უკან დახევა და გაქცევა დაიწყეს. ამით ისარგებლეს ქართველებმა და მტერი უკუაქციეს...

მას მერე, დიდმა დრომ განვლო, ისევ მოიხნა სისხლით მორწყული ქართლის მინდვრები, ისევ დაითხესა პურის ყანები, მაგრამ გზად შემხვედრ გლეხს თუ შეხვდებოდი და შეეკითხებოდი, სათო გაგიწევია, გლეხკაცოო, სიამაყით გიპასუხებდა: „ვაშაურას“ მინდვრებზეო...

უფალო ღმერთო, გევედრები, ნურასოდეს გახდიჩემს ქვეყანას სხვისი ხელის შემყურედ, გაგვამრავლე და აგვალორძინე ისე, რომ იქით გვეძახდნენ დასახმარებლად...

Հողին

## Իշխան Տամանյան

Իշխան Տամանյան Նյու Նեցա մասնէ,  
այսպէս մարածածած, մը կեռածած, ասքանծած,  
գալուածած այ Ռէրճա „Ըանսե“,  
Վայս այ տեժաված, „Տիգրան-մասքանծած“.

Իշխան Տամանյան Նյու Նեցա մասնէ,  
Կը մը առաջանած Ռիպալո Ռունած,  
այ Ռինակրեծ սայլազո արած,  
այ գանուածած գալակրունած.

Վար Շահամանած մի շահ Վարան  
առմանած մանած կամանած կարտալանած,  
Վարտ Ապարանած թափու մարանած „մարանած“,  
Իշխան Հայուած գուլանած դրու գամրտալանած.

Թշամէ: մուշպանած Շահամանած գմանած թշ,  
Հայուած տղամարանած, պատնած, սահինուն,  
Ռոմ կամանած Շահամանած սահանած մերանած  
և մոմացալու գամացարինուն.



Թուակ հայուն

Ճաշակ, առաջանած...

Ճաշակ առաջանած –  
կարտալանած մուպակազազ,  
միհյարգած գուլանած կամանած,  
Ռուս կերպա գամլանած մկանած.

Ճաշակ ճաշակ ճաշակ մուպակազազ,  
տպանած սիրագած մարգարած մարգարած,  
Տունած զարպանած մագ տօնած կերպանած,  
ճաշակ ճաշակ ճաշակ մուպակազազ.

Ռուս կերպա գամլանած մուպակազազ,  
մուպակազազ կամանած մուպակազազ,  
Վարդար զարպանած, կերպանած ծոված ծոված  
առ մուգակալու լումունած.

Իշխան Տամանյան Տամանյան Տամանյան  
մեսյան օնարու, Ռուսական զանձան,  
օրմեծանած մուպակազազ մուպակազազ  
զանձան մեսյան օնարու օնարու.

Տամանյան Տամանյան Տամանյան  
մուսան սահանած նատելու,  
մլուպանած թամարան լամա գատուսու.  
Արասունած հայրանած սուսանանած սանտելու,  
ունանած մարան մեյսանած երան գուլան օնարու.  
Ռոմ գամացարինու, վատ եսան, –  
Նյու կրուսան գուտ զարուն,  
Իշխան Տամանյան Տամանյան Տամանյան  
լամա գատուսու.  
Յոտ Տուանա յալմա Նոյա,  
(Երան մուսա գամացարու),  
,Մարանան Տամանյան Տամանյան  
մեսյան օնարու“.

Ճաշակ առաջանած –  
կարտալանած մուպակազազ,  
Վարդար զարպանած մուպակազազ  
սաւական գամլանած մկանած.

Վարդար մարգարան գուլան գուլան  
մեսյան գուլան գուլան գուլան  
Ռոմ կերպա զարպան զարպան  
գուլան գուլան գուլան.

ზვიადი და მერაბი

„ერთადერთი სამშობლო  
დღესაც ერთადერთია!“

მორის ფოცხიშვილი

ზვიადი და მერაბი,  
მერაბი და ზვიადი,  
პირნათელი წავიდა  
ღმერთთან ორი დიადი.

რა არ ნახეს ამქეყნად,  
რა არ გამოიარეს,  
ერთად საქართველოსთვის  
ბეწვის ხიდზეც იარეს.

ჩვენც – მიმდევართ მათი გზის  
გესურს ამ ერის დიდება,  
ჩვენც მათსავით განვიცდით,  
თავგანწირვა გვინდება.

ვწერთ და ვეტრფით მათსავით  
საქართველოს ერთიანს!  
„ერთადერთი სამშობლო  
დღესაც ერთადერთია!“

დედის საფლავზე

როცა გავდივარ დედის საფლავზე,  
აღელვებული მშვიდდება გული,  
ენით ვერ აღვწერ... ამ ქვეყანაზე  
ეს სხვა გრძნობაა, სხვა სიყვარული.

როცა გავდივარ დედის საფლავზე,  
სულს ეუფლება სიმშვიდე სრული,  
ცრემლშეუშრობელს ამ ქვეყანაზე  
მაცოცხლებს მხოლოდ ეს სიყვარული.

მთამსვლელი

(ივანე ჯაფარიძეს)

ისევ მთამსვლელად ყოფნა ვინატრე,  
თუმც მთამსვლელობა დიდი ტკირთია,  
ზეცის ნათელი შარას გინათებთ  
და მთების ცეცხლი გულში გინთიათ.

კიდევ უნდა ვთქვათ ჩვენი სათქმელი,  
ვიმღეროთ კიდეც – ამის დრო თუა,  
თქვენც მთამსვლელი ხართ,  
თქვენც ხართ ქართველი,  
როგორიც იყო ლევან გოთუა.

მოსაგები მაქვს...

მე სამშობლოდან არსად წავალ და  
აქ ვარსკვლავებიც მთვლიან მასპინძლად,  
მოსაგები მაქვს ჩემი მარაბდა,  
მოსაგები მაქვს ჩემი ასპინძა.

გარს მახვევია მოძმე ურიცხვი –  
სავსეს ქართული პატიოსნებით,  
თუ დავეცემი სიყვარულისთვის,  
დამიტირებენ ძმები მგოსნები.

ბარში ვიყავ თუ ვაჟას ჩარგალში,  
მუდამ სიცოცხლის ეშნით ვთვრებოდი,  
ხან ვიჭრებოდი ცეკვის დარბაზში,  
ხან ლამაზმანებს ვეფერებოდი.

არ ვემეტები მოყვრებს მარცხისთვის,  
აქ ვარსკვლავებიც მთვლიან მასპინძლად,  
მოსაგები მაქვს ჩემი უარცხისი,  
მოსაგები მაქვს ჩემი ასპინძა.

## თამაჩ შუალაბე



\* \* \*

ჩემთვის ადვილი არ იყო იმის ყურება  
თუ როგორ  
გძლავდნენ,  
შენი სისხლი იღვრებოდა ჩემს ფეხებთან,  
შენი სიტყვები და საქმეები დაცოცავდნენ მიწაზე,  
დასახიჩრებულ სხეულთან ერთად,  
თვალებში დასახმარებლად გამოწვდილი  
ხელები გედგა,  
და თითები ცრემლებივით იკლაკნებოდნენ,  
მე ვიყავი უმწეო და ერთმანეთს ვგავდიოთ ისე,  
როგორც არასდროს,

აქ არ არის პოეზია,  
აქ არ არიან ადამიანები,  
აქ მხოლოდ მიწაა  
შენი საბოლოო ნავსაყუდელი,

თიხა ვარ.

შეგიძლია შენი სურვილის და წარმოსახვის  
შესაბამისად,  
მომცე სიცოცხლე,  
მომცე ფორმა,  
მომცე იმედი,  
რომ მზის სინათლე ჩემს თვალებშიც  
ამოინთება,  
თიხა ვარ.  
შენი ხელები ერთდროულად სიცოცხლეცაა,  
და შორეული პერსპექტივით სიკვდილიც,  
მსხვრევაც,  
ილოცე ჩვენთვის,  
ილოცე მათთვის,  
ვინც დაკარგა გზა და მარტოა,  
ილოცე მათთვის, ვინც წავიდა, როცა გინდოდა,  
ილოცე მათთვის,  
ვინც არასდროს გაგიშვა ხელი,  
ილოცე ჩემთვის,  
ვინც დაღლილი ხელებით ცხოვრობს,  
თიხა ვარ.  
მიწის სუნი მდის,  
ხელს ვაცხოვრებ შიგნით,  
მწვანე ვარ,  
ვერავინ ხედავს, სინამდვილეში ვინ ვარ.  
შენი სურვილის და წარმოსახვის შესაბამისად,  
მომეცი ფორმა,  
მომეცი ფორმა.  
მომეცი ფორმა,  
ფორმა, რომელიც შეგიხორცებს  
ღიად დარჩენილ  
ტკივილს – ცხოვრებას.

პირველად იყო,  
პირველად იყო სიმშვიდე,  
მერე გაჩნდა ადამიანი და  
მასთან ერთად იშვა ქაოსი,

და ვამბობ მე, მე ვამბობ, რომ  
თქვენს შორის ადამიანი, ადამიანი თქვენს შორის,  
გამოვიდეს და მან,  
გამოვიდეს და მან,  
მომიყვეს თქვენზე, ვინც ჯერ არ უწყით,  
რომ ადამიანები ხართ,

და ვამბობ მე, რომ თქვენს შორის  
ახალგაღვიძებული რომელიცაა,  
ფხიზელი ძილით ვისაც ეძინა, ის გამოვიდეს  
და იძლეროს, იძლეროს ხმამაღლა, მთელი ძალით,  
ისე, რომ მისი ხმა საუკუნეებს გადასწვდეს,  
რომ მათ შორის არავინაა ვალდებული  
ცხვარივით მორჩილად  
მიჰყვებოდეს გზებს,

დედაჩემო, ჩემო ომგამოვლილო დედა,  
ჩემო ცრემლსა და სისხლში გამოვლილო დედა,  
აიღე თეთრი ფურცელი, აიღე,  
დამიხატე ბატყანი,  
დამიხატე ბატყანი  
დამიხატე ბატყანი,  
პატარა უცოდველი ბატყანი დამიხატე,  
სანამ დროა, სანამ ჩემი სული იხეტიალებს  
უდაბნოში,  
სანამ ჩემი ხელები სისხლში ამოისვრება,  
სანამ ზღვები ამომიშრება თვალებიდან,  
ახლავე, შემოიწყვე ხელები და დაიწყე ლოცვა,  
სანამ შემიძლია ადამიანი ვიყო,

ილოცე ჩემთვის,

შენი დაღლილი თითებით,  
დამიხატე ბატყანი,  
როგორც იმედი, როგორც სინათლე,  
და თავანწირვით გამოვექანები,  
გამოვექანები თავგანწირვით,  
რათა გულში ჩაგვიკრა, რათა თვალებიდან  
სისხლი ამოგიწმინდო,  
რათა თვალის გასწორება შევძლო,  
რომ დამავიწყდეს ჩემი დანაშაული,  
რომ დამავიწყდეს, რა გამოვიარე,

დე,  
შენ უბრალოდ დამიხატე პატარა,  
უცოდველი ბატყანი,  
დანარჩენზე მე ვიზრუნებ,  
შენ მხოლოდ თოკი გადმომიგდე, და  
გადარჩენისთვის მე ვიბრძოლებ,

სადაც ახლა ვარ, მხოლოდ მიწაა,  
და წყლის ნაცვლად ძმარს გვასმევენ,  
და პაპანაქება სიცხეში ზურგით ვზიდავ  
სხვის მკვდრებს,

და მე ვამბობ,  
პირველად იყო სიმშვიდე,  
შემდეგ იშვა ადამიანი,

დე, ილოცე ჩემთვის  
და დამიხატე პატარა, უცოდველი ბატყანი,  
როგორც იმედი, როგორც სინათლე,  
როგორც ხსნა.

\* \* \*

თვალის ფოკუსი.

წარმოვიდგინე რომ მოვკვდი,  
დავწექი ლოგიზე, როგორც წესია,  
რიგიანად შევიცხადე ფაქტი,  
ვიტირე.

ის კაბა ჩაგაცვი ჩემს თავს,  
რომელიც ძალიან მიყვარდა,  
(მაგრამ ხშირად არ ვიცვამდი, არ მიხდებოდა,  
მე მაინც მიყვარდა)

სიკვდილიც ისე მოხდა, როგორ სიცოცხლე  
ყველაფერი შეუმჩნევლად, მარტო და  
უინტერესოდ,

მერე წავედი და თავი დავიძარხე,

გზაში ჩემი ბავშვობა შემხვდა,  
ის ალუბლებს კრეფდა,  
მახსოვს დედამ თხოვა,

ვკითხე ამდენ ხანს რატომ მოუნდა ამ  
ტანმორჩილი ხის ჩამოკრეფას,  
მითხრა, რომ მე ამას ვეღარასოდეს გავიგებდი,  
რადგან მკვდარი ვიყავი და აზრი არ ჰქონდა  
ჩემთვის რაიმეს  
ახსნას,

პირველი შიში მაშინ მოხდა მიწისქეშ რომ  
აღმოვჩნდი,

(მიწა ვარ და მიწად ვიქეცი?!)

ჩემს კანში იდგამენ ფესვებს ხეები,

მე ერთდროს ადამიანი ვიყავი,  
მე ერთდროს შეყვარებული ვიყავი,

მერე გაჩნდა ტოტალური იმედგაცრუება,  
ის ჩემი პირველი შვილია,

თითქოს ვიღაც კამერით მიღებს, როგორ  
ვცხოვრობდი  
და ყველაზე შეუსაბამო მომენტში  
იწყებს კინოჩვენებას,  
ამ ფილმებს ისე ვუყურებ,  
თითქოს არასოდეს მინახავს და  
არ ვიცი რაზეა,

მე მოკლემეტრაჟიანი და შავ-თეთრი ვარ,

წარმოვიდგენ რომ ცოცხალი ვარ  
რომ ადამიანი(ც) ვარ,  
რომ შეყვარებული(ც) ვარ,

ყოველთვის გვიან ხდება რაღაც მნიშვნელოვანი,  
მაშინ, როცა მე უკვე შევწყვიტე ფილმის  
ყურება და  
(მშვიდად) მოვკვდი.

## ცინა ყიფშიძე



### ომბალო

ეძღვნება ჯ.ფ.-ს

ციკლიდან – ერთად დაწერილი ლექსები

შენი შექება

ჩემს ქალობას დაამშვენებდა,

რომ იყო ჩემი ერთგული და

მზრუნველი ქმარი,

გაგასინჯებდი და მეტყოდი

რარიგ კარგია,

ნედლ ომბალოთი შეკმაზული

მწვანე ტყემალი...

თბილი თვალებით

მარჯვე ხელებს დამილოცავდი

გაიფიქრებდი,

ცხოვრებაში რარიგ გიმართლებს,

ომბალოს სუნით გაუღენთილი

სახლის გარემო

გაგასენებდა სოფლის ჭალას და

ბავშვურ ამბებს...

გაგასენებდა ჭალის მინდორს,

ჩვენ ორს, მინდორზე,

გულაღმა მწოლნი რომ ვაწერდით

ცას თბილ არაკებს,

ჩვენს მომავალზე ოცნებისას

რომ იცინოდა,

სოფლის მდინარე,

სულ რომ შფოთავს და მირაკრაკებს...

გაგვასენებდა სოფლის შარას,

სოფლის ორღობეს, მეზობლის ქალებს,

შეფეთებულს ჩვენს ჩუმ კოცნაზე,

აბრიალებულს მერე ჭორებს

ჩვენს სიყვარულზე და იმ მარულას

ამ სიყვარულს რომ გამოაბეს...

გაგვასენებდა, ის ბავშვობა რომ ყოფილიყო,

ჩემი კი არა,

შენი, ჩემი – ჩვენ, ორივესი,

და ოროველა ცაზე ჩიტებს რომ ეგალობათ,

რომ ყოფილიყო ქორწილი და

ზალბების თქეში...

ახლა, კი ახლა,

დღეს არ გქვია შენ ჩემი ქმარი,

და ის ბავშვობაც ჩემი იყო ჭალის

მინდვრებზე,

ომბალოს სუნით გაჯერებულ წარსულის დღეებს,

მე მარტოობით,

სიყვარულზე ფიქრით ვიხსენებ...

შენი შექება

ჩემს ქალობას დაამშვენებდა,

რომ ვიყო შენი ერთგული და

ხელმარჯვე ცოლი,

გაგასინჯებდი და მეტყოდი

რარიგ კარგია,

მწვანე ტყემალი,

შეკმაზული ნედლ ომბალოთი...

### სანამ და ვიდრე...

...და სანამ ვინმე აღმომაჩენდეს,

როგორც სამყაროს ნათელს და მზიანს,

ვიდრე ალუბლის ხეივანებში,

ჯერ კიდევ ცელქი ქარები ქრიან...

ვიდრე აპრილებს,

ვიდრე მაისებს,

ჯერ კიდევ ასდით ყვავილთ სურნელი...

და ვიდრე...

ვიდრე...

შეაპუნა წვიმებს მოაქვთ სურვილი

გასულელების...

მე ისევ მინდა ამ მარტოობას

ერქვას გიჟური ლტოლვით ანთება,

და როცა მოხვალ,

როცა მიპოვნი,

გადაგეფრქვით ათინათებად...



გულის მიწა

უძეველესი დროიდან ჩეცნს ლამაზ ქვეყანას უძრავი მტერი ჰყოლია. უცხოელი დამპყრობლები კველა ღონეს ხმარობდნენ, რათა ქართველებისთვის ღვთის მიერ ბოძებული ბაღნარი ხელში ჩაეგდოთ, ხოლო თავად ქართველები, ეს ბუნებით ლალი, ხალი-სიანი, ნიჭიერი, სტუმართმოყვარე და ღვთისმოში ერი დაემონებინა. რაღა თქმა უნდა, ქართველები მტერს მტრულად ხვდებოდნენ და მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. სასტიკ ბრძოლაში უამრავ მტერთან ერთად ბევრი ქართველი იღუპებოდა, გადარჩენილები კი დიდი რულუნებით აღადგენდნენ ეკლესია-მონასტრებს, დანგრეულ სახლებსა და გაჩანაგებულ ბაღ-ვენახებს. გაუბედურებულ ოჯახებში ისევ ირწეოდა ქართული აკვანი და დამწუხრებული გულებიდან, გაყინული ბაგების მეშვეობით იღვრებოდა, თუმცა ნაღვლიანი, მაგრამ მაინც საოცრად თბილი და ტკბილი იაყნანა. ეს ამბავიც, რომელიც ახლა უნდა გიამბოთ, იმ ბედუკულმართი მოვლენების სამწუხარო გამოძახილია.

\* \* \*

დიდი ხნის წინათ, ერთმა უძლეველმა ხელმ-წიფეზ გადაწყვიტა ჩვენი ქვეწის დაპყრობა და „პირისაგან მიწისა აღგვა“. მრისსანე ხელმწიფეზ შეკრიბა უთვალავი მხედრობა და საქართველოზე გამოილაშქრა. მან იცოდა, რომ ქართველები ძალიან გულადი მებრძოლები იყვნენ, რომელთა სიძლიერეს და უშიშრობას მეტწილად მათი საყვარელი სასმელი – ღვინო განაპირობებდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ხელმწიფეზ თავის ჯარს უბრძანა: დაეპყროთ ქვეყანა, გაეჩეხათ ვენახები, ამოეწყვიტათ მეომრები. ხოლო გადარჩენილები დედაწულიანად აეყარათ და ტყვედ წაუსხათ თავის სახელმწიფოში.

...და წამოვიდა აღმოსავლეთიდან ეს უზარმაზარი ლაშქარი საქართველოს დასაპყრობად. თვალუ-წვდენელი ველ-მინდვრები დაფარა მტრის უთვა-ლავმა ჯარმა. ქართველმა მეციხოვნებმა ქვეყანას მტრის მოახლოების ნიშანი მისცეს. უმაღლ შეი-კრიბა ქუდზე კაცი და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება რიცხვებრავალ მოშხდურს. ბრძოლამ დადხხ-ანს გასტან. ბოლოს დამარცხდა მაშველ ჯარს მოკლებული ქართველობა. უკანას ნებილი მეომარიც, მკერდში დაჭრილი, მშიბლიურ მიწაზე დაეცა.

მტერმა გაილადა. წინააღმდეგობადამდეული  
მიეძალა ბაღ-ვენახებს და ერთიანად გაჩეხა. შემდეგ  
დაშინებულ მოსახლეობას დაერია, ხელები შეუბირკა  
და თავისი სახელმწიფოსკენ მძიმედ და მნელად  
სავალ გზას გაუყენა.

ბავშვებისა და ქალების გულშემზარავი წივილ-კივილი და მოთქმა-გოდება მოეფინა გაჩანაგებულ არე-მარეს. გულქვა ჯარისკაცები მათრახებით მიერეკებოდნენ საწყალ ტყვებს და ჩამორჩენილებს ზურგებს უჭრელებდნენ. როდესაც თავიანთი ქვეყნის საზღვარს მიაღწიეს, ტყვები გამოთხოვების მიზნით დაეგმნენ და გულში ჩაიკრეს შშობლიური მიწა. უმაღ აშეულლნენ მათრახები და პირქვე დაცემულთა ზურგებზე სისხლიანი კვალი დატოვეს. საწყალი ტყვები სიმწრით იყლა კნებოდნენ, მაგრამ წამოდგომა და უცხო ქვეყანაში წასვლა არ უნდოდათ. ბოლოს იძალეს მათრახოსნებმა და ფეხზე წამოყარეს ტყვები. წამოდგომისას ყველამ ფრჩხილებით მოფხოჭნა შშობლიური მიწა და უბეში შეინახა. ერთმა მოხუცმა შეუმჩნევლად აიღო გაჩეხილი გაზის რქა და უბეში გადამალა.

დაღამდა. ჯარისკაცებმა ტყვევები დაბანაეს, ირგვლივ ცოცხალ ღობედ შემოურტყნენ და კოცონები აანთეს. ტყვევებმა მიწა პერანგებიდან ჩამოხეულ პატარა ნაჭრებში გამონასკვეს და სამოსელის ქვეშ გულზე დაიკიდეს. იმ მოხუცმა კი მიწასთან ერთად პერანგის ნახევში ნოტიო სილა ჩაყარა, შიგ ვაზის რქა გაახვია და წელზე შემოიხვა.

გათენდა, ამომავალი მზის მაცოცხლებელი  
სხივები, თითქოს ერთმანეთს უჯიბრებიანო, ხეთა  
ჭრილებში გამოძრინენ და ათინათებად დაქვენენ  
დედამიწაზე, მაგრამ, თითქოს იქ ნანახმა ადამიანთა  
ტანჯვა-წამებამ დაფრთხო და შეაშინაო, უმაღ  
უზარმაზარი შავი ღრუბლის ზურგს უკან შეიძალ-  
ენ. მოძალადებებმა ისევ მათრახებით წამოყარს და  
წინ გაირეკას ტყვევები. ბედს შეგუებული უბედურები  
მოთქმა-გოდებით გასცდნენ მშობლიური ქვეწის  
საზღვარს და უცხო მიწაზე გადავიდნენ. ოვანაქინ-  
ღრულებს სახეზე უდიდესი ტანჯვა ეხატათ, ტან-  
ჯვა, — არა სხეულის გვემით გამოწვეული, არამედ  
რაღაც არაპუნქებრივი შინაგანი ტყივილის გამო. ასე  
სულიერად დაცლილები ლასლასით შორდებოდნენ  
სანუკვარ სამშობლოს.

თითქოს ცასაც შეეცოდა ტყვეები და მათი საცოდაობით ატირდათ – ანაზღაური წვიმა წამოვიდა. მათრახებით აჭრელებულ ზურგებს სალბუნად დაუფინა ცის ცრემლები. წვიმამ მალევე გადაიღო. მზის ცელქმა სხივებმა ღრუბლების ჭუჭრუტანებიდან ცნობისმოყვარე და შემზინებული თვალებით გამოიჭყიტა, თითქოს სურდათ შეემოწმებინათ – დედმიწაზე რაც ნახეს სინამდვილე იყო თუ მოეჩვენათ.

ტყვეები უცებ შეჩრდნენ. გეგონებოდათ ვიღაცამ უბრძანაო, ყველა შემობრუნდა, რათა საბოლოოდ დაენახათ და შორიდან დამშვიდობებოდნენ დედა სამშობლოს. უკანასკნელად გახედეს მშობლიურ ველებს, ტყებს და როცა მზერა მთის წვერებს უწვდინეს, იქ, ცის თაღზე მთიდან მთამდე გადაშლილი ცისარტყელა დაინახეს. უმაღ აშხუილდნენ მათრახები და აიძულეს ტყვეები მოუსავლეთის გზას გასდგომოდნენ. ბევრი წვალების შემდეგ, როგორც იყო მიაღწიეს იმ სახელმწიფოს, სადაც ტანჯულ ტყვეებს ამიერიდან უნდა ეცხოვათ.

გამოხდა ხანი. უცხო ქვეყანაში გადასახლებულმა ქართველებმა თანდათან აიშენეს სახლები, გააშენეს ბაღები და შეუდგნენ ხელახლა ცხოვრებას, თუმცა უსამშობლოდ. ისინი ცდილობდნენ ახალი საცხოვრებლები ისე მოეწყოთ, რომ შეძლების-დაგვარად თავიანთი კუთხე-კუნჭულისათვის დაუმსგავსებინათ. იმ მოხუცმა, სხვა ხეხილთან ერთად, მიწაში სამშობლოდან მაღულად წამოღებული ვაზის რქაც დარგო. მთელი სოფელი მოხუცთან ერთად დიდი ინტერესით ელოდა, თუ როდის გაიხარებდა ნერგი. მაღვ ვაზის რქას კვირტები დაებერა. გახარებული მოხუცი დღე-დღეზე ელოდა კვირტების ამოხეთქვას. ერთ დღესაც მოლოდინით აღსავს ე მოხუცმა დახხდა ვაზის რქას და მოულოდნელობისაგან კინაღამ გული შეუწუხდა. დაბერილ კვირტებს თითქოს ფურები ჩამოეყარათ. ამის შემხედვარეს ფეხები მოეკვეთა, ნერგის წინ მუხლებზე დაეცა და ჩუმი კვნესა აღმოხდა.

მაღვ მეზობლებმა გაიგეს, რაც მოხდა. მთელი სოფელი, უკლებლივ, მოხუცთან შეიკრიბა. ყველა რაღაცას ურჩევდა მოხუცს: ზოგი – მორწყვას, ზოგი – მიწის გაფხვიერებას, ზოგი კი – სულაც სხვა ადგილას დარგვას. მოხუცი თავჩაქინდრული იდგა მუხლებზე და ხმას არ იღებდა. იმ მომენტში, როცა მას ვაზის გადარგვა ურჩიეს, წამით გაირინდა, შემდეგ თავი ნელ-ნელა წამისწია და გაცისკროვნებული თვალები ხალხს შეანათა:

– მეზობლებო, და-ძმანო, შვილებო! ჩვენი იმედი და ნუგეში, ჩენი დედა-სამშობლოს გამლალებელი და დამტირებელი, ვაზი შველას ითხოვს. მისი ხსნა თქვენს გულებზე. დიახ, ის მიწა, რომელსაც მკერდით ატარებთ და გულის სითბოთი ათბოთ, მიწა, რომელიც გეიმედებათ, რომ გარდაცვლილებს გულზე დაგებნევათ, ზვარაკად უნდა შევწიროთ ჩვენს მარჩენალს. მხოლოდ ქართულ მიწაზე იხარებს საქართველოდან ჩამოტანილი ქართული ვაზი, მხოლოდ საკუთარ მიწაში გაიდგამს იგი ფესვს. ამიტომ,

მუხლმოდრეკილი უმორჩილესად გთხოვთ, ყველამ გაიმეტოთ თქვენთვის სალოცავად, სამშობლოს ხატებად ქცეული თქვენი გულის მიწა. შევარჩიოთ კოხტა ადგილი, მოვიხსნათ გულზე ჩამოკიდებული მიწა, დაუუგოთ ფიანდაზად და ჩავრგოთ შიგ ვაზის რქა. მე დარწმუნებული ვარ, იგი აუცილებლად გახსარებს და ვაზად იქცევა. ვაზი კი, თანდათან, ჩვენი მცდელობით და ღვთის შეწევნით – ვენახად. ხოლო ქართველი, სანამ მას ვენახი ექნება, ქართველად დარჩება.

მოხუცი წამოდგა. დაკოურილ-დაძარღვული მარჯვენით ჩამოიხსნა მკერდიდან მიწით საგსე ციცქა ქისა და მოწიწებით ემბორა. შემდეგ თითების კანკალით შეხსნა ქისას ღვედი და სათაყვანებელი, ავგაროზად ქცეული მიწა ხელის გულზე დაიყარა, ხელი მომუჭა, ნელ-ნელა წამოსწია, აღმოსავლეთიდან ამომავალ მზეს უსწორა და მოჭუტული თვალებით გახედა. თითქოს სურდა, მომუჭულ ხელში მოწიყდებული მიწის და მზის მიღმა დედა სამშობლო დაენახა. დიდხანს იდგა ასე. ბოლოს ხელი შეატრიალა და ნელ-ნელა გაშალა. მუჭის ნაპრალიდან წამოსული მიწა მტვრის ნაკადად დაუშვა უცხო მიწაზე და ციცქა ბორცვად წამოიმართა.

მოხუცის საქციელით დამუნჯებული ხალხი გახევებული შესცემორიდა ციცქა ბორცვს, თითქოს ეს მიწა მოხუცის მუჭიდან კი არ დაიბნა, არამედ, მათი შეძრული გულებიდან სისხლის შაღლევნად გადმოეშვა და გულები დაუცარიელა. ცოტა ხნის შემდეგ გულის ფიცართან წვა იგრძეს. შმობელი მიწა მოუწოდებდა მათ – გაემეორებინათ მოხუცის საქციელი. ხალხმაც აღარ დააყოვნა. სასოებით ამბორჟვეს თავთავიანთი ქისები და ერთი ციცქა მიწის ბორცვი საგმაოდ მოზრდილ ბორცვად აქციეს. მოხუცმა ხელის გულებით, თითქოს დიდი ხნის უნახავ შვილს ეფერებაო, ნელ-ნელა გადაშალა ბორცვი, ფერება-ფერებით მოასწორა. შუაგულში ორმო ამოუღო. შემდეგ წამოდგა, მივიდა ვაზის რქასთან, დაიხარა, თითებით ფრთხილად მოაცილა გარშემოყრილი მიწა, ხელში აიღო, მიიტანა ქართულ მიწასთან და შიგ ჩარგო, ისევ თითების ფრთხილი მოძრაობით შემოუყარა მიწა და დატკეპნა.

– წყალი! – არავისთვის მიუმართავს. ისე, ყველას გასაგონად წარმოთქვა.

უმაღ რამდენიმე ყმაწვილი გავარდა და კოკით წყალი მოარბენნა. მოხუცმა გადარგულ ვაზის რქას წყალი დაუსხა, ჭურჭელი პატრონს დაუბრუნა, უსიტყვილ შებრუნდა და სახლისკენ გაემართა.

იმ დღიდან, მოხუცი ყოველ დილით გამოდიოდა გარეთ, რწყავდა ნერგს, ჩამოუჯდებოდა გვერდით და ფიქრებში წასული ელოდა. ხანდახან ჩასთვლებდა და ქართულ მიწაზე ჩამომჯდარს მშობლიური კუთხე ესიზმრებოდა. უმაღ ეღვიძებოდა და გულის სიღრმიდან მწარე ოხვრა ამოხდებოდა.

ერთ დღესაც ნერგის მოსარწყავად გარეთ გამოსულ მოხუცს კვირტიდან ამოხეთქილმა პატარა ყლორტმა შემოსცინა.

— მეზობლებო! მეზობლებო! — აღელვებისაგან ხმა გაებზარა და ვაზის წინ მუხლებზე დაეშვა. არც კი შეუმჩნევია თუ გადაძახილ-გადმოძახილზე როგორ შეიკრიბა მთელი სოფელი. აკანკალებული ხელით ძალიან ფრთხილად მიეფერა ახლად აფეთქებულ კვირტს და უნებურად წამოსცდა:

— მადლობა შენდა უფალო, ღმერთო ჩემო, რათა განახარე ვაზი ესე, რგული ქართულსა მიწასა შინა, შენდა სადიდებლად.

— ამინ! — ერთხმად აღმოხდათ გარს შემოჯარულ და უსაზღვროდ გახარებულ თანამომმეთ.

მოხუცმა თავი ნელა წამოსწია. სიხარულისაგან აცრემლებულ-გაბრწყინებული თვალები მომმეთა ცრემლიან თვალებს გაუსწორა. შემდეგ მზერა მათ თავებს გადააცილა, აღმოსავლეთით ამომავალ მზისკენ გააპარა და ცრემლიან წამწამთა მოჭუტულ ჭრილში მოცეკვავე ცისარტყელა აუციაგდა.

ცისარტყელის ქვეშ თუ გამოივლის,  
საქართველოში მოხვდება, სჯერა.

ოცნებით ზრდიან საკუთარ შვილებს ფერეიდნელი ქართველნი ჯერაც. ჯვარად შემორჩათ მკერდზე ნაშანთი, თვალთა უპეზე — ცრემლის ღარები, ხსოვნის ბილიკებს უწყალოდ შლიდნენ ულმობელ დროთა ავი ქარები.

გესლი იგემეს, ცრემლი იდინეს მსხვერპლთა ულმობელ შაპის დიდების, რწმენაც კი დასომეს, მაგრამ სამშობლოს ვერ შეელივნენ ვერასდიდებით.

თვალით უნახავს სიზმრად გხედავენ. გულით ატარეს ხსოვნა ფერმკრთალი, საქართველოა მათი ოცნება —

ცრემლიან წამწამთ შორის გამკრთალი. ასე შემორჩათ ოცნება გულში, სინამდვილეა, განა არაკი! ცისარტყელის ქვეშ თუ გამოივლის, ჩაგეხუტება შენი ზვარაკი.

ქახი, 14 მარტი, 2008 წ.

## კეთილი მგზავრივით — ჭირსა და სიხარულში...



გადახედავ ადამიანებს — სანაცნობო, სამეცნიერო წრეს და უცბად თვალში ვიღაც მოგაკლდება, ხედები, რომ ვიღაც მნიშვნელოვანი გამორჩა თვალის არეალს...

ასეთი ადამიანები ცოტანი არიან და მათ თვალის ჩინივით უნდათ გაფრთხილება...

დიანა გიგიაძე ერთი იმათგანია, ვისაც სულ ასხოგარ და კეთილი მგზავრივით თან დაგყვება ჭირსა და სიხარულში...

ტრიალებებს ჩვენ ირგვლივ თითქოთ რაღაცით პოპულარული ადამიანები, ხედავ ყოველდღე მათ სახეებს ტელეეკრანებიდან, გაზიოის უურცლებიდან, სხვადასხვა ტრიბუნიდან, უურცებ მათ და ფიქრობ — რა გაუკეთებით, რისოგის გვერეხებიან გზაში, კავლში?!.. მხოლოდ თვაიანთი თავების წარმოსაჩენად, თავის დასამკვიდრე-

ბლად, ცხოვრებისგან უფრო მეტი სიამოვნების გამოსაძალად... ადამიანებისთვის კი არაფერია მათი „საქმენი საგმირონი“...

დიანა გიგიაძე განსხვავებული ხედვისა და ქმედების ქალბატონია... მას საზოგადოების პატივი და სიყვარული არ აკლია, არც სილამაზებს და მომხიბვლელობა აქვს ვინწმუნებული ნაკლები, მაგრამ ამის გამო არ ქედმალობს, ზემოდან არავის უურცებს და ჩუმად, უანგაროდ აკეთებს ათასგვარ სიკეთეს, ისე, რომ თავადაც არ ახსოებს...

ხშირად მიფიქრია, რა აიძულებს ადამიანს, იყოს ასეთი, იცხოვოს სხვა ადამიანთა სევდით, ტკივილით, სიხარულითაც... ალბათ ერთადერთი რამ — ადამიანად ყოფნა ამ ქვეყანაზე...

ძალიან ალალი უნდა იყო, რომ უშურველად გაიღო, შეძლო, უშურველად გიყვარდეს.... ძალიან დიდი სიკეთე დაგქონდეს გულით.... და თავადაც ბედნიერი იყო...

ასეთი გულით დადის დიანა გიგიაძე. ის უფალს უყვარს... ჩვენი ლამაზი მეგობარი და ერთი მშენებელი ქალი, რომელიც უხდება ქუჩას, ქალაქს, სუფრას და უმისობა თავის პერს, თავის სილადეს უკარგავს ყველაფერს...

ამიტომ ძალიან, ძალიან დიდხანს მინდა იყოს და იაროს ამ ქვეყნაზე, იაროს და ანთებდეს გარემოს ოქროსფერი თმებით, ლამაზი თვალებით..

უფალმა დალოცოს ჩვენი ლამაზი მეგობარი — დიანა გიგიაძე!

**ჯუბა ღებელი**



ეკატერინე ტუნაშვილის ნამუშევრები



„ანეულის“ ეს ნომერი გამოდის  
დიანა გიგიაძის შემოწირულობით

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:  
სი „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;  
ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900

მზია სეთაგარის ახალი ლაქსები

ესრთული აღაგილის მატიანებან –  
იმავე ჯაფარიშვი: „უფრა დასრულდას  
ცვამლის შასახებ  
სისრულის გავრცელება“

იმო სიძევისამილი – ციკლიდან:  
„თარილები ჩამს ეპიგრაფი ვაჟს“

მაგა მასარაშვილის ლაქსები

გიორგი აღინიშვილის  
ცოვალა – „აგარაკი“

ჩაკლინ სირაკა –  
ილია ჭავჭავაძე და ჭავჭავა ავირევისი

გივი ჩილაბინაძის მოთსრობა –  
„ერავნობარი ცვილის დღევანისათვის“

მაყოფი ფვალის ლაქსები

რუსელი არაზია –  
თარგმანი მამი მოლოდინი



მწერლი – გიშიცის ხელი